

სამართალმცოდნეობა



B1+

სახელმძღვანელო

2017



სამართალმცოდნეობა

სახელმძღვანელო

B1+

თბილისი
2017

**„სამართალმცოდნეობა“ B1+
სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:**

**ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:
თამარ შარაბიძე**

**დარგობრივი ექსპერტი:
ნინო გულიშვილი**

**ავტორები:
დავით გოცირიძე
ინგა სანიკიძე
გიორგი უგულავა
თამარ შარაბიძე
თაია ცხადაია**

**რედაქტორები:
ინგა სანიკიძე
თამარ შარაბიძე
თაია ცხადაია**

©(სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა



საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „პოლიგრაფი“



ყაზბეგის 24გ. ტელ.: 231 24 72
E-mail: poly@gol.ge www.poly.ge

ISBN 978-9941-27-617-0

I თავი

სამართლისა და კანონის მნიშვნელობა

I ნაწილი	მორალი და კანონი.....	5
II ნაწილი	კანონი	10
III ნაწილი	სახელმწიფოს ძირითადი კანონი	16

II თავი

ქვეყნის მართვა, მმართველობის ფორმები.

უფლებები და თავისუფლებები

I ნაწილი	ქვეყნის მართვა	24
II ნაწილი	ქვეყნის მმართველობის ფორმები.....	31
III ნაწილი	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ...	36

III თავი

სამოქალაქო ურთიერთობები

I ნაწილი	ფიზიკური და იურიდიული პირები	43
II ნაწილი	ქონება და საკუთრება	49
III ნაწილი	ვალდებულება და ხელშეკრულება	53

IV თავი

სამართლისა და კანონის მნიშვნელობა

I ნაწილი	შემაჯამებელი გაკვეთილი.....	61
II ნაწილი	შუალედური შემოწმების ტესტი	65

V თავი

საოჯახო სამართალი

I ნაწილი	ქორწინება.....	67
II ნაწილი	ოჯახი	73
III ნაწილი	შვილები	79

VI თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი
- III ნაწილი

შრომითი სამართლებრივი ურთიერთობები

დამსაქმებელი და დასაქმებული	86
შრომის ხელშეკრულება	91
შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა, გაფიცვა.....	98

VII თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი
- III ნაწილი

სასამართლო

სამოქალაქო სამართლის სუბიექტები.....	106
დანაშაული და სასჯელი. სისხლის სამართლის სუბიექტები	111
დანაშაული მოხდა - რა უნდა ვიცოდეთ ამ დროს?.....	117

VIII თავი

- I ნაწილი
- II ნაწილი

ქართული ენა პროფესიულ ურთიერთობაში- ქართული ენა და სამართალი

შემაჯამებელი გაკვეთილი.....	124
შუალედური შემოწმების ტესტი	129
მოსასმენი დიალოგები	130
შუალედური შემოწმების ტესტები	138

I ტაპი სამართლისა და კანონის მნიშვნელობა

I ნაწილი მორალი და კანონი

1.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. რა გახსენდებათ სიტყვა „სამართალზე“?
3. როგორ დაუკავშირებთ ილუსტრაციებზე გამოსახულ საგნებს სიტყვა „სამართალს“?
4. თქვენი პირადი გამოცდილებიდან მოიყვანეთ მაგალითი, რა მიგაჩნიათ სამართლიანად და რა – უსამართლოდ?

1.2. ტექსტი:

ძველად **სამართლიანობასა** და **სამართალს** ერთი მნიშვნელობა ჰქონდა. დღეს ისინი ერთი და იგივე არ არის. სამართლიანობა ნიშნავს სწორ შეფასებას, სამართალი კი სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებია.

ხალხის აზრი ადამიანის ყველანაირ საცქიელზე ჩანს **მორალში**, ყველა მორალური ნორმა კი შეიძლება არ აისახოს **კანონში**. მაგალითად, ავტობუსში მოხუცი ადამიანისთვის ადგილის დათმობა კანონის მიხედვით აუცილებელი არ არის, მაგრამ მორალურად სხვაგვარი საცქიელი **მიუღებელია**. ხალხის ნაწილი ფიქრობს, რომ დამნაშავეს შესახებ პოლიციას არ უნდა შეატყობინო, კანონით კი ეს აუცილებელია.

მორალური ნორმები დროთა განმავლობაში იცვლება. ადრე თუ გვიან ისინი კანონშიც აისახება. მე-19 საუკუნეში ევროპის ბევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, პოპულარული გახდა „ქალთა საქმე“. ქალებს არ ჰქონდათ უმაღლესი განათლების მიღების **უფლება**. შემდეგ მორალური ნორმა შეიცვალა, რაც კანონშიც აისახა. ქალებმა მიიღეს განათლების უფლება.

- ისინი სასწრაფოს მანქანას გზას უთმობენ.
- მორალური ნორმა კანონში აისახა.

1.3. ლექსიკა:

სამართალი – სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონების ერთობლიობა.

სამართლიანობა – სამართლიანი, სწორი დამოკიდებულება რამის ან ვინმეს მიმართ.

მორალი – საქციელი, რომელიც ხალხს სწორი ჰგონია.

კანონი – სახელმწიფოს მიერ დადგენილი იურიდიული წესები და ნორმები.

მიუღებელი – რაც არ არის მისაღები.

უფლება – პიროვნების შესაძლებლობა, რომელიც კანონითაა დადგენილი.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რით განსხვავდება სამართალი და მორალი?
2. რით მოქმედებს ხალხი – მორალით თუ სამართლით?
3. რით მოქმედებს მოსამართლე?

სინონიმები	ანტონიმები
აუცილებელი – სავალდებულო სწორი – მართალი მორალი – ზნეობა მოხუცი – ხნოერი	მორალური – ამორალური დამნაშავე – უდანაშაულო მოხუცი – ახალგაზრდა სამართლიანობა – უსამართლობა



სწორი გზა	მართალი კაცი
სწორი მიმართულება	მართალი სიტყვა
მაგ., საქმეს სწორი მიმართულება მისცეს. მართალი სიტყვა ტყვიანზე ძლიერია.	



ა.

დაიმახსოვრეთ!

რა? სამართლიანობა უფლება

ბ.

მრავლობითი რიცხვი	
ნათ.	მიღებული კანონების = მიღებულ კანონთა კანონების მიხედვით = კანონთა მიხედვით



დაიმახსოვრეთ!

-თანიანი მრავლობითი დღეს ძირითადად ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით გამოიყენება.
მაგ., კანონთა მიხედვით; დროთა განმავლობაში; ქალთა საქმე...

1.5. წიკითხეთ დიალოგები. ააგეთ ასეთივე დიალოგი თემებზე:

- „მოკლე კაბის ჩაცმა“
- „შვილის ცემა“

ქალი: რა არის მორალური ნორმა?

იურისტი: ის, რაც მორალურად მისაღებია.

ქალი: ადრე გათხოვება მორალურად მისაღებია?

იურისტი: არა, ადრე გათხოვება არც მორალურად არის მისაღები და არც – კანონით დაშვებული.

ქალი: რა არის კანონით დაშვებული?

იურისტი: კანონით დაშვებულია ქორწინება 18 წლიდან.

1.6. უპასუხეთ კითხვებს თქვენი შეხედულების მიხედვით. პასუხებში გამოიყენეთ წყვილები (შეგიძლიათ რამდენიმე ერთდროულად გამოიყენოთ):

კანონით აუცილებელი	მორალურად მისაღები
კანონით დაშვებული	მორალურად მიუღებელი

1. სასწრაფოს მანქანას გზას უთმობენ. ეს ქცევა მორალურად მისაღებია თუ კანონით აუცილებელი?
2. ბებიამ ყური აუწია ბავშვს უზნეო საქციელის გამო. მეზობელმა ეს დაინახა და დარეკა პოლიციაში. შეაფასეთ მეზობლის საქციელი!
3. ავტობუსში დააჯარიმეს უბილეთო მოხუცი. რამდენად სამართლიანია ასეთი საქციელი?
4. დაინახეთ, რომ ავტობუსში ერთ-ერთი მგზავრი გაქურდეს. თქვენ ქურდი იცანით და განაცხადეთ პოლიციაში. როგორია თქვენი საქციელი?

1.7. წიკითხეთ დიალოგი და მთავარი ტექსტის მიხედვით დაასრულეთ იგი!

ქალი: რას ნიშნავს „ქალთა საქმე“?

იურისტი: „ქალთა საქმე“ ქალების უფლებებს შეეხება.

ქალი: რისი უფლება ჰქონდათ ქალებს?

იურისტი: გათხოვებისა და ოჯახის მოვლის უფლება.

ქალი: და რისი უფლება არ ჰქონდათ მათ?

იურისტი: სწავლის უფლება. ქალებს არც სკოლაში იღებდნენ და არც უმაღლეს სასწავლებელში. არც მშობლებს უნდოდათ, რომ მათ განათლება მიეღოთ.

ქალი: როგორ გადაწყდა „ქალთა საქმე“?

იურისტი:

1.8. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები:

სამართალი	მორალური	საქციელი
სამართლიანობა		
უსამართლობა		

- ა. _____ სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებია.
- ბ. ქალებს არ ჰქონდათ განათლების მიღების უფლება, რაც _____ იყო.
- გ. მოხუცისთვის ადგილის დათმობა არის _____.
- დ. მოსამართლე მოქმედებს _____ მიხედვით.
- ე. სამართლის საფუძველი არის _____.

1.9. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	აღნიშნა	[აღ]ნიშნავს	აღნიშნავს
2	აისახა	ისახება	აისახება
3	გადაწყდა	წყდება	გადაწყდება
4	შეიცვალა	იცვლება	შეიცვლება
5	მიიღო	იღებს	მიიღებს



1.10 მოსმენა

დიალოგი: შემთხვევა ეზოში

წყობიდან იყო გამოსული - ძალიან ანერვიულებული იყო.

1.11. დიალოგის მიხედვით აარჩიეთ სწორი პასუხები!

რა დაზიანდა ეზოში?

- ა. სადარბაზოს კარები.
- ბ. მაგიდა, სკამები, საქანელა, საბავშვო სათამაშოები.
- გ. მანქანები, ბუჩქები და ყვავილები.

ვინ არიან დიალოგის მონაწილენი?

- ა. მეზობლები.
- ბ. მეგობრები.
- გ. ნათესავები.

რა ევალუა პოლიციას?

- ა. დამნაშავეების დასჯა.
- ბ. წესრიგის დაცვა.
- გ. დამნაშავეის გასამართლება.

რა არის მორალურად მიუღებელი?

- ა. სამაგიეროს გადახდა.
- ბ. დანაშაულის დაფარვა და გაჩუმება.
- გ. პოლიციის გამოძახება.


1.12. საპრეზენტაციო თემა

ამართლებს თუ არა სიმთვრალე ჩადენილ დანაშაულს?

1.13. მოისმინეთ დიალოგი კიდევ ერთხელ და შეავსეთ ტექსტში გამოტოვებული ადგილები:

- ა. ირაკლი ხომ იცი, ნინოს ქმარი, კარგი კაცია, მაგრამ გუშინ ეზოში _____ ამტვრევდა.
- ბ. წესრიგის დაცვა _____ ევალუა.
- გ. არაფერი მოუვა, _____ შეშინდება.

1.14. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი!



რამდენ ხანს?

**ცოტა ხანს მაინც შეშინდება.
დიდხანს ვფიქრობდი.**

15. წერა:

იმსჯელეთ საკითხზე – კანონი და მორალი

1.16. ქართული ანდაზები:

„სამართალი ფეხით დადის“.

„სამართალს ფული ჭრის“.

უპასუხეთ კითხვებს!

- როგორ გესმით მოცემული ანდაზები?
- რა შემთხვევაში გამოიყენებთ ამ ანდაზებს?

1. 17.



დაიმახსოვრეთ!

„სამართალი მთელი ერის გაწმენდილი
სინდისია, მთელი ერის გაწმენდილი ნამუსია“
/ილია ჭავჭავაძე/.

II ნაწილი

კანონი

2.1. ტექსტი

კანონი სახელმწიფოს მიერ მიღებული **წერილობითი დოკუმენტია**. მისი შესრულება სავალდებულოა. კანონი აწესრიგებს სხვადასხვა სახის ურთიერთობას. რა იქნებოდა, რომ არ არსებობდეს კანონი?! მგზავრობის დროს ჩვენ ვიღებთ ბილეთს, ვყიდულობთ პროდუქტს და ვიხდით ფულს, კინოთეატრში შესვლის წინაც ვყიდულობთ ბილეთს, ვიცავთ მოძრაობის წესებს და ა.შ. საბედნიეროდ, ეს ყველაფერი ქვეყანაში არსებული კანონებით არის დარეგულირებული. კანონი რომ არ არსებობდეს, სამართალი დამოკიდებული იქნებოდა ძალაზე – ძლიერი მოერეოდა სუსტს.

ადამიანებს შეიძლება არ მოსწონდეთ ესა თუ ის კანონი, მაგრამ მისი შესრულება მაინც სავალდებულოა. კანონი იქმნება იმისთვის, რომ დაცული იყოს ადამიანი, სახელმწიფო, **ადიკვეთოს დანაშაული**, დარეგულირდეს ეკონომიკური ურთიერთობები და ა.შ. კანონის ფუნქციებია: ადამიანის დაცვა, მშვიდობის დაცვა, მუშაობის **უზრუნველყოფა**, მოქალაქეებს შორის **დავის** გადაწყვეტა.

2.2. ლექსიკა:

წერილობითი დოკუმენტი – დოკუმენტი, რომელიც დაწერილია, არ არის ზეპირი.

დანაშაული – კანონის დარღვევა, კანონსაწინააღმდეგო ქმედება.

აღკვეთა – შეწყვეტა, ხელის შეშლა.

დანაშაულის აღკვეთა – კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის ხელის შეშლა.

უზრუნველყოფა – მოგვარება, ყველაფრით ხელის შეწყობა.

დავა – კონფლიქტი, კამათი.

2.3. ტექსტის გააზრება:

1. შეიძლება თუ არა კანონი იყოს ზეპირი?
2. რა იქნებოდა, რომ არ არსებობდეს კანონი?
3. რისთვის იქმნება კანონი?
4. თქვენი აზრით, შეუძლია თუ არა კანონს ყველანაირი დავის გადაწყვეტა, მაგალითად, პატარა ბავშვებს შორის დავისა?

სინონიმები	ანტონიმები
დავა – კონფლიქტი მუშაობა – შრომა ძალა – ღონე	საბედნიეროდ – საუბედუროდ ძლიერი – სუსტი ვყიდულობთ – ვყიდით ვიცავთ – ვარღვევთ დაცული – დაუცველი

ა.

სახ.	წერილობითი	დოკუმენტი
მოთხრ.	წერილობითმა	დოკუმენტმა
მიც.	წერილობით	დოკუმენტს და სხვ.
მაგ., სიტუაცია	სამართლიანმა	დამოკიდებულებამ დაარეგულირა.

ბ.

ახლანდელი	წარსული
მე უზრუნველყოფ	მე უზრუნველყავი
შენ უზრუნველყოფ	შენ უზრუნველყავი
ის უზრუნველყოფს	მან უზრუნველყო

რას შვრება?	უზრუნველყოფს
რა?	უზრუნველყოფა

ასეთივე ზმნებია:
ცხადყოფს – გაარკვევს
ნათელყოფს – ნათელს გახდის

ბ.

რა ქნა?

[მან] დაიცვა

რა ქნეს?

[მათ] დაიცვეს

მაგ., მოქალაქე^მ თავისი უფლება დაიცვა.სასამართლო^მ დავა გადაწყვიტა.

2.4. დავიმახსოვროთ კანონის მოქმედებასთან დაკავშირებული ზმნები!

მოითხოვს – მოითხოვა

ადგენს – დაადგინა

განსაზღვრავს – განსაზღვრა

მიუთითებს – მიუთითა

ავალდებულებს – დაავალდებულა

2.5. გამოყავით ტექსტში ზმნები; გადაიყვანეთ მე-3 პირში და ისე წაიკითხეთ!

მე კანონი ვარ. მე განვსაზღვრავ, რა არის სწორი და რა – არა, მე ვადგენ, რისი გაცემა შეიძლება და რისი – არა. მე მოვითხოვ შესრულებას, მიუთითებ ჩემი დაცვისაკენ, ადგევთ უსამართლობას, უზრუნველყოფ წესრიგს; ვავალდებულებ, გააკეთონ ის, რაც ჩემს ფურცლებზე წერია.

ა.

მან დაადგინა

მათ დაადგინეს

ადვოკატ^{მა} დოკუმენტი წარადგინა.მოსამართლე^მ გადაწყვეტილება შეცვალა.

ბ.



დაიმახსოვროთ სიტყვები!

სამწუხაროდ

საბედნიეროდ

მითითება: გამოიყენეთ მაშინ, როცა თქვენ მიერ ნათქვამი წუხილს ან დადებით ემოციას იწვევს.

წინადადებაში ისინი მძიმეებით გამოყავით!

2.6. შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები:

მასში წერია

შესრულებას

წესრიგის დაცვას

იურიდიულ ნორმებს

ადამიანის უფლებებს

ა. კანონი მოითხოვს მის

ბ. კანონი ადგენს

გ. კანონი განსაზღვრავს

დ. კანონი მიუთითებს

ე. კანონი ავალდებულებს გააკეთონ ის, რაც

2.7. მოცემული ზმნები შეცვალეთ ისე, რომ უპასუხოთ კითხვას: რას იზამენ?

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	მოაწესრიგა	აწესრიგებს	მოაწესრიგებს
2	დაიცვა	იცავს	დაიცავს
3	შეიქმნა	იქმნება	შეიქმნება
4	აღიკვეთა	[აღ]იკვეთება	აღიკვეთება



2.8. მოსმენა

საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ

2.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს მოქალაქეებზე ვრცელდება.	
პენსიის უფლება ქალებსაც და მამაკაცებსაც წარმოეშობათ 65 წლის ასაკში.	
პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მის მემკვიდრეებს აღარ გადაეცემათ.	
პენსიის დაფინანსების წყაროა საქართველოს ბიუჯეტი.	

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

- რა არის პენსიის დაფინანსების წყარო?
- რამდენი ხანი უნდა იცხოვრონ უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა საქართველოში, რომ მიიღონ პენსია?
- პირის გარდაცვალების შემდეგ ვის აქვს უფლება მოითხოვოს გარდაცვლილის კუთვნილი პენსია, რომელიც მას სიცოცხლეში არ მიუღია?
- რა ასაკში ენიჭებათ ქალებს პენსიის მიღების უფლება?

2.11. მოსმენილი მასალის მიხედვით, დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- _____
- _____
- _____

2.12. საპრეზენტაციო თემა

უნდა მიეცეს თუ არა პენსია საქართველოში
მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს?

ა.

გაიხსენათ!
ის პენსია, რომელიც

ისწავლეთ!
ის პირები, რომლებიც

მრავლობითი

ისწავლეთ!

სახ. **რომლებიც**
მოთხრ. **რომლებმაც**
მიც. **რომლებსაც**
და სხვ.



დაიმეხსოვრეთ!

შესახებ გამოიყენება მაშინ, როცა მოქმედება იმ საგანს შეეხება,
რომელსაც დაერთვის.

გამო გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა რაიმე მიზეზი აღინიშნება.

მაგ., შენ შესახებ ბევრი არ ვიცი.

თქვენ გამო რამდენიმე კითხვა დამისვს.

ჩემ შესახებ **ჩვენ** შესახებ
შენ შესახებ **თქვენ** შესახებ
[ი]მის შესახებ **[ი]მათ** შესახებ
მაგრამ: ბრალდებულ**ის** შესახებ....

ჩემ გამო **ჩვენ** გამო
შენ გამო **თქვენ** გამო
[ი]მის გამო **[ი]მათ** გამო
მაგრამ: ავადმყოფობ**ის** გამო....

2.13. წერა:

იმსჯელეთ საკითხზე - რაში მეხმარება კანონი?

2.14.

ეს საინტერესოა!

ებრაული სიტყვა კანე (ლერწამი) სიგრძის საზომს ერქვა. პავლე მოციქულმა სიტყვა „კანონ“ გამოიყენა იმ ტერიტორიის აღსანიშნად, რომელიც ღმერთმა მას მოუზომა. მან ამ სიტყვაში „ქცევის ნორმაც“ იგულისხმა. „კანონით“ ქრისტიანებს საკუთარი საქციელი უნდა შეეფასებინათ.

უპასუხეთ კითხვებს:

- სადაური სიტყვაა კანონი?
- რას ნიშნავდა იგი?

2.15. სახალისო გამონათქვამები:

- კანონი უნდა იყოს მოკლე, რომ უვიცებმაც დაიმახსოვრონ.
- გუშინ სამსახურში ვეძებდით სამართლიანობას, დღეს კი ვეძებთ სამსახურს.

უპასუხეთ კითხვას:

- როგორ გესმით გამონათქვამები?

**დაიმახსოვრეთ!**

ყოველი კანონის თავი და ბოლო მოქალაქეთა
მშვიდობით და მოსვენებით ყოფნაა
/ილია ჭავჭავაძე/.

3.1. მოსამზადებელი სამუშაო



- უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციაზე?
2. რატომ დებს პრეზიდენტი ფიცს კონსტიტუციაზე?
3. თქვენი აზრით, რა ვალდებულებას იღებს პრეზიდენტი ამ ფიცით?

3.2. სახელმწიფოს ძირითადი კანონი

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია. არცერთი კანონი და **აქტი**, რომლებსაც იღებენ საქართველოში, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. კონსტიტუცია განსაზღვრავს ქვეყნის მმართველობის ფორმას, მთავრობისა და პრეზიდენტის ფუნქციებს; კონსტიტუცია ასევე ადგენს ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. კონსტიტუციის მისაღებად შეიქმნა სპეციალური ჯგუფი – საკონსტიტუციო კომისია. კონსტიტუციის ტექსტის შედგენაში მონაწილეობდნენ ცნობილი ადამიანები. მათ დაწერეს ცალკეული თავები; დაიწყო ამ თავების **მუხლობრივი** განხილვაც, რასაც დიდი დრო დასჭირდა. 1921 წლის 15 თებერვალს საქართველოში შემოიჭრა წითელი არმია. ამ მოვლენების გამო 1921 წლის 21 თებერვალს საგანგებო სხდომაზე დაჩქარებულად მიიღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის არმია თბილისში შემოვიდა. კონსტიტუციამ მხოლოდ 4 დღე იმოქმედა. მიუხედავად ამისა, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1991 წელს **რეფერენდუმის** საფუძველზე საქართველო გამოვიდა საბჭოთა კავშირიდან, ხოლო 1995 წლის 24 აგვისტოს დამოუკიდებელმა საქართველომ ახალი კონსტიტუცია მიიღო.

3.3. ლექსიკა:

აქტი [სამართლებრივი] – ხელისუფლების ან თანამდებობის პირის მიერ მიღებული დოკუმენტი.

მუხლი – იურიდიული დოკუმენტის მცირე ნაწილი.

მუხლობრივი – მუხლების მიხედვით.

რეფერენდუმი – საყოველთაო გამოკითხვა.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. რა არის კონსტიტუცია?
2. შეიძლება ქვეყანაში მიღებული კანონები ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას?
3. როდის მიიღო საქართველომ პირველი კონსტიტუცია?
4. რა მოვლენამ დააჩქარა მისი მიღება?
5. რამდენი ხანი იმოქმედა პირველმა კონსტიტუციამ?



დაიმახსოვრეთ!

რა?	როგორი?
[კანონის] მუხლი სამართალი	მუხლ ობრივი განხილვა სამართლ ებრივი აქტი



ასეთივე სიტყვებია:

რა?		როგორი?		რა?		როგორი?
ადგილი	→	ადგილ ობრივი		ბუნება	→	ბუნ ებრივი
დარგი	→	დარგობრივი		გონება	→	გონებრივი
დედა	→	დედობრივი		დანაშაული	→	დანაშაულებრივი
ენა	→	ენობრივი		საზოგადოება	→	საზოგადოებრივი
მასა	→	მასობრივი		სარწმუნოება	→	სარწმუნოებრივი
რასა	→	რასობრივი		უფლება	→	უფლებრივი
მიზანი	→	მიზნობრივი		სახელმწიფო	→	სახელმწიფოებრივი
ფაქტი	→	ფაქტობრივი		ქონება	→	ქონებრივი

3.5. გამოყავით ზმნები, რომლებიც უკავშირდება კონსტიტუციას!

ნიკო პაპა სამართლიანი ადამიანი იყო. ერთ დღეს მასთან მეზობელი მივიდა, ფული დამეკარგა და შენი სახლი უნდა გავჩხრიკო. პაპამ კარადიდან კონსტიტუცია გამოიღო, მეზობელს აჩვენა და უთხრა: ჩემს სახლს ვერ გაჩხრიკ, ეს წიგნი უზრუნველყოფს ჩემს უფლებებს, არეგულირებს დავებს და მეც მიცავს! მეზობელი მიხვდა, რომ მოხუცს ვერ აჯობებდა. ნიკო პაპა ნამდვილი იურისტი მოიქცა.



დაიმახსოვრეთ!

-ვით გამოხატავს მსგავსებას. ის გამოიყენება სახელობითთან და მიცემითთან:

მაგ., იურისტ-ი-**ვით** კარგად იცოდა.

გიორგი ჩემ-სა-**ვით** მაღალი იყო.

I. ჩემ სა ვით	ჩვენ სა ვით
II. შენ სა ვით	თქვენ სა ვით
III. მას სა ვით	მათ სა ვით
აგრეთვე:	მოსამართლე სა ვით, კონსტიტუცია სა ვით

3.6. წაიკითხეთ დიალოგი და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნები!

გულისხმობს – იგივეა, რაც: ნიშნავს.

ჰქვია – იგივეა, რაც: ეწოდება.

დიალოგი:

შვილი: მამა, რას ნიშნავს სახელმწიფოს ძირითადი კანონი?

მამა: სახელმწიფოს ძირითადი კანონი კონსტიტუციაა.

შვილი: რატომ _____ ძირითადი კანონი?

მამა: იმიტომ, რომ სხვა კანონები, რომლებსაც ქვეყანაში _____, მას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

შვილი: მმართველობის ფორმა რას _____?

მამა: როგორ აგისნა?! მმართველობის ფორმა _____, ვინ _____ ქვეყანას და როგორ.

3.7. ა) წაიკითხეთ დიალოგი!

შვილი: მამა, როდის მიიღეს საქართველოს პირველი კონსტიტუცია?

მამა: 1921 წლის თებერვალში, მაგრამ ამ კონსტიტუციამ მხოლოდ ოთხი დღე იმოქმედა.

შვილი: მაინც ხომ მაგარი იყო, არა?!

მამა: რა თქმა უნდა, ძალიან მაგარი.

შვილი: ყველა ასე ამბობს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდაო. რატომ?

მამა: იმიტომ, რომ მასში საქართველოს დემოკრატიული გამოცდილება ჩანს.

ბ) მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები და შესიტყვებები [1-4] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-დ]:

1. პირველი კონსტიტუცია მიიღეს _____
 2. დემოკრატიული გამოცდილება ჩანს _____
 3. ოთხი დღე იმოქმედა _____
 4. ყველა ასე ამბობს, რომ _____
- ა. კონსტიტუციის მიღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.
 ბ. 1921 წელს.
 გ. საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღებაში.
 დ. საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ.

3.8. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	შეეწინააღმდეგა	ეწინააღმდეგება	შეეწინააღმდეგება
2	გამოცხადდა	ცხადდება	გამოცხადდება
3	[მონაწილეობა] მიიღო	[მონაწილეობას] იღებს	[მონაწილეობას] მიიღებს
4	იმოქმედა	მოქმედებს	იმოქმედებს
5	დაარეგულირა	არეგულირებს	დაარეგულირებს



3.9. მოსმენა

დიალოგი: კონსტიტუცია – ძირითადი კანონი

3.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ნიკა უნივერსიტეტში ლექციაზე მიდის.	
საქართველოში არცერთი კანონი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.	
პარლამენტს არ აქვს უფლება ცვლილებები შეიტანოს კონსტიტუციაში.	
ნიკასთვის, როგორც იურისტისთვის, კონსტიტუციის ცოდნა მნიშვნელოვანი არ არის.	

3.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. კონსტიტუციის გარდა, საქართველოში არსებობს თუ არა სხვა კანონებიც?
2. რა განსაზღვრავს ქვეყანაში მმართველობის ფორმას?
3. დეპუტატთა რა რაოდენობა სჭირდება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას?

3.12. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.13. საპრემენტაციო თემა

აუცილებელია თუ არა საქართველოს ყველა მოქალაქემ იცოდეს საქართველოს კონსტიტუცია?

3.14. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და მოსმენილი დიალოგის მიხედვით ააგეთ ახალი დიალოგი!

ა.

[მე]	რას ვშვრებოდე?	[ჩვენ]	რას ვშვრებოდეთ?
[შენ]	რას შვრებოდე?	[თქვენ]	რას შვრებოდეთ?
[ის]	რას შვრებოდეს?	[ისინი]	რას შვრებოდნენ?



[მე]	ვეწინააღმდეგებოდე	[ჩვენ]	ვეწინააღმდეგებოდეთ
[შენ]	ეწინააღმდეგებოდე	[თქვენ]	ეწინააღმდეგებოდეთ
[ის]	ეწინააღმდეგებოდეს	[ისინი]	ეწინააღმდეგებოდნენ



დაიმახსოვრეთ!

ასეთი ფორმები ხშირად გამოიყენება **უნდა** და **შეიძლება** ზმნებთან ერთად.

მაგ., ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.

ის შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.

ბ.

ხელი აღარ შეუშალა – წინააღმდეგობა აღარ გაუწია რაიმე მოქმედებაში, დაბრკოლება არ შეუქმნა, არ შეაჩერა.



ხელი შეუშალა – წინააღმდეგობა გაუწია რაიმე საქმეში, დაბრკოლება შეუქმნა.

ხელი შეუწყო – დაეხმარა, დახმარება გაუწია.

ხელი გაუმართა – მატერიალურად დაეხმარა, ფინანსური დახმარება გაუწია.

ხელში ჩაიგდო – მოიპოვა, დაეუფლა, დაისაკუთრა, დაიპყრო.



დააკვირდით!

როცა მეორე პირს ზრდილობიანად მიმართავთ, მაშინ გამოიყენეთ შემდეგი ფორმები:

– ხელი შეგიშალეთ, ბატონო?!

– ხელი შეგიწყვეთ და მაინც უკმაყოფილო ხართ?!

– მე ხომ ხელი გაგიმართეთ, მეტი რა უნდა მექნა?!

3.15. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – რაში გვეხმარება კონსტიტუციის ცოდნა?

3. 16. თემატური გამონათქვამი:

„მე არც ქრისტიანი ვარ და არც – ათეისტი, არც – ებრაელი და არც – მუსლიმანი, ჩემი რელიგია ის არის, რაც მწამს და მას ამერიკის კონსტიტუცია ეწოდება“

/ფილმიდან „მარტის იდები“, რეჟისორი ჯორჯ კლუნი/.

უპასუხეთ კითხვას:

- როგორ დაახასიათებდით ამის მთქმელს?

3.17. სახალისო გამონათქვამები:

- კონსტიტუცია ბავშვებს ბალის ასაკიდანვე უნდა წაუკითხო, ეს ხომ ყველაზე კეთილი ზღაპარია!
- ჩვენი კონსტიტუცია უნივერსალურია, გამოდგება დემოკრატიისთვისაც და დიქტატურისთვისაც.

უპასუხეთ კითხვას:

- როგორ გეხმობ მოცემული გამონათქვამები?

ლექსიკა

აქტი [სამართლებრივი] – ხელისუფლების ან თანამდებობის პირის მიერ მიღებული დოკუმენტი.

აღკვეთა – შეწყვეტა, ხელის შეშლა.

დავა – კონფლიქტი, კამათი.

დანაშაული – კანონის დარღვევა, კანონსაწინააღმდეგო ქმედება.

დანაშაულის აღკვეთა – კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის ხელის შეშლა.

კანონი – სახელმწიფოს მიერ დადგენილი იურიდიული წესები და ნორმები.

მიუღებელი – რაც არ არის მისაღები.

მორალი – საეცელი, რომელსაც ხალხი სწორად მიიჩნევს.

მუხლი – იურიდიული დოკუმენტის მცირე ნაწილი.

მუხლობრივი – მუხლების მიხედვით.

რეფერენდუმი – საყოველთაო გამოკითხვა.

სამართალი – სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონების ერთობლიობა.

სამართლიანობა – სამართლიანი, სწორი დამოკიდებულება რამის ან ვინმეს მიმართ.

უბრუნველყოფა – მოგვარება, ყველაფრით ხელის შეწყობა.

უფლება – პიროვნების შესაძლებლობა, რომელიც კანონითაა დადგენილი.

წერილობითი დოკუმენტი – დოკუმენტი, რომელიც დაწერილია, არ არის ზეპირი.

ზმნები

N	ახლან- დელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმე-ობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ჰნა?	რას იზამს?	რა უნდა ჰნას?	რა უქნია?	რა?
1	აბეზღებს	აბეზღებდა	დააბეზღა	დააბეზღებს	დააბეზღოს	დაუბეზღებია	დაბეზღება
2	არეგულირებს	არეგულირებდა	დაარეგულირა	დაარეგულირებს	დაარეგულიროს	დაურეგულირებია	დარეგულირება
3	არსებობს	არსებობდა	იარსება	იარსებებს	იარსებოს	უარსებია	არსებობა
4	აქვს	ჰქონდა	ჰქონდა	ექნება	ჰქონდეს	ჰქონია	ქონა
5	[აღ]იკვეთება	[აღ]იკვეთებოდა	აღიკვეთა	აღიკვეთება	აღიკვეთოს	აღკვეთილა	აღკვეთა
6	[აღ]ნიშნავს	[აღ]ნიშნავდა	აღნიშნა	აღნიშნავს	აღნიშნოს	აღნიშნავს	აღნიშვნა
7	აჩვენებს	აჩვენებდა	აჩვენა	აჩვენებს	აჩვენოს	უჩვენებია	ჩვენება
8	აწესრიგებს	აწესრიგებდა	მოაწესრიგა	მოაწესრიგებს	მოაწესრიგოს	მოუწესრიგებია	მოწესრიგება
9	ეკარგება	ეკარგებოდა	დაეკარგა	დაეკარგება	დაეკარგოს	დაჰკარგვია	დაკარგვა
10	ერევა	ერეოდა	მოერია	მოერევა	მოერიოს	მოერეოდა	მოერევა
11	ეწინააღ- მდეგება	ეწინააღმდე- გებოდა	შეეწი- ნააღმდეგა	შეეწინააღ- მდეგება	შეეწინააღ- მდეგოს	შესწინააღ- მდეგებია	შეწინააღ- მდეგება
12	ისახება	ისახებოდა	აისახა	აისახება	აისახოს	ასახულა	ასახვა
13	იქმნება	იქმნებოდა	შეიქმნა	შეიქმნება	შეიქმნას	შეიქმნილა	შეიქმნა
14	იღებს	იღებდა	აიღო	აიღებს	აიღოს	აუღია	აღება
15	იღებს [მონაწი- ლეობას]	იღებდა [მონაწი- ლეობას]	მიიღო [მონაწი- ლეობა]	მიიღებს [მონაწი- ლეობას]	მიიღოს [მონაწი- ლეობა]	მიუღია [მონაწი- ლეობა]	[მონაწი- ლეობის] მიღება
16	იცავს	იცავდა	დაიცვა	დაიცავს	დაიცვას	დაუცავს	დაცვა
17	იცვლება	იცვლებოდა	შეიცვალა	შეიცვლება	შეიცვალოს	შეცვლილა	შეცვლა
18	იჭრება	იჭრებოდა	შემოიჭრა	შემოიჭრება	შემოიჭრას	შემოიჭრილა	შემოიჭრა
19	იხდის	იხდიდა	გადაიხდა	გადაიხდის	გადაიხდოს	გადაუხდია	გადახდა
20	მოქმედებს	მოქმედებდა	იმოქმედა	იმოქმედებს	იმოქმედოს	უმოქმედა	მოქმედება
21	ჩნდება // ჩანს	ჩნდებოდა // ჩანდა	გამოჩნდა	გამოჩნდება	გამოჩნდეს	გამოჩნენილა	გამოჩნა
22	ჩხრეკს	ჩხრეკდა	გაჩხრიკა	გაჩხრეკს	გაჩხრიკოს	გაუჩხრეკია	გაჩხრეკა
23	ცხადდება	ცხადდებოდა	გამოცხადდა	გამოცხადდება	გამოცხადდეს	გამოცხადებულა	გამოცხადება
24	წყდება	წყდებოდა	გადაწყდა	გადაწყდება	გადაწყდეს	გადაწყვეტილა	გადაწყვეტა
25	ხდება	ხდებოდა	გახდა	გახდება	გახდეს	გამხდარა	გახდომა
26	სჯობნის	სჯობნიდა	აჯობა	აჯობებს	აჯობოს	უჯობნია	ჯობნა

II ტავი ქვეყნის მართვა, მმართველობის ფორმები უფლებები და თავისუფლებები

I ნაწილი ქვეყნის მართვა

1.1. მოსამზადებელი სამუშაო



- უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. რისი სიმბოლოა გლობუსი და პულტი?
3. რას აკეთებდა მეფე ქვეყანაში? შაჰი? იმპერატორი?
4. რა აქვთ საერთო ილუსტრაციებზე გამოსახულ პირებს?

განასხვავეთ!

მძლავრი მართავს მანქანას.
კაპიტანი მართავს გემს.
პრეზიდენტი მართავს ქვეყანას.

1.2. ტექსტი:

ქვეყანას მართავს ხელისუფლება. ხელისუფლება არის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. პარლამენტი **საკანონმდებლო ხელისუფლებაა**. ის ქმნის იმ კანონებს, რომლებითაც მართავენ ქვეყანას.

მთავრობა – მინისტრთა კაბინეტი – **აღმასრულებელი ხელისუფლებაა**. მას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. მთავრობა განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საქართველოს პრეზიდენტი, კონსტიტუციის მიხედვით, არის სახელმწიფოს მეთაური. რეგიონებში მთავრობის წარმომადგენლები არიან გუბერნატორები. მათი მოვალეობაა წესრიგის დაცვა, სოფლის მეურნეობის განვითარება და ა.შ.

სასამართლო ხელისუფლება ახორციელებს სამართალს, ანუ მართლმსაჯულებას, განიხილავს **სამოქალაქო დავებსა** და **სისხლის სამართლის საქმეებს**. მოსამართლე მართავს სხდომას, უსმენს **მხარეებს** და იღებს გადაწყვეტილებას. სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა.

- აღმასრულებელ ხელისუფლებას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს.
- სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა.

1.3. ლექსიკა:

საკანონმდებლო ხელისუფლება – ხელისუფლება, რომლის მთავარი ფუნქციაა კანონების შექმნა.

აღმასრულებელი ხელისუფლება – ხელისუფლება, რომლის მთავარი ფუნქციაა კანონების შესრულების კონტროლი.

სასამართლო ხელისუფლება (სასამართლო) – დაწესებულია, სადაც კანონების მიხედვით ადგენენ სიმართლეს და იღებენ გადაწყვეტილებებს.

სამოქალაქო დავა – კონფლიქტი მოქალაქეთა შორის.

სისხლის სამართლის საქმე – მძიმე დანაშაული.

მხარეები – აქ: სამართლებრივად სხვადასხვა პოზიციაზე მდგომი ადამიანები.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. დაასახელეთ ხელისუფლების სახეები!
2. რა არის საკანონმდებლო ხელისუფლება?
3. ვინ ხელმძღვანელობს აღმასრულებელ ხელისუფლებას?
4. ვინ ხელმძღვანელობს სასამართლო ხელისუფლებას?

სინონიმები	ანტონიმები
ზედამხედველობა – კონტროლი მართლმსაჯულება – სამართალი	საშინაო – საგარეო წესრიგი – უწესრიგობა



დაიმახსოვრეთ!

სამართალი → **სასამართლო** [ხელისუფლება]
მოქალაქე → **სამოქალაქო** [საქმე]

1.5. წიკითხეთ დიალოგი, გამოყავით მასში ხელისუფლების ფუნქციები!

მოსწავლე: რატომ მართავს ქვეყანას სამი ხელისუფლება და არა - ერთი?

მასწავლებელი: იმიტომ, რომ მათ სხვადასხვა ფუნქცია აქვთ.

მოსწავლე: ჩემი აზრით, ქვეყანას მხოლოდ მთავრობა მართავს.


მასწავლებელი: არ გეთანხმები. მთავრობას, ანუ მინისტრთა კაბინეტს, დიდი როლი აქვს ქვეყნის მართვაში. ის აღმასრულებელი ხელისუფლებაა და აკონტროლებს, რომ შესრულდეს კანონი. თავადაც ადგენს აქტებს, მაგრამ ქვეყნის ძირითად კანონს პარლამენტი – საკანონმდებლო ხელისუფლება – ქმნის.

მოსწავლე: ის ხომ არ მართავს ქვეყანას?

მასწავლებელი: სამაგიეროდ, მისი შექმნილი კანონი მართავს.

მოსწავლე: სასამართლოს რატომღა ჰქვია ხელისუფლება?

მასწავლებელი: იმიტომ, რომ ის განიხილავს დავას და იღებს გადაწყვეტილებას. არავის აქვს უფლება, არ შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება.



მაგ.,
სჯობს, ხელი არავინ შემიშალოს!
ისე ბნელა, ვერაფერს ვხედავ.
სწრაფად გამოვიქეცი და არაფერი დამინახავს.
ჩემს ოთახში ნურავის შემოუშვებთ!

ისწავლეთ!

სახ.	არავინ	არაფერი
მოთხრ.	არავინ	არაფერმა
მიც.	არავის	არაფერს
ნათ.	არავის	არაფრის
მოქმ.	----	არაფერით
ვით.	----	არაფერად
წოდ.	----	----

1.6. წიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

ლია, მანანა, გიორგი და ანდრო ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. გაარკვიეთ, კონკრეტულად რომელ ხელისუფლებას წარმოადგენს თითოეული მათგანი!

- ანდრო პრემიერ-მინისტრის მრჩეველია, ე.ი. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.
- ლია მოსამართლეა სააპელაციო სასამართლოში. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.

- გ. გიორგი საქართველოს პარლამენტის სპიკერია. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.
- დ. მანანა მოსამართლის თანაშემწეა. ის წარმოადგენს _____ ხელისუფლებას.

- მე წარმოადგენ ჩემს ქვეყანას.

1.7. წაიკითხეთ დიალოგი; ამოიკითხეთ სამართლისათვის დამახასიათებელი ლექსიკა!

იზო: მეგობრებთან ყოველდღე ისეთი ჩხუბი მაქვს, ლამის ერთმანეთი დავხოცოთ. აღარ ვიცი, რამე თუ მეშველება.

გივი: აუცილებლად ადვოკატს დაელაპარაკე.

იზო: სხვა რა გზა მაქვს!

გივი: მეგობრებთან ჩხუბი, მგონი, სამოქალაქო დავაა. ადვოკატიც სამოქალაქო სამართლის სპეციალისტი უნდა იყოს.

იზო: სად მივიდე?

გივი: საადვოკატო ბიუროში მიდი და იქ დაგარიგებენ.

იზო: კი მაგრამ, ეს სისხლის სამართლის საქმე არ არის, ჩემს ქმარს რომ ემუქრება, მოგკლავო?!

გივი: ო, ეს უკვე სისხლის სამართლის საქმეა. მაინც მიდი საადვოკატო ბიუროში. ისინი უკეთ გირჩევენ, როგორ მოიქცე.

ბანასხვავეთ!

- ა) მშობლები მირჩევენ [//რჩევას მაძლევენ], იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარო.
- ბ) წელს არჩევნებია და ერთ-ერთი რეგიონის დეპუტატად მირჩევენ.

1.8. წაიკითხეთ სიტყვათშეკავშირებები და ააგეთ წინადადებები:

საკანონმდებლო ხელისუფლება	სასამართლო გადაწყვეტილება
აღმასრულებელი ხელისუფლება	საადვოკატო ბიურო
სასამართლო ხელისუფლება	საპარლამენტო არჩევნები
სამოქალაქო დავები	საპრეზიდენტო არჩევნები
სისხლის სამართლის საქმე	ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

1.9. მოცემული გზნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	შექმნა	ქმნის	შექმნის
2	უხელმძღვანელა	ხელმძღვანელობს	უხელმძღვანელებს
3	განახორციელა	ახორციელებს	განახორციელებს
4	განიხილა	[გან]იხილავს	განიხილავს
5	ურჩია	ურჩევს	ურჩევს

აქ: ურჩევს – იგივეა, რაც: რჩევას აძლევს (რას შვრება?)
ურჩევს – რჩევას მისცემს (რას იზამს?)
ურჩია – რჩევა მისცა (რა ენა?)



1.10. მოსმენა

დიალოგი: არჩევნები

1.11. დიალოგის მიხედვით აარჩიეთ სწორი პასუხები!

რა ვადით ირჩევენ საქართველოს პრეზიდენტს?

- ა. 4 წლის ვადით.
- ბ. 3 წლის ვადით.
- გ. 5 წლის ვადით.

რა არის საჭირო ხმის მისაცემად?

- ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.
- ბ. მშობლების თანხმობა.
- გ. სკოლის ატესტატი.

საქართველოს კონსტიტუციით ვინ არის მთავრობის მეთაური?


- ა. პრემიერ-მინისტრი.
- ბ. პრეზიდენტი.
- გ. პარლამენტი.

ვინ ადგენს ქვეყნის მთავრობას?

- ა. პრეზიდენტი.
- ბ. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული გუნდი.
- გ. სასამართლო ხელისუფლება.

1.12. მოისმინეთ დიალოგი კიდევ ერთხელ და შეავსეთ ტექსტში გამოტოვებული ადგილები!

1. არც კი გრცხვენია! თუ მოქალაქე ხარ, _____ მოიხადო.
2. პარლამენტი, ხომ იცი, საკანონმდებლო ხელისუფლებაა, _____ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული გუნდი კი _____. პრემიერ-მინისტრი მთავრობის _____
3. ოთხ წელიწადში ერთხელ ადგილობრივი _____ არჩევნებია. სოფლები და ქალაქები ქალაქის მერსა და _____ ირჩევენ.
4. იქნებ მივიღე კიდევ. როგორ მითხარი? _____ ვალიო?



1.13. საპრეზენტაციო თემა

რატომ უნდა მიიღოს ქვეყნის მოქალაქე
არჩევნებში მონაწილეობა?

1.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - რა არის ჩემი მოქალაქეობრივი ვალი?


1. 15. თემატური გამონათქვამები:

თავი და ბოლო კანონებისა თვით ხალხია
 /ილია ჭავჭავაძე/.
 უფრო ადვილია ქვეყნის მართვა, ვიდრე ოთხი შვილის აღზრდა
 /უინსტონ ჩერჩილი/.

უპასუხეთ კითხვებს!

- როგორ გესმით მოცემული გამონათქვამები?
- რა შემთხვევაში გამოიყენებთ ამ გამონათქვამებს?

ა.



აღ- და **ა-** მიუთითებს მიმართულებას ქვემოდან ზემოთ

რას იზამს?

აღადგენს – თავიდან გააკეთებს
აღწერს – ჩამოთვლის, სიას შეადგენს
აღზრდის – გაზრდის, კარგ ქცევას ასწავლის
აღნიშნავს – რაიმეს იტყვის ან ჩაინიშნავს [მაგ., რეგულში]
აღრიცხავს – დათვლის, იანგარიშებს, რაოდენობას დაითვლის
აღძრავს – საქმეს წამოიწყებს, საჩივარს შეიტანს სასამართლოში

რა?

→ **აღ**დგენა
 → აღწერა
 → აღზრდა
 → აღნიშვნა
 → აღრიცხვა
 → აღძვრა

ბ.

გაიხსენეთ!

ხალხი სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვაა და ზმნას მხოლოდით რიცხვში მოითხოვს.

მაგ., ხალხი არის; ან: ხალხია.

ახალგაზრდობა ფიქრობს.

II ნაწილი ქვეყნის მმართველობის ფორმები

2.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას გხედავთ ილუსტრაციებზე?
2. მმართველობის როგორ ფორმას შეესაბამება I ილუსტრაცია?
3. მმართველობის როგორ ფორმას შეესაბამება II ილუსტრაცია?

2.2. ტექსტი:

ძველად ქვეყანას მართავდა მეფე. მმართველობის ფორმა იყო **მონარქია**. მონარქიის დროს **ძალაუფლება** არის ერთი ადამიანის, მეფის, ხელში. თავდაპირველად მეფეს ირჩევდა ხალხი, მოგვიანებით კი მეფეები თავიანთ ძალაუფლებას **მემკვიდრეობით** გადასცემდნენ უფროს ვაჟებს. საბერძნეთში მეფეებს დიდი ძალაუფლება ჰქონდათ: გამოსცემდნენ კანონებს და იყვნენ მოსამართლეები. ისინი იყვნენ ჯარისკაცებს იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც არ ეთანხმებოდა კანონებს და არ იხდიდა გადასახადებს.

არსებობს მონარქიის ორი ტიპი: **კონსტიტუციური მონარქია**, რომლის დროსაც მონარქის ძალაუფლება **შეზღუდულია** კონსტიტუციით, და **აბსოლუტური მონარქია**, რომლის დროსაც მონარქის ძალაუფლება **შეუზღუდავია**. ძველად იყო აბსოლუტური მონარქია, შეზღუდული მონარქია ახალი დროის მმართველობის ფორმაა.

მონარქიის საპირისპირო მმართველობის ფორმა დემოკრატიაა. დემოკრატია ძველ საბერძნეთში გაჩნდა. დემოკრატიის დროს მთელი ძალაუფლება ხალხს, მის წარმომადგენლებს ეკუთვნის. დემოკრატია მოიცავს მთელ რიგ უფლებებსა და თავისუფლებებს. დემოკრატიული არჩევნების ფორმა **კენჭისყრაა**. ძველ საბერძნეთში, ათენში, კენჭისყრა მართლა კამათლის აგდება იყო, ანუ **შემთხვევითობის** პრინციპით ინიშნებოდნენ სახელმწიფო მოხელეები. ათენური დემოკრატია დღესაც მმართველობის საუკეთესო მაგალითია.

- ხალხი ახალ პარლამენტს აირჩევს.

2.3. ლექსიკა:

მონარქია – მონარქის, მეფის ერთპიროვნული მმართველობა.

ძალაუფლება – ქვეყნის მართვის უფლება.

მემკვიდრეობა – ძალაუფლების ან ქონების გადაცემა მშობლიდან შვილზე.

შეზღუდული – ჩარჩოებისა და საზღვრების მქონე.

შეუზღუდავი – ჩარჩოებისა და საზღვრების გარეშე, ყველანაირი უფლების მქონე.

კენჭისყრა – არჩევნებში ხმის მიცემა.

შემთხვევითობა – არაგამიზნულად, მოულოდნელად, შემთხვევის გამო.

2.4. ტექსტის გააზრება:

1. რას ნიშნავს მონარქია?
2. როგორი ტიპის მონარქია არსებობს?
3. რას ნიშნავს დემოკრატიული მმართველობა?
4. რა პრინციპით ინიშნებოდნენ ძველ საბერძნეთში მოხელეები?

სინონიმები	ანტონიმები
თავდაპირველად – უპირველესად მეფე – მონარქი მოსამართლე – მსაჯული აბსოლუტური – სრული გაჩნდა – დაიბადა	შეზღუდული – შეუზღუდავი უფროსი – უმცროსი



გაჩნდა – დაიბადა
მაგ., ეს განცხადება მაგიდაზე საიდან გაჩნდა?
ვინ დაიბადა აპრილში?

მსაჯული → მართლმსაჯულება, ანუ მართებული, სწორი სამართალი.

რა?	როგორი?
კონსტიტუცია	→ კონსტიტუციური
დემოკრატია	→ დემოკრატიული

2.5. მმართველობის რომელ ფორმას ასახავს მოცემული დიალოგი? თქვენი აზრი დაასაბუთეთ!

მსახური: მეფე ბატონო, რა მოგართვათ?

მეფე: თავად უნდა იცოდეს, შენს მეფეს რა ესიამოვნება!

მსახური: მაპატიეთ, ასეთ კითხვას აღარ დავისვამთ. სხვა რამეს ხომ არ მიბრძანებთ?

მეფე: ვბრძანებ, არავინ შემაწუხოს!

სახ.	შენი	მეფე
მოთხრ.	შენმა	მეფემ
მიც.	შენს	მეფეს
და სხვ.		

მაგ., სჯობს, ჩვენს მეფეს კითხვა აღარ დაუსვათ.
თქვენმა მონარქმა ახალი კანონი გამოსცა.

2.6. იპოვეთ ტექსტში პასუხი კითხვაზე: როგორია სამართლებრივი სახელმწიფო?

საქართველო სამართლებრივი სახელმწიფოა. იურისტები სამართლებრივ სახელმწიფოს ახასიათებენ შემდეგნაირად: სამართლებრივი სახელმწიფო არის დემოკრატიული, მასში უზენაესია კანონი, ხელისუფლება დაცოფილია სხვადასხვა შტოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. ყველა შტო თავის ფუნქციას ასრულებს. სამართლებრივ სახელმწიფოში მოქალაქეს გარანტირებული აქვს თავისუფლება.

სინონიმები
შტო – ნაწილი

2.7. მმართველობის რომელ ფორმას ასახავს მოცემული დიალოგი? თქვენი აზრი დაასაბუთეთ!

მუშა: ბატონო დირექტორო, ამ საწარმოში ჩემი უფლებები ირღვევა. უფროსი ითხოვს არასამუშაო დროსაც აქ ვიყო, ამაში კი ხელფასს არ მიხდის. თუ ასე გაგრძელდა, მე ამ სამსახურიდან წავალ.

დირექტორი: ვნახავ შენს უფროსს და დაველაპარაკები. ყველამ უნდა იცოდეს თავისი მოვალეობები და უფლებებიც. ნამდვილად არ გეკუთვნით არასამუშაო დროს საწარმოში დარჩენა. ყოჩაღ, რომ შენს უფლებებს იცავ!

მუშა: დღეს ეს გასაკვირი აღარაა. ყველამ იცის, რისი უფლებები აქვს!

ამ სამსახურიდან წავედი = ამ სამსახურში აღარ ვმუშაობ

2.8. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	გადასცა	გადასცემს	გადასცემს
2	დაეთანხმა	ეთანხმება	დაეთანხმება
3	გამოიყენა	იყენებს	გამოიყენებს
4	დაინიშნა	ინიშნება	დაინიშნება

[მან]	რა ქნა?	[მათ]	რა ქნეს?
[ის]	წავიდა	[ისინი]	წავიდნენ



დაიმახსოვრეთ!

ადვოკატი თავის ოფისში დაბრუნდა.
მოსამართლე სასამართლო დარბაზიდან გავიდა.



2.9. მოსმენა

მმართველობის ფორმები ძველ საბერძნეთში

2.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ძველ საბერძნეთში მმართველობის ათზე მეტი ფორმა იყო.	
ოლიგარქიის დროს სახელმწიფოს ერთი კაცი მართავს.	
ძველ საბერძნეთში და რომში ჰქონდათ პარლამენტის მსგავსი მმართველობის ორგანო.	
დემოკრატია ხალხის მმართველობას ნიშნავს.	

2.11. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. ვინ მართავს ოლიგარქიის დროს სახელმწიფოს?
2. როგორი მმართველობის ფორმაა დღეს საქართველოში?
3. ვინ ირჩევს საქართველოში პარლამენტის წევრებს?
4. ვინ არის საქართველოს მთავრობის მეთაური?

2.12. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

2.13. საპრეზენტაციო თემა

რატომ არის დემოკრატიული მმართველობის ფორმა სხვა მმართველობის ფორმებზე უკეთესი?

ა.

ბარდა – გამოვიყენოთ მაშინ, როცა რაიმეს გამოვრიცხავთ.

მაგ., ამ საბუთის გარდა სხვა დოკუმენტიც გჭირდებათ.

ნაცვლად – გამოვიყენოთ მაშინ, როცა რაიმე უნდა შეიცვალოს (იგივეა, რაც: მაგივრად).

მაგ., ამ საბუთის ნაცვლად სხვა დოკუმენტი უნდა მოგეტანათ.

ბ.

თუ, მაშინ

მაშინ, თუ

გ.

როცა აჯამებთ ნათქვამს, აზრს ან ტექსტს, გამოიყენეთ სიტყვები:

ამრიგად ან **მაშასადამე**.

წინადადებაში ისინი მძიმეებით გამოყავით!

მაგ., ამრიგად, საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა.

მაშასადამე, საქართველოში მმართველობის

დემოკრატიული ფორმებია.

2.14. წერა:

იმსჯელეთ საკითხზე – ქვეყნის მმართველობის რომელი ფორმა მოგწონთ და რატომ?

2.15. თემატურ გამონათქვამებს [1–3] მიუსადაგეთ მათთან აზრობრივად დაკავშირებული სამართლებრივი ტერმინები [ა–გ]:


1. საუკეთესო მმართველი ის არის, ვინც არ ზღუდავს ხალხის უფლებებს _____
2. ვერავინ დაარღვევს კანონს, რომელსაც თვით მეფე ემორჩილება (პეტრე I) _____
3. სახელმწიფო ეს მე ვარ! (ლუდოვიკო XIV) _____

- ა. აბსოლუტური მონარქია.
- ბ. სამართლებრივი სახელმწიფო.
- გ. დემოკრატიული მმართველობა.

III ნაწილი

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

3.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. როგორ გესმით სიტყვა უფლება?
3. როგორ დაუკავშირებთ ილუსტრაციებზე გამოსახულ საგნებს სიტყვას „თავისუფლება“?
4. თქვენი პირადი გამოცდილებიდან მოიყვანეთ მაგალითი, რისი უფლება გაქვთ და რისი – არა?

3.2. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

მე ვარ თამარ დოლიძე, საქართველოს მოქალაქე. მე დაცული ვარ ჩემს ქვეყანაში, რადგან სახელმწიფო ზრუნავს თითოეულ მოქალაქეზე. ჩვენს ქვეყანაში ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია. ეს ნიშნავს, რომ ყველა თანასწორია კანონის წინაშე. არა აქვს მნიშვნელობა რასაც, კანის ფერს, სქესს, კულტურას, რელიგიას, პოლიტიკურ შეხედულებებს და ა.შ.

სიცოცხლე ადამიანის უფლებაა და მას იცავს კანონი. მე კარგად ვიცი, რისი უფლება მაქვს, რა შემიძლია და რა – არა. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისისა და რწმენის **თავისუფლება**. ვერავინ დამიშლის ვთქვა სიმართლე, გამოვხატო საკუთარი აზრი ვინმეს ან რამის შესახებ; ვილოცო იქ, სადაც მინდა, და ავირიხო ის სარწმუნოება, რომელიც მომწონს.

არავის აქვს უფლება, ჩაერიოს ჩემს პირად ცხოვრებაში, წაიკითხოს ჩემი პირადი ჩანაწერები ან სხვასთან მიმოწერა, მოისმინოს ჩემი სატელეფონო საუბრები. ეს მხოლოდ სასამართლოს სპეციალური **ნებართვით** შეიძლება. არავის აქვს უფლება სახლში შემომივარდეს და სასამართლოს კონტროლის გარეშე ჩაატაროს ჩხრეკა. ჩემს **საკუთრებას** ვერავინ შეეხება. ეს იქნება საკუთრების **უფლების შელახვა** და თუ ეს მოხდა, მე მივმართავ სასამართლოს.

მე მაქვს უფლება, ნებისმიერ საზოგადოებრივ გაერთიანებაში შევიდე ან თვითონ შევექმნა გაერთიანება, მაგალითად, პარტია. 18 წლის ასაკიდან უკვე შემიძლია არჩევნებში მივიღო მონაწილეობა.

ჩემი აზრით, ყველამ უნდა დაიცვას საკუთარი უფლებები. მეც თუ დამჭირდა, საკუთარი თავისუფლების დასაცავად სასამართლოს მივმართავ. ესეც უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი დანაშაული არ დამტკიცდება **სასამართლოს განაჩენით**. ამ უფლებას უდანაშაულობის პრეზუმფცია ჰქვია.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე ზედამხედველობა სახალხო დამცველს (ომბუდსმენს) ევალება. ასე რომ, მას შეიძლება ყველამ მიმართოს. სახალხო დამცველის ოფისები არის თბილისში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდში, ბათუმში, ახალქალაქსა და მარნეულში.

მე ვარ თამარ დოლიძე და ყოველთვის დავიცავ ჩემს უფლებებს!

- მე დავიცავ ჩემს უფლებებს!

3.3. ლექსიკა:

თავისუფლება – პიროვნების შესაძლებლობა, გამოიყენოს საკუთარი უფლება კანონის ფარგლებში.

ნებართვა – კონკრეტული ქმედების განხორციელების უფლება.

საკუთრება – კერძო, საკუთარი ქონება.

უფლების შელახვა – უფლების გამოყენებისათვის ხელშეშლა.

სასამართლოს განაჩენი – სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.



დაიმახსოვრეთ!

ქალაქი	→	მოქალაქე
ვინც სწავლობს	→	მოსწავლე

3.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები:

უფლება თავისუფლება

1. დაბადებით ღმერთისგან მომეცა სიცოცხლის _____
2. ექვსი წლისა შევედი სკოლაში, რადგან ყველას აქვს განათლების _____.
3. სახლში ყველაფრის _____ მექონდა, სკოლაში კი დასრულდა ჩემი _____
4. 18 წლისა გავხდი სრულწლოვანი და მომეცა არჩევნებში მონაწილეობის _____
5. ჩემი ქვეყნის კონსტიტუციამ მე მომანიჭა სიტყვის, ამრისა და რწმენის _____.
6. დავიწყე მუშაობა ტელევიზიაში. ჩვენს ქვეყანაში არის პრესის _____.
7. ცენზურა დაუშვებელია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტს აქვს ყველაფრის _____



გაიხსენეთ!

მე მომეცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება.
ხვალ საპარლამენტო არჩევნებზე მივდივარ.

3.5. წაიკითხეთ ტექსტი და განაგრძეთ ჩამოთვლა!

დავიბადე. ღმერთისგან მომეცა სიცოცხლის უფლება და ნების თავისუფლება. გავიზარდე, დავეუფლე, რისი დაუფლებაც შემეძლო, მოვიპოვე, რისი მოპოვებაც შევძელი, დავისაკუთრე, რაც მე მეკუთვნოდა და არ მეკუთვნოდა; მოვედი ხელისუფლებაში; დავიწყე ქვეყნის მართვა; ვიგრძენი ძალაუფლება. დავიღუპე, დავკარგე თავისუფლება. მოვკვდი. სიკვდილში კაცობრიობა თანასწორუფლებიანია.

ნიმუში: საკუთრება → დავისაკუთრე, მეკუთვნოდა.
უფლება →

3.6. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	გამოხატა	[გამო]ხატავს	გამოხატავს
2	შეუშალა	უშლის	შეუშლის
3	დასჭირდა	სჭირდება	დასჭირდება
4	დაევალა	ევალება	დაევალება



3.7. მოსმენა

დიალოგი თემაზე: თამარი – მომავალი იურისტი

3.8. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

თამარს იურიდიულზე ჩაბარება უნდა, რათა დაიცვას ადამიანის უფლებები.	
ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით საქართველოში მთავარი პრობლემა არის შემდეგი – საქართველოს კანონმდებლობით ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანი არ არის.	
საქართველოს ყველა მოქალაქემ კარგად იცის, თუ რისი უფლება აქვს მას.	
სახალხო დამცველის ოფისი არა მხოლოდ თბილისშია, არამედ – საქართველოს სხვა ქალაქებშიც.	

3.9. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რატომ სურს თამარს იურისტობა?
2. სასამართლოს გარდა, კიდევ ვინ იცავს ადამიანის უფლებებს?
3. კანონის მიხედვით, ვინ ზრუნავს ადამიანის უფლებებზე?
4. სად მდებარეობს სახალხო დამცველის ოფისები?

3.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.11. საპრეზენტაციო თემა

ირღვევა თუ არა საქართველოში ადამიანთა უფლებები? რა გგონიათ ყველაზე დიდი პრობლემა?

3.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და მოცემული ნიმუშის მიხედვით ააგეთ დიალოგი!

ა.



დაიმახსოვრეთ!

ჩემ	წინააღმდეგ	ჩვენ	წინააღმდეგ
შენ	წინააღმდეგ	თქვენ	წინააღმდეგ
[ი]მის	წინააღმდეგ	[ი]მათ	წინააღმდეგ
მაგრამ:	კანონის	წინააღმდეგ	
	ქვეყნის	წინააღმდეგ	

ბ.

ხელს არავის დააფარებს – არავის დანაშაულს არ დამალავს, არავის დაიცავს.



ხელი დააფარა – ვიღაცის დანაშაული დამალა, დაიცვა.

ხელი დაადო – დააბრალა რაიმე, დამნაშავედ გამოაცხადა.

ხელი მოჰკიდა – საქმე დაიწყო, საქმეს შეუდგა.

ხელი დაიბანა – საქმეში არ ჩაერია, განზე გადგა.

3.13. წერა:

იმსჯელეთ საკითხზე – **რა არის თქვენთვის თავისუფლება?**

3.14. თემატური გამონათქვამები:

მხოლოდ ის არ არის თავისუფლება, რაც გნებავს, ის ილაპარაკო, წერო, აკეთო. – არა! ყოველ სიტყვასა და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება უნდა ედოს საფუძვლად
/ვაჟა-ფშაველა/.

უპასუხეთ კითხვას:

- როგორ გესმით „საზოგადო ბედნიერება“?

3.15. სახალისო ამბავი:

– ჩვენთან არის სიტყვის თავისუფლება, – ამბობს ამერიკელი, – შემიძლია, ქუჩაში გავიდე და დავიყვირო: ძირს რეიგანი!
– დიდი ამბავი, – პასუხობს რუსი, – მეც შემიძლია, ქუჩაში გავიდე და დავიყვირო: ძირს რეიგანი!

უპასუხეთ კითხვას:

- რატომ არის ეს ამბავი სახალისო?

ლექსიკა:

ადმასრულებელი ხელისუფლება – ხელისუფლება, რომლის მთავარი ფუნქციაა კანონების შესრულების კონტროლი.

თავისუფლება – პიროვნების შესაძლებლობა, გამოიყენოს საკუთარი უფლება კანონის ფარგლებში.

კენჭისყრა – არჩევნებში ხმის მიცემა.

მემკვიდრეობა – ძალაუფლების ან ქონების გადაცემა მშობლისგან შვილზე.

მონარქია – მონარქის, მეფის ერთპიროვნული მმართველობა.

მხარეები – აქ: სამართლებრივად სხვადასხვა პოზიციაზე მდგომი ადამიანები.

ნებართვა – კონკრეტული ქმედების განხორციელების უფლება.

საკანონმდებლო ხელისუფლება – ხელისუფლება, რომლის მთავარი ფუნქციაა კანონების შექმნა.

საკუთრება – კერძო, საკუთარი ქონება.

სამოქალაქო დავა – კონფლიქტები მოქალაქეთა შორის.

სასამართლოს განაჩენი – სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

სასამართლო ხელისუფლება (სასამართლო) – დაწესებულია, სადაც კანონების მიხედვით ადგენენ სიმართლეს და გამოაქვთ გადაწყვეტილება.

სისხლის სამართლის საქმე – მძიმე დანაშაული.

უფლების შელახვა – უფლების გამოყენებისათვის ხელშეშლა.

შეზღუდული – ჩარჩოებისა და საზღვრების მქონე.

შემთხვევითობა – არაგამიზნულად, მოულოდნელად, შემთხვევის გამო.

შეუზღუდავი – ჩარჩოებისა და საზღვრების გარეშე, ყველანაირი უფლების მქონე.

ძალაუფლება – ქვეყნის მართვის უფლება.

ზმნები:

N	ახლან- დელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ჰნა?	რას იზამს?	რა უნდა ჰნას?	რა უჰნია?	რა?
1	არიგებს	არიგებდა	დაარიგა	დაარიგებს	დაარიგოს	დაურიგებია	დარიგება
2	[აღ]ადგენს	[აღ]ადგენდა	აღადგინა	აღადგენს	აღადგინოს	აღუდგენია	აღდგენა
3	[აღ]ზრდის	[აღ]ზრდიდა	აღზარდა	აღზრდის	აღზარდოს	აღუზრდია	აღზრდა
4	[აღ]რიცხავს	[აღ]რიცხავდა	აღრიცხა	აღრიცხავს	აღრიცხოს	აღურიცხავს	აღრიცხვა
5	[აღ]ძრავს	[აღ]ძრავდა	აღძრა	აღძრავს	აღძრას	აღუძრავს	აღძვრა
6	[აღ]წერს	[აღ]წერდა	აღწერა	აღწერს	აღწეროს	აღუწერია	აღწერა
7	ახორციელებს	ახორციელებდა	განახორციელა	განახორციელებს	განახორციელოს	განუხორციელებია	განხორციელება
8	გადასცემს	გადასცემდა	გადასცა	გადასცემს	გადასცეს	გადაუცია	გადაცემა
9	[გამო]ხატავს	[გამო]ხატავდა	გამოხატა	გამოხატავს	გამოხატოს	გამოუხატავს	გამოხატვა
10	[გან]იხილავს	[გან]იხილავდა	განიხილა	განიხილავს	განიხილოს	განუხილავს	განხილვა
11	ევალება	ევალებოდა	დაევალა	დაევალება	დაევალოს	დაევალებია	დაევალება
12	ეთანხმება	ეთანხმებოდა	დაეთანხმა	დაეთანხმება	დაეთანხმოს	დასთანხმებია	დათანხმება
13	ეკუთვნის	ეკუთვნოდა	მიეკუთვნა	მიეკუთვნება	მიეკუთვნოს	მიჰკუთვნებია	მიკუთვნება
14	ინიშნება	ინიშნებოდა	დაინიშნა	დაინიშნება	დაინიშნოს	დაინიშნულა	დაინიშნა
15	ირჩევს	ირჩევდა	აირჩია	აირჩევს	აირჩიოს	აურჩევია	არჩევა
16	იყენებს	იყენებდა	გამოიყენა	გამოიყენებს	გამოიყენოს	გამოუყენებია	გამოყენება
17	იცის	იცოდა	[იცოდა]	[ეცოდინება]	იცოდეს	სცოდნია	ცოდნა
18	მიმართავს	მიმართავდა	მიმართა	მიმართავს	მიმართოს	მიუმართავს	მიმართვა
19	მტკიცდება	მტკიცდებოდა	დამტკიცდა	დამტკიცდება	დამტკიცდეს	დამტკიცებულა	დამტკიცება
20	სჭირდება	სჭირდებოდა	დასჭირდა	დასჭირდება	დასჭირდეს	დასჭირვებია	დაჭირვება
21	ურჩევს	ურჩევდა	ურჩია	ურჩევს	ურჩიოს	ურჩევია	რჩევა
22	უსმენს	უსმენდა	მოუსმინა	მოუსმენს	მოუსმინოს	მოუსმენია	მოსმენა
23	უშლის	უშლიდა	შეუშალა	შეუშლის	შეუშალოს	შეუშლია	შეშლა
24	ჰმნის	ჰმნიდა	შეჰმნა	შეჰმნის	შეჰმნას	შეუჰმნია	შეჰმნა
25	ხელმძღვა- ნელობს	ხელმძღვა- ნელობდა	უხელმძ- ღვანელა	უხელმძღვა- ნელებს	უხელმძ- ღვანელს	უხელმძღვანელია	ხელმძღვა- ნელობა

III ტაპი

სამოქალაქო ურთიერთობები

I ნაწილი

ფიზიკური და იურიდიული პირები

1.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. რას ვაკეთებთ ბაზარში? მაღაზიაში?
3. არის თუ არა ქორწილი სამოქალაქო ურთიერთობა? რატომ?
4. როგორ დაუკავშირებთ ილუსტრაციებზე გამოსახულ მოვლენებს გაკვეთილის სათაურს?

1.2. ტექსტი:

ფიზიკურ პირებსა და იურიდიულ პირებს ერთმანეთთან სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები აქვთ, რომლებსაც არეგულირებს სამოქალაქო სამართალი. მისი უმთავრესი ამოცანაა ქონებრივი და საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგება. ყოველდღიურად თითოეული ჩვენგანი მონაწილეობს სხვადასხვა **სამოქალაქო ურთიერთობაში**, მაგ.: ვყიდულობთ პროდუქტს მაღაზიაში, ვმგზავრობთ ტრანსპორტით, ვაქირავებთ ან ვქირაობთ სახლს და ა.შ. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებია: ქორწინება, ნასყიდობა (ყიდვა-გაყიდვა), ქირავნობა, მემკვიდრეობა და სხვა. ეს ურთიერთობები დამოკიდებულია პირთა თავისუფალ ნებაზე, მაგ., ნასყიდობა მყიდველისა და გამყიდველის ნებაა. ისინი თავად წყვეტენ, იყიდიან თუ გაყიდიან რამე ნივთი.

იურიდიული პირია ორგანიზაცია, რომელსაც საკუთრებაში აქვს ქონება და შეუძლია თავისი სახელით შეიძინოს ან გაყიდოს იგი, განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, გამოვიდეს სასამართლოში და ა.შ. იურიდიული პირი, როგორც **სამოქალაქო სამართლის სუბიექტი**, არსებობას იწყებს რეგისტრაციის მომენტიდან. ის საჯარო რეესტრში რეგისტრირდება. იურიდიული პირს აუცილებლად უნდა ჰქონდეს წესდება – წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც ეწერება მისი სახელწოდება, იურიდიული მისამართი, პარტნიორები, საქმიანობა და ა.შ. იურიდიული პირს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელობაც, მაგალითად, დირექტორი, რომელიც მართავს ორგანიზაციის საქმიანობას და მისი წარმომადგენელია.

სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს საქმიანობა არაერთგვარადაა. მას ახასიათებს სისტემატურობა და **მოგება**.

1.3. ლექსიკა:

ფიზიკური პირი – ადამიანი, მოქალაქე.

იურიდიული პირი – ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, მაგალითად, შპს, ანუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

სამოქალაქო ურთიერთობა – ურთიერთობა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის.

სამოქალაქო სამართლის სუბიექტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც სამართლებრივი ურთიერთობა აქვს სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან.

სამეწარმეო საქმიანობა – საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს ფიზიკური ან იურიდიული პირი მოგების მიზნით.

მოგება – მატერიალური სარგებელი.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. მოქალაქე ნინუამ გაყიდა ავტომანქანა. არის თუ არა ეს სამეწარმეო საქმიანობა? რატომ?
2. ინდივიდუალურ მეწარმე ნინუას თავის ავტოფარეხში მოწყობილი აქვს სახელოსნო, სადაც არემონტებს დაზიანებულ მანქანებს და შემდეგ ყიდის მათ. არის თუ არა ეს სამეწარმეო საქმიანობა? რატომ?
3. ნინო არის შპს „ნობათის“ დირექტორი. მას ჰყავს სამი თანამშრომელი. შეუძლია თუ არა ნინოს იურიდიული პირის სახელით იმოქმედოს?
4. არის თუ არა სამოქალაქო ურთიერთობა ეზოში ფეხბურთის თამაში?

სინონიმები	ანტონიმები
ნება – სურვილი არაერთგვარადი – მრავალჯერადი შეუდგა – დაიწყო არეგულირებს – აწესრიგებს სახელწოდება – დასახელება	მოგება – წაგება წერილობითი – ზეპირი სისტემატურობა – არასისტემატურობა

ა.

საქმე → საქმიანი → საქმიანობა.

საქმიანი – საქმის მქონე; **საქმიანობა** – საქმიანი ქცევა, საქმიანი მოქმედება.

უსაქმო // უსაქმური – საქმის არმქონე, არაფრის გამკეთებელი.


ბ.



საქმეა 1

თვით // თავად // თვითონ

სქემა 2



1.5. წაიკითხეთ ტექსტი. ჩამოთვალეთ, რა არის საჭირო იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის!

ნინოს სურდა სამეწარმეო საქმიანობის დაწყება. მან და მისმა ოთხმა მეგობარმა გადაწყვიტეს სამკერვალოს გახსნა, ტანსაცმლის შეკერვა, გაყიდვა და იქიდან აღებული თანხით საწარმოს გაფართოება. ამიტომ ნინო საჯარო რეესტრში წარსადგენად საბუთების შეგროვებას შეუდგა. ჯერ მან დაწერა წესდება. მასში მიუთითა სამეწარმეო იურიდიული პირის ფორმა – შპს, იურიდიული პირის დასახელება – „თაიგული“ და მისამართი, შეარჩია მმართველობის ფორმა. ამხანაგებმა ნინო აირჩიეს შპს „თაიგულის“ დირექტორად. მან წესდებაში თავისი რეკვიზიტები მიუთითა. წესდება წარადგინა საჯარო რეესტრში, გადაიხადა დარეგისტრირების საფასური და ერთ დღეში გახდა იურიდიული პირის წარმომადგენელი.



დაიმახსოვრეთ!

სად?	საით?	საითკენ?	საიდან?
აქ იქ აქა-იქ	აქეთ იქით აქეთ-იქით	აქეთკენ იქითკენ	აქედან იქიდან აქეთ-იქიდან

1. 6. შეარჩეთ გვერდით მითითებული ერთ-ერთი სიტყვა და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას!

- გუშინ ლიასა და გიას _____ ჰქონდათ [ქორწილი, ქორწინება].
- ამირანმა ბინა იქირავა და გააფორმა _____ ხელშეკრულება [ქირის, ქირავნობის].
- ლიამ ბებიისგან მიიღო _____ [მემკვიდრე, მემკვიდრეობა].
- შოთა აკეთებს სხვადასხვა _____ [საქმეს, საქმიანობას].

5. გიამ ბინა იყიდა და დადო _____ ხელშეკრულება [ყიდვის, ნასყიდობის].
6. მაიას _____ დავა აქვს მეზობელთან. ვერ გაუყვიათ _____ [ქონება, ქონებრივი].
7. ნიკო იურისტია და ფიქრობს, რომ საქართველო _____ სახელმწიფოა [სამართლიანი, სამართლებრივი], აქ კანონი უზენაესია.
8. ამირანმა _____ აიღო, რომ ემოში ხეებს დარგავდა [ვალდებული, ვალდებულება].
9. სწავლაში, როგორც ყველგან, მთავარია _____ [სისტემა, სისტემატურობა].

1.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	გააქირავა	აქირავებს	გააქირავებს
2	შეწყვეტა	წყვეტს	შეწყვეტს
3	[პასუხი] აგო	[პასუხს] აგებს	[პასუხს] აგებს
4	გამართა	მართავს	გამართავს
5	წარადგინა	[წარ]ადგენს	წარადგენს

1.8. ა) შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ფორმები:

მიუთითებენ	შეწყვეტენ
მონაწილეობენ	პასუხს ვაგებთ

ბ) გადაიყვანეთ ტექსტი მომავალ დროში!

მე და ჩემმა მეგობრებმა ჩამოვაყალიბეთ შპს „მასწავლებელი“ და ვამეცადინებთ ბავშვებს სხვადასხვა საგანში. ჩვენი ბავშვები რეგიონულ ოლიმპიადებში. ჩვენ..... მათ ცოდნაზე.



1.9. მოსმენა

დიალოგი: შეხვედრა ბანკში

1.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

თითოეული ადამიანი იურიდიული პირია.	
ნიკამ არ იცის, იურიდიული პირია თუ ფიზიკური.	
თუ ფიზიკური პირი ფირმას გახსნის, იურიდიული პირი გახდება.	
შპს ფიზიკური პირია.	

1.11. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. ვინ არის ფიზიკური პირი?
2. რისთვის მივიდა ლუკა ბანკში?
3. ვინ არის იურიდიული პირი?
4. იურიდიული პირი არის თუ არა ფირმა ან ორგანიზაცია, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ასრულებს?

1.12. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.13. საპრეზენტაციო თემა

დარეგისტრირდებით თუ არა, როგორც იურიდიული პირი? გახსნიდით თუ არა თქვენს ფირმას?

რას იზამს? **გან**აცხადებს

რა? **გან**ცხადება

მაგ., ის ხმამაღლა განაცხადებს – იგივეა, რაც: ის ხმამაღლა იტყვის.

ეგ ხმამაღალი განცხადებაა – იგივეა, რაც ეგ ხმამაღალი ნათქვამია.

მაგრამ: სასამართლოში განცხადება შევიტანე.

გან-//გა-

გან- და **გა-** მიუთითებს მიმართულებას შიგნიდან გარეთ.

განახორციელებს – ახორციელებს

მაგ., იურიდიულ პირს შეუძლია საკუთარი სახელით განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა.

1.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – როგორ გავხდეთ იურიდიული პირი?

II ნაწილი ჟონება და საკუთრება

2.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. რა შეიძლება ვუწოდოთ სიმდიდრეს, ფულს, ფასიან ქაღალდებს?
3. რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ხელში მოთავსებულ შენობას?
4. თქვენი აზრით, რით განსხვავდება ქონება საკუთრებისგან?

2.2. ტექსტი:

სიტყვა „ქონება“ სამოქალაქო სამართალში გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. ქონება შეიძლება იყოს ნივთი, ფული და ფასიანი ქაღალდი. ნივთი არის მოძრავი და უძრავი. უძრავი ნივთია მიწის ნაკვეთი თავისი მცენარეებითა და შენობა-ნაგებობით.

სამოქალაქო სამართალი არ განმარტავს მოძრავ ნივთს, მაგრამ ეს არის ნებისმიერი ის ნივთი, რომელიც არაა უძრავი, მაგალითად, მანქანა, ავეჯი და ა.შ. განსხვავებულია **საკუთრების წარმოშობა** უძრავ და მოძრავ ნივთებზე. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება წარმოიშობა მარტივად, საბუთის გარეშე, მაგალითად, შევიძინე ბაზარში პროდუქტი, მაღაზიაში – ავეჯი ან **საყოფაცხოვრებო** ნივთი. მე უკვე ვარ მესაკუთრე, მაგრამ ამისთვის აუცილებელი არ არის **ხელშეკრულების** გაფორმება ან **რეგისტრაცია**.

რაც შეეხება უძრავ ნივთებს, მათზე საკუთრების უფლება აუცილებლად უნდა გაფორმდეს საჯარო რეესტრში, თანაც წერილობითი დოკუმენტის (გარიგების, ანდერძის) წარდგენით.

საკუთრების დროს ნივთის მფლობელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი. მას შეუძლია იგი შეხედულებისამებრ მოიხმაროს. ნივთზე საკუთრების უფლება გულისხმობს მის **ფლობას**, ნივთით **სარგებლობას** (მის გამოყენებას, მისგან სარგებლის მიღებას) და ნივთის **განკარგვას** (გასხვისებას, იპოთეკით დატვირთვას).

- თეამ ტექნიკის მაღაზიაში შეიძინა სარეცხი მანქანა. თანხის გადახდის შემდეგ წამოიღო სახლში. ის მესაკუთრეა.
- თეამ მეზობლისაგან შეიძინა ავტოფარეხი. ხელშეკრულება გააფორმა და დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში. ის მესაკუთრეა.
- თუ საკუთრებაში მაქვს სახლი, ის შემოიძლია გამოვიყენო საცხოვრებლად, გავაქირავო და მივიღო სარგებელი, ან გავყიდო.

2.3. ლექსიკა:

საკუთრება – ნივთი, რომელიც ეკუთვნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

საკუთრების წარმოშობა – იურიდიული ტერმინი; აღნიშნავს, თუ როგორ ხდება ქონება საკუთრება.

საყოფაცხოვრებო – ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელი.

ხელშეკრულება – ორ მხარეს შორის წერილობით გაფორმებული ვალდებულებები.

რეგისტრაცია – აღრიცხვა, ხელშეკრულების რეესტრში გაფორმება.

ფლობა – ნივთის საკუთრებაში ქონა: ხელში ჭერა, ჯიბეში ჩადება და ა.შ.

სარგებლობა – ნივთით სარგებლობა; ნივთით შემოსავლის მიღება.

განკარგვა – ნივთის ბედის გადაწყვეტა, მისი გაყიდვა, გაჩუქება და ა.შ.

2.4. ტექსტის გააზრება:

1. სამოქალაქო სამართლის მიხედვით, რა არის ქონება?
2. რა და რა სახისაა ნივთი?
3. განმარტეთ, რა არის უძრავი და მოძრავი ნივთი!
4. რას გულისხმობს ნივთზე საკუთრების უფლება?
5. შეიძლება თუ არა გამოიყენო საკუთარი სახლი ოფისად? რის საფუძველზე?

ა. დაიმახსოვრეთ!



შეხედულებისა**მებრ** – იგივეა, რაც: შეხედულების მიხედვით, შეხედულების მსგავსად.

ბ.

სახ.	საყოფაცხოვრებო	ნივთ ი
მოთხრ.	საყოფაცხოვრებო	ნივთ მა
მიც.	საყოფაცხოვრებო	ნივთ ს და სხვ.

მაგ., ეს საყოფაცხოვრებო ნივთი მე არ მეკუთვნის.

გ.

რას შერება? სარგებლობს [რა? სარგებლობა]
ის სარგებლ^{ობ}ს ისინი სარგებლ^{ობ}ენ

მაგრამ:

რა მიქნია?	რა გვიქნია?
რა გიქნია?	რა გიქნიათ?
რა უქნია?	რა უქნიათ?



[მე] მისარგებლია	[ჩვენ] გვისარგებლია
[შენ] გისარგებლია	[თქვენ] გისარგებლიათ
[მას] უსარგებლია	[მათ] უსარგებლიათ



დაიმახსოვრეთ!

რას შვრება?	რა უქნია?
აკეთ ^{ებ} ს	გაუკეთებ ^{ია}
თამაშ ^{ობ} ს	უთამაშ ^{ია}
ჭრ ^{ის}	გაუჭრ ^{ია}

2.5. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

- თქვენი აზრით, რა შემთხვევებში ჩაითვლება ნივთი ბავშვის საკუთრებად?
- დაეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა ბავშვს სხვისი ქონების მისაკუთრებისას?

1. თუ მაჩუქეს, ჩემია; 2. თუ მომწონს, ჩემია; 3. თუ ხელში მიჭირავს, ჩემია; 4. თუ შემოიძლია გამოგართვა, ჩემია; 5. თუ მიყიდეს, ჩემია; 6. თუ ეს ჩემია, არასდროს იქნება შენი; 7. თუ ჩემსას ჰგავს, ე.ი. ჩემია; 8. თუ მეჩვენება, რომ ჩემია, ე.ი. ჩემია; 9. თუ შენია, მაგრამ წაგართვი, ჩემია.

2.6. წაიკითხეთ ტექსტი და ჩასვით შესაბამის ადგილას ზმნები:

ვსარგებლობ
განვკარგავ
ვფლობ

ანდერძით ბაბუისაგან მივიღე უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთი, დავარეგისტრირე საჯარო რეესტრში და მესაკუთრე გახდი. მე ამ მიწის ნაკვეთს _____, შემოიძლია იქ ორმო ამოვთხარო, ხე დავრგო, სახლი ავაშენო; მე ამ მიწის ნაკვეთით _____, ვკრეფ მოსავალს; და ბოლოს, მე ამ მიწის ნაკვეთს _____, შემოიძლია სხვას ვაჩუქო ან გავყიდო.

2.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	განმარტა	[გან]მარტავს	განმარტავს
2	წარმოიშვა	[წარმო]იშობა	წარმოიშობა
3	გაფორმდა	ფორმდება	გაფორმდება
4	ისარგებლა	სარგებლობს	ისარგებლებს
5	განკარგა	განკარგავს	განკარგავს



2.8. მოსმენა

ტექსტი: კანონი მიწის რეგისტრაციის შესახებ

ა.



დაიმახსოვრეთ!

შორის და **შუა** [→ შუა**ში**; შუა**ზე**]
გამოხატავს ადგილს ორ საგანს შორის.
მაგ., – გაიწიე, შუაში ნუ დგახარ!
ნაკვეთის შუაში ბუჩქები მოვჭერი.

ბ.

ისე დამემართა,
როგორც

როგორც.....,
ისე დამემართა.

მაგ., **ისე** დამემართა, **როგორც** პატარა ბავშვს მოუვა ხოლმე.
როგორც პატარა ბავშვს მოუვა ხოლმე, **ისე** დამემართა.

გ.

დაიმახსოვრეთ სიტყვები!



რა თქმა უნდა
რასაკვირველია

მითითება: გამოიყენეთ მაშინ, როცა ეთანხმებით ვინმეს ან რამეს, ან როცა აზრი ბევრი ადამიანისთვის მისაღებია.

რა თქმა უნდა და **რასაკვირველია** წინადადებაში მძიმეებით გამოიყენება.

2.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

მიწის ნაკვეთი გიორგის უძრავი ქონებაა.	
გიორგი მიწის ნაკვეთს არ ამუშავებს, მხოლოდ საძოვრად იყენებს.	
სულ ცოტა ხანია, რაც მიწის ნაკვეთი გიორგის აქვს დასაკუთრებული.	
ფიზიკურ პირებს, რომელთაც მიწის ნაკვეთი 2007 წლის 15 სექტემბრამდე დაიკავეს, ამუშავებენ და მასზე საცხოვრებელი სახლი უდგათ, ეს ნაკვეთი უკანონდებათ.	

2. 10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. როგორ ამუშავებს გიორგი მიწის ნაკვეთს?
2. სად უნდა დარეგისტრირდეს მიწის ნაკვეთი?
3. რა შენობა დგას გიორგის მიწის ნაკვეთზე?
4. ვინ უნდა მოამზადოს გიორგის მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია?

2.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

2.12. საპრეზენტაციო თემა

**რატომ არის აუცილებელი მიწის ნაკვეთის
რეგისტრაცია საჯარო რეესტრში?**

2.13. წერა

იმჯელეთ შოთა რუსთაველის ნათქვამზე – „რასაცა გასცემ, შენია...“!

2.14. თემატურ და სახალისო გამონათქვამებს [1-5] მიუსადაგეთ მათი გააზრებები [ა-ე].

1. ჩემი უკეთესია, ვიდრე ჩვენი /ბენჟამენ ფრანკლინი/. _____
 2. საკუთრება ნივთები კი არა, აზრებია; შეიძლება გქონდეს ნივთები, მაგრამ არ იყო მესაკუთრე /ბუდა/. _____
 3. საკუთარი აზრი ზოგჯერ საკუთრების გარეშე გტოვებს. _____
 4. ქურდი პატივს სცემს საკუთრებას; მას სურს ის მიითვისოს, რათა კიდევ უფრო მეტად სცეს პატივი. _____
 5. საკუთარი კატა საერთო აქლემს ჯობია. _____
- ა. თავისუფალი აზროვნება და სიტყვა არასამართლებრივ სახელმწიფოში მოქალაქის კერძო საკუთრებაზე აისახება.
- ბ. კერძო საკუთრება სჯობს კოლექტიურს.
- გ. სიმდიდრეს სჯობს ჭკუა და გონება.
- დ. კერძო საკუთრება საერთო საკუთრებაზე უკეთესია.
- ე. საკუთრების უკანონოდ მიმთვისებელი თავის საქციელს მაინც ამართლებს.

III ნაწილი

ვალდებულება და ხელშეკრულება

3.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. რა არის ქალის ვალდებულება?
3. რა არის კაცის ვალდებულება?
4. რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ხელის ჩამორთმევას?
5. თქვენი აზრით, რა განსხვავებაა ვალდებულებასა და ხელშეკრულებას შორის?

3.2. ტექსტი:

ვალდებულების საფუძველია ორ მხარეს (პირს) შორის შეთანხმება. ერთ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, მეორე მხარე კი ვალდებულია შეასრულოს. ვალდებულება ჩნდება (წარმოიშობა) ზიანის მიყენების, ანუ **დელიქტის**, დროსაც. მაგალითად, ტვირთის გადატანისას დაზიანდა მანქანა. კანონის მიხედვით, ზიანის მიმცენებელმა უნდა აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყენებული ზიანი.

ხელშეკრულება ორი ან მეტი პირის წერილობითი შეთანხმებაა, რომელიც იწვევს სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას, შეწყვეტას ან შეცვლას. დღეს ყველაზე მეტად გავრცელებულია ნასყიდობის (ყიდვა-გაყიდვის), **ქირავნობის, გირავნობისა და იპოთეკის** ხელშეკრულებები. იპოთეკა ძალიან ჰგავს გირავნობას. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ იპოთეკის დროს **იტვირთება** უძრავი ქონება, გირავნობის დროს კი გირავდება მოძრავი ნივთი.

ნასყიდობისა და ქირავნობის ხელშეკრულებები შეიძლება იყოს ზეპირი და წერილობითი, გირავნობისა და იპოთეკის ხელშეკრულებებისათვის კი აუცილებელია მხარეებმა წერილობითი შეთანხმება გააფორმონ. სავალდებულო არ არის გირავნობის ნოტარიუსთან დამოწმება ან რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, იპოთეკის დროს კი აუცილებელია.

არასწორია

ბინა დავაგირავე

სახლი დავაგირავე

სწორია

სახლი დავტვირთე იპოთეკით

მიწა დავტვირთე იპოთეკით

მანქანა დავაგირავე

ტელეფონი დავაგირავე

3.3. ლექსიკა:

ვალდებულება – აქ: შეთანხმება – ერთი მხარე მოითხოვს რაიმე მოქმედების შესრულებას, მეორე მხარე კი ასრულებს ამ მოთხოვნას.

დელიქტი – ზიანის მიყენება.

ქირავნობა – ორმხრივი ხელშეკრულება: ერთი მხარე აქირავებს, მეორე – ქირაობს.

გირავნობა – ორმხრივი ხელშეკრულება: ერთი მხარე აგირავებს ქონებას, მეორე მხარე იხდის ამ ქონების საფასურს.

იპოთეკა – ერთი მხარე აძლევს მეორეს სარგებლობაში უძრავ ქონებას, მეორე მხარე იხდის ამ უძრავი ქონების საფასურს.

იპოთეკით დავტვირთვა – უძრავ ქონებაზე მფლობელობის დროებით შეწყვეტა.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. რა არის ვალდებულება?
2. ვალდებულია თუ არა პირი აუნაზღაუროს მეორე პირს მიყენებული ზარალი?
3. რა არის ხელშეკრულება?
4. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება ვალდებულებას?
5. რა და რა სახის ხელშეკრულებებია ყველაზე მეტად გავრცელებული?
6. რით განსხვავდება იპოთეკა გირავნობისგან?

ა.

ის ავტომობილს აზიანებს.

ვინ არის ის, ვინც აზიანებს ავტომობილს? ზიანის მიმყენებელი.

ასეთივე სიტყვებია: დამგირავებელი, მკეთებელი და სხვ.

ბ.

-თვის გამოიყენება დანიშნულების საჩვენებლად,

მაგ., ეს საბუთი ხელშეკრულებისთვის მჭირდება;

ან: ეს საბუთი ხელშეკრულებისათვის მჭირდება.

3.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შემდეგი სიტყვები:

ნასყიდობის

მიწის ნაკვეთი და სახლი

იპოთეკის

საჯარო რეესტრში

ავტომანქანა

გადაწყვიტე, ცვლილებები შევიტანო ჩემს ცხოვრებაში. ამისთვის ვიყიდე პატარა მიწის ნაკვეთი და გავაფორმე _____ ხელშეკრულება, ასევე დავარეგისტრირე ნაკვეთი _____. მოვინდომე ნაკვეთში პატარა სახლის აშენებაც, ამისთვის დავაგირავე ჩემი _____ და გამოვიტანე ბანკიდან სესხი. სესხით სახლი ავაშენე, მაგრამ რემონტის გაკეთება ვეღარ შევძელი. ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე იპოთეკით დავტვირთო თავად _____, რათა კიდევ გამოვიტანო ბანკიდან ფული და დავასრულო დაწყებული საქმე. ასეც მოვიქცე. ბანკთან გავაფორმე _____ ხელშეკრულება.

3.6. აარჩიეთ წყვილები და დაასრულეთ წინადადებები აზრობრივად:

გადავუხადო საფასური

დაგირავების თანხას

ბინას ჩამოართმევს

ქირის საფასური

ანაზღაუროს ზიანი

1. ეზოში მანქანის დაყენების დროს მეზობელმა დააზიანა ჩემი ავტომობილის კარები. დელიქტის დროს ის ვალდებულია _____
2. მეგობართან დავდე ხელშეკრულება, რომ ესპანურად მითარგმნოს წიგნი 3 თვის განმავლობაში. მე ვალდებული ვარ _____
3. ეკამ ბანკიდან აიღო სესხი, რის გამოც იპოთეკით დატვირთა თავისი ბინა. მან ვერ შეძლო ვალდებულების შესრულება, რის გამოც ბანკი მას _____

4. ქეთევანმა ზეპირი შეთანხმებით ერთი თვით გააქირავა ბინა და მიიღო ქირავნობის საფასური. დამქირავებელმა დაცალა სახლი 2 თვის შემდგომ, ამიტომ ის ვალდებულია გადაიხადოს ერთი თვის _____
5. ვანოს არა აქვს საკმარისი ფული სამკურნალოდ. ის დააგირავებს ოქროს საათს, რის ნაცვლადაც მიიღებს _____

3.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	მოითხოვა	ითხოვს	მოითხოვს
2	შეასრულა	ასრულებს	შეასრულებს
3	დაზიანდა	ზიანდება	დაზიანდება
4	გამოიწვია	იწვევს	გამოიწვევს
5	დარეგისტრირდა	რეგისტრირდება	დარეგისტრირდება



3.8. მოსმენა

დიალოგი: სატელეფონო საუბარი ბანკის ოპერატორთან

3.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ანამ ბანკიდან აიღო სესხი.	
ანასა და ბანკს შორის დადებულია წერილობითი შეთანხმება, ანუ ხელშეკრულება.	
ანამ ხელშეკრულება დაკარგა და ამიტომაც დაავიწყდა გადახდა.	
ანა, როგორც მოვალე, ვალდებული არ არის ბანკს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა გადაუხადოს.	

3.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რატომ ურევავს ოპერატორი ანას?
2. რომელი ორგანიზაციის წარმომადგენელია ოპერატორი?
3. როდის აპირებს ანა ფულის გადახდას?

3.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.12. საპრეზენტაციო თემა

რატომ არის აუცილებელი ხელშეკრულების დადება, როცა ბანკიდან სესხი გამოგვაქვს?

ა.

ჩემ მიმართ ჩვენ მიმართ შენ მიმართ თქვენ მიმართ [ი]მის მიმართ [ი]მათ მიმართ მაგრამ: კანონის მიმართ სახელმწიფოს მიმართ მაგ., კანონის მიმართ პრეტენზია ვერ გექნებათ.	
---	--

ბ.

ენა დაება – ენა აუბორძიკდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ალაპარაკდა.



ენა დაიმოკლა – ნაკლები, ცოტა ილაპარაკა [შესაძლებელია: სულ გაჩუმდა].

ენას კბილი დააჭირა – ხმა აღარ ამოიღო, ხმა გაკმინდა.

ენა მუცელში ჩაუვარდა – ხმა ვეღარ ამოიღო [შიშის ან სხვა განცდის გამო].

3.13. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - რა სახის ვალდებულებები მაქვს?

3. 14. თემატური გამონათქვამები:

1. ვინც არღვევს ხელშეკრულებას, მეორე მხარეს ყოველგვარი ვალდებულებისგან ათავისუფლებს.
2. ხელშეკრულება შეიძლება იყოს ხანგრძლივი, თუ ორივე მხარე მოგებულა.

უპასუხეთ კითხვას:

- რა შემთხვევაში გამოიყენებთ ამ გამონათქვამებს?

3.15. სახალისო გამონათქვამებსა და დიალოგს [1-3] მიუსადაგეთ მათი გააზრებები [ა-გ]:

1. ხელშეკრულება ყველაზე დიდი გამოგონებაა კაცობრიობის ისტორიაში. ის საშუალებას აძლევს ადამიანებს, ქალაქებში გადაიტანონ ყველა ის მიზეზი, რომელთა გამოც არ ენდობიან ერთმანეთს.

2. პოლიტიკური ხელშეკრულება: თქვენ მოგვეცით მეტი ხმები, ჩვენ მოგცემთ მეტ დაპირებებს.

3. — თქვენი ბანკი პატიოსან სიტყვაზე იძლევა კრედიტს?

— რა თქმა უნდა!

— რომ არ დაეაბრუნო?

— შეგრცხვებათ, როდესაც უფლის წინაშე წარდგებით.

— ეგ როდის იქნება!

— თუ ხუთში არ დააბრუნებთ, ექვსში დააბრუნეთ. _____

ა. პოლიტიკოსები არჩევნების დროს ყველაფერს ჰპირდებიან ადამიანებს, ოღონდ ხმები მიიღონ.

ბ. ხელშეკრულებას იმიტომ აფორმებენ, რომ არ ენდობიან ერთმანეთს.

გ. ბანკი პატიოსან სიტყვაზე არაფერს იძლევა.

ლექსიკა:

განკარგვა – ნივთის ბედის გადაწყვეტა, მისი გაყიდვა, გაჩუქება და ა.შ.

გირავნობა – ორმხრივი ხელშეკრულება: ერთი მხარე აგირავებს ქონებას, მეორე მხარე იხდის ამ ქონების საფასურს.

დელიქტი – ზიანის მიყენება.

ვალდებულება – აქ: შეთანხმება – ერთი მხარე მოითხოვს რაიმე მოქმედების შესრულებას, მეორე მხარე კი ასრულებს ამ მოთხოვნას.

იპოთეკა – ერთი მხარე აძლევს მეორეს სარგებლობაში უძრავ ქონებას, მეორე მხარე იხდის ამ უძრავი ქონების საფასურს.

იპოთეკით დატვირთვა – უძრავ ქონებაზე მფლობელობის დროებით შეწყვეტა.

იურიდიული პირი – ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, მაგალითად, შპს, ანუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

მოგება – მატერიალური სარგებელი.

რეგისტრაცია – აღრიცხვა, ხელშეკრულების რეესტრში გაფორმება.

საკუთრება – ნივთი, რომელიც ეკუთვნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

საკუთრების წარმოშობა – იურიდიული ტერმინი; აღნიშნავს, თუ როგორ ხდება ქონება საკუთრება.

სამეწარმეო საქმიანობა – საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს ფიზიკური ან იურიდიული პირი მოგების მიზნით.

სამოქალაქო სამართლის სუბიექტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც სამართლებრივი ურთიერთობა აქვს სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან.

სამოქალაქო ურთიერთობა – ურთიერთობა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის.

სარგებლობა – ნივთით სარგებლობა; ნივთით შემოსავლის მიღება.

საყოფაცხოვრებო – ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელი.

ფიზიკური პირი – ადამიანი, მოქალაქე.

ფლობა – ნივთის საკუთრებაში ქონა: ხელში ჭერა, ჯიბეში ჩადება და ა.შ.

ქირავნობა – ორმხრივი ხელშეკრულება: ერთი მხარე აქირავებს, მეორე – ქირაობს.

ხელშეკრულება – ორ მხარეს შორის წერილობით გაფორმებული ვალდებულებები.

ზმნები:

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ძნა?	რას იზამს?	რა უნდა ძნას?	რა უძნია?	რა?
1	აგებს [პასუხს]	აგებდა [პასუხს]	აგო [პასუხი]	აგებს [პასუხს]	აგოს [პასუხი]	უგია [პასუხი]	[პასუხის]გება
2	ასრულებს	ასრულებდა	შეასრულა	შეასრულებს	შეასრულოს	შეუსრულებია	შესრულება
3	აქირავებს	აქირავებდა	გააქირავა	გააქირავებს	გააქირაოს	გაუქირავებია	გაქირავება
4	გამოდის	გამოდიოდა	გამოვიდა	გამოვა	გამოვიდეს	გამოსულა	გამოსვლა
5	გამოიყენება	გამოიყენებოდა	-----	-----	-----	-----	გამოყენება
6	განკარგავს	განკარგავდა	განკარგა	განკარგავს	განკარგოს	განუკარგავს	განკარგვა
7	[გან]მართავს	[გან]მართავდა	განმართა	განმართავს	განმართოს	განუმართავს	განმართება
8	ზიანდება	ზიანდებოდა	დაზიანდა	დაზიანდება	დაზიანდეს	დაზიანებულა	დაზიანება
9	იგულისხმება	იგულისხმებოდა	-----	-----	-----	-----	-----
10	ითხოვს	ითხოვდა	მოითხოვა	მოითხოვს	მოითხოვოს	მოუთხოვია	მოთხოვნა
11	იწვევს	იწვევდა	გამოიწვია	გამოიწვევს	გამოიწვიოს	გამოუწვევია	გამოწვევა
12	მართავს	მართავდა	გამართა	გამართავს	გამართოს	გაუმართავს	გამართვა
13	[მი]უთითებს	[მი]უთითებდა	მიუთითა	მიუთითებს	მიუთითოს	მიუთითებია	მიუთითება
14	[მო]იხმარს	[მო]იხმარდა	მოიხმარა	მოიხმარს	მოიხმაროს	მოუხმარია	მოხმარება
15	მონაწილეობს	მონაწილეობდა	[იმონაწილევა]	[იმონაწილევენს]	[იმონაწილეოს]	[უმონაწილევია]	მონაწილეობა
16	რეგისტრირდება	რეგისტრირდებოდა	დარეგისტრირდა	დარეგისტრირდება	დარეგისტრირდეს	დარეგისტრირებულა	დარეგისტრირება
17	სარგებლობს	სარგებლობდა	ისარგებლა	ისარგებლებს	ისარგებლოს	უსარგებლია	სარგებლობა
18	ფლობს	ფლობდა	-----	-----	-----	-----	ფლობა
19	ფორმდება	ფორმდებოდა	გაფორმდა	გაფორმდება	გაფორმდეს	გაფორმებულა	გაფორმება
20	ჩნდება	ჩნდებოდა	გაჩნდა	გაჩნდება	გაჩნდეს	გაჩენილა	გაჩენა
21	[წარ]ადგენს	[წარ]ადგენდა	წარადგინა	წარადგენს	წარადგინოს	წარუდგენია	წარდგენა
22	[წარმო]იშობა	[წარმო]იშობოდა	წარმოიშვა	წარმოიშობა	წარმოიშვას	წარმოშობილა	წარმოშობა
23	წყვეტს	წყვეტდა	შეწყვიტა	შეწყვეტს	შეწყვიტოს	შეუწყვეტია	შეწყვეტა

IV თაზი სამართლისა და კანონის მნიშვნელობა

I ნაწილი შემაჯამებელი გაკვეთილი

1.1. ტექსტი:

მე ვარ ნანა მახარაძე. ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ჯერ მხოლოდ მეორე კურსზე ვარ, მაგრამ ბევრი რამ ვისწავლე და გავიგე. მეზობლები და ახლობლები ხშირად რჩევებს მეკითხებიან, ხან მეკამათებიან იურიდიულ საკითხებზე და არასწორად მსჯელობენ. მაგალითად, ჩემი ბიძაშვილი ვერ ასხვავებს ერთმანეთისგან სამართლიანობასა და სამართალს, ერთი და იგივე ჰგონია. მე ავუხსენი მას, რომ სამართლიანობა სამართლის საფუძველია, სამართალი კი – სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები. ერთი მეგობარი მიმტკიცებდა, რომ ქვეყანას მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება მართავს. მე დავუსაბუთე, რომ ეს ტყუილია. ხელისუფლების სამივე შტო – აღმასრულებელიც, საკანონმდებლოცა და სასამართლოც – მმართველობითი ორგანოა.

ამას წინათ ჩემმა მეზობელმა ბანკიდან სესხი გამოიტანა და შემომჩივლა, რომ ამისათვის ბინა დააგირავა. მე ავუხსენი, რომ ბინის დაგირავება არ შეიძლება, ის იპოთეკით იტვირთება. აგირავებენ მხოლოდ მოძრავ ნივთს, მაგალითად, ავტომობილს, მობილურ ტელეფონს და ა.შ. ამ დროს აფორმებენ გირავნობის და არა იპოთეკის ხელშეკრულებას. გირავნობის ხელშეკრულების გაფორმება ნოტარიულადაც შეიძლება, იპოთეკის დროს კი აუცილებელია საჯარო რეესტრში დარეგისტრირება.

მე მომწონს, როცა ადამიანებს ვურჩევ და ვასწავლი. ვფიქრობ, ამით მათ ვეხმარები.

- ბინას ვაქირავებ – ბინას ვქირაობ
- ტელეფონს ვაგირავებ – ტელეფონს ვგირაობ
- ბინას ვტვირთავ იპოთეკით.

- მე ვრეგისტრირდები საჯარო რეესტრში.
- მან მიწის ნაკვეთი იპოთეკით დატვირთა.

1.2. ტექსტის გააზრება:

1. სად სწავლობს ნანა მახარაძე?
2. რა არის სამართლის საფუძველი?
3. მმართველობის რომელ ორგანოებად იყოფა ხელისუფლება?
4. რისი დაგირავება შეიძლება?
5. რა შეიძლება დაიტვირთოს იპოთეკით?

სინონიმები	ანტონიმები
მიმტკიცებს – მისაბუთებს დადგენილი – მიღებული ტყუილია – მცდარია სესხი – ვალი ნივთი – აქ: ქონება	მცირე – დიდი ტყუილი – მართალი ახლობელი – შორეული

მხოლოდბითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი		
სახ.	ჩემი	ბიძაშვილი	სახ.	ჩემი	ბიძაშვილები
მოთხრ.	ჩემა	ბიძაშვილმა	მოთხრ.	ჩემმა	ბიძაშვილებმა
მიც.	ჩემს	ბიძაშვილს	მიც.	ჩემს	ბიძაშვილებს
და სხვ.			და სხვ.		



გაიხსენეთ!

ბიძა → ბიძაშვილი
დეიდა → დეიდაშვილი
მამიდა → მამიდაშვილი

1.3. წაიკითხეთ დიალოგი. ააგეთ ასეთივე დიალოგები თემებზე:

- „გირავნობის ხელშეკრულების გაფორმება“
- „მიწის ნაკვეთის იპოთეკით დატვირთვა“

ქალი: გამარჯობა, სესხი მინდა ავიღო და როგორ მოვიქცე?

ბანკის თანამშრომელი: სად მუშაობთ?

ქალი: დროებით უმუშევარი ვარ.

ბანკის თანამშრომელი: მაშინ გირავნობის ან იპოთეკის ხელშეკრულება უნდა გააფორმოთ ბანკთან. ღირებული რა გაქვთ? რისი ჩადება შეგიძლიათ ბანკში?

ქალი: სამოთახიანი ბინა მაქვს ქალაქის ცენტრში.

ბანკის თანამშრომელი: მაშინ იპოთეკის ხელშეკრულებას გაგიფორმებთ.

1.4. გამოთვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

ქირავნობის ხელშეკრულება	ნასყიდობის ხელშეკრულება
გირავნობის ხელშეკრულება	იპოთეკით დატვირთვა
საჯარო რეესტრში	

1. ნინოს სასწრაფოდ დასჭირდა ფული. მან თავისი სამკაულები ლომბარდში მიიტანა და გააფორმა _____
2. ნანას არ ეყო ფული რემონტზე და თავისი ბინა _____
3. მერაბმა საგურამოში მიწა იყიდა. მიწის გამყიდველი, ასაკოვანი ქალბატონი, და მერაბი წავიდნენ _____ და გააფორმეს _____
4. თამარმა თავისი ბინა უცხოელებს მიაქირავა. ისინი წესიერი ადამიანები არიან, თამარს ქირის გადახდას არ დაუგვიანებენ, მაგრამ თამარმა მაინც გააფორმა _____

1.5. ა) წიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ აზრობრივად!

ქალი: ვის მოვთხოვო პასუხი, რომ ასეთი ცოტა პენსია მაქვს?

იურისტი: მე ვერ დაგეხმარებით, ეს ხელისუფლების საქმეა.

ქალი: სასამართლოში ხომ ვერ ვიჩივლებ?!

იურისტი: რა თქმა უნდა, სასამართლოც ვერ დაგეხმარებათ. პენსიების საქმე საკანონმდებლო ხელისუფლებას ეხება, კერძოდ, პარლამენტს.

ქალი: თვითონ ხომ აქვთ კარგი ხელფასები?! ჩვენ რაღა ვქნათ?

იურისტი: პარლამენტარს ბევრი მოვალეობაც აქვს. ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონოს. მასზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი.

ქალი: სწორედ ამისთვის ავირჩიეთ. გმადლობთ. დახმარებას არ დამპირდით, მაგრამ რჩევა მაინც მომეცით.

იურისტი: რა რჩევა? რას ამბობთ?

ქალი: უბნის დეპუტატს უნდა მივმართო, რომ _____.

ბ) უპასუხეთ კითხვას:

- სად უნდა განიხილონ ეს საკითხი?

ხელშეკრულება
ხელისუფლება
ხელმძღვანელობა

1.6. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები:

სამართალი სამართლიანობა

ა. _____ იურიდიული ტერმინია და კანონების ერთობლიობას ნიშნავს.

ბ. ის ეფუძნება _____, მაგრამ _____ და სამართლიანობა ერთი და იგივე არ არის.

გ. ზოგიერთი ადამიანი სამართლიანობის მნიშვნელობით ხმარობს სიტყვა _____

დ. მართალი კაცი ყოველთვის _____ მოქმედებს.

ე. მოსამართლე ყოველთვის ეყრდნობა _____

1.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	იკამათა	კამათობს	იკამათებს
2	ეგონა	ჰგონია	ეგონება
3	დაამტკიცა	ამტკიცებს	დაამტკიცებს
4	დაასაბუთა	ასაბუთებს	დაასაბუთებს
5	იჩივლა	ჩივის	იჩივლებს
6	დააგირავა	აგირავებს	დააგირავებს



1.8. მოსმენა

დიალოგი თემაზე: ზარი იურისტთან

1.9. მოისმინეთ ჩანაწერი; სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

მოქალაქეს იურისტის კონსულტაცია სჭირდება.	
მოქალაქე თავის კუთვნილ პენსიას ითხოვს.	
ოპერატორი იურისტი არ არის და ამიტომაც ვერ უპასუხებს მის კითხვებს.	
სესხის პირობები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზეზით იღებს მოქალაქე სესხს და რომელი ბანკიდან.	

1.10. დიალოგის მიხედვით აარჩიეთ სწორი პასუხები!

რატომ რეკავს მოქალაქე იურისტთან?

- ა. კონსულტაცია სჭირდება.
- ბ. სასაუბროდ.
- გ. ანდერძის შესადგენად.

ვის უნდა მიმართონ კუთვნილი პენსიის მისაღებად?

- ა. საქართველოს პარლამენტს.
- ბ. სოციალური მომსახურების სააგენტოს.
- გ. სასამართლოს.

რა უნდა წარადგინოს მოქალაქემ მამის პენსიის მისაღებად?

- ა. საკუთარი პირადობის მოწმობა.
- ბ. სკოლის ატესტატი.
- გ. მამის გარდაცვალების მოწმობა.

1.11. საპრეზენტაციო თემა

რა შემთხვევაში გამოიყენებადით იურისტის კონსულტაციას?

1.12. მოისმინეთ დიალოგი კიდევ ერთხელ და შეავსეთ ტექსტში გამოტოვებული ადგილები!

- ა. მამა გარდამეცვალა. მე მისი _____ ვარ და უფლება მაქვს პენსია მოვითხოვო.
- ბ. _____ გაძლევთ პენსიის აღების უფლებას.

გ. სესხის პირობები _____ და _____ პირებისათვის განსხვავებულია.
 დ. როგორ მოვიქცე, როგორც კერძო პირმა, ისე ავიღო სესხი თუ _____?

1.13. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი!

1.14. წერა:

ა. წაიკითხეთ ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან „ირემი“:

.... აღდგენა სიმართლისა ყველას თავისებურად ესმის: ღარიბს და მშვიერს იმისთვის უნდა სიმართლის აღდგენა, რომ გაძღეს, გათბეს, კარგად მოაწყოს თავისი ცხოვრება... მდიდარი ფიქრობს: აღდგეს სიმართლე, ჩემს სიმდიდრეს მოემატოს და ნურაფერი დააკლდებაო...

ბ.

იმსჯელეთ საკითხზე - **ორი სიმართლე**

გაეცით პასუხი კითხვას:

- არსებობს თუ არა ორი სიმართლე?
 (შეხედულებები ჩამოაყალიბეთ პირველ პირში)

ზმნები:

N	ახლან- დელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ჰნა?	რას იზამს?	რა უნდა ჰნას?	რა უჰნია?	რა?
1	აგირავენ	აგირაებდა	დააგირავა	დააგირავენ	დააგირაოს	დაუგირაებია	დაგირაება
2	ამტკიცებს	ამტკიცებდა	დაამტკიცა	დაამტკიცებს	დაამტკიცოს	დაუმტკიცებია	დამტკიცება
3	ასაბუთებს	ასაბუთებდა	დაასაბუთა	დაასაბუთებს	დაასაბუთოს	დაუსაბუთებია	დასაბუთება
4	ასხვავებს	ასხვავებდა	განასხვავა	განასხვავებს	განასხვავოს	განუსხვავებია	განსხვავება
5	აფორმებს	აფორმებდა	გააფორმა	გააფორმებს	გააფორმოს	გაუფორმებია	გაფორმება
6	აძლევს	აძლევდა	მისცა	მისცემს	მისცეს	მიუცია	მიცემა
7	კამათობს	კამათობდა	იკამათა	იკამათებს	იკამათოს	უკამათია	კამათი
8	მოსწონს	მოსწონდა	მოეწონა	მოეწონება	მოეწონოს	მოსწონებია	მოწონება
9	მსჯელობს	მსჯელობდა	იმსჯელა	იმსჯელებს	იმსჯელოს	უმსჯელია	მსჯელობა
10	ტვირთავს	ტვირთავდა	დატვირთა	დატვირთავს	დატვირთოს	დაუტვირთავს	დატვირთვა
11	ჩივის	ჩიოდა	იჩივლა	იჩივლებს	იჩივლოს	უჩივლია	ჩივილი
12	ჰგონია	—————	ეგონა	ეგონება	ეგონოს	ჰგონებია	—————

V ტაპი

საოჯახო სამართალი

I ნაწილი

ქორწინება

1.1. მოსამზადებელი სამუშაო



- უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. რას ნიშნავს ქორწინება?
3. რა მოვალეობები უწინდებია ქორწინების შედეგად ცოლსა და ქმარს?
4. რატომ ქორწინდებიან ადამიანები?

1.2. ტექსტი:

ჯერ დაოჯახებული არა ვარ, მაგრამ ახლო მომავალში ვაპირებ. ძალიან ვნერვიულობ, რადგან ქორწინება საპასუხისმგებლო სამოქალაქო ურთიერთობაა. ყველაფერს წინასწარ ვარკვევ, რომ მერე არ ვინანო. ჩემს მომავალ მეუღლეს თანხმობა უკვე მივეცი და **ნიშნობაც** გვქონდა, მაგრამ, როგორც იურისტმა მითხრა, ეს არ მავალდებულებს მასზე ვიქორწინო. ასეთ შემთხვევაში ნიშნობის საჩუქრებს უკან დავაბრუნებ. ველოდებით ჩემს სრულწლოვანებასაც, რადგან ქორწინება მხოლოდ 18 წლიდანაა ნებადართული. ადრე 16 წლის ახალგაზრდებს მშობლების ან მზრუნველის წერილობითი თანხმობით აქორწინებდნენ, ახლა გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს. წინასწარ ვიცი, უარს მივიღებ, რადგან **პატივსაღები მიზეზი**, მაგალითად, ორსულობა, მე არ მაქვს. გავხდები 18 წლისა და მერე ხელს აღარაფერი შეგვიშლის: ჩვენ ორივე – ჩემი და ჩემი მომავალი მეუღლის – ნება-სურვილით ვქორწინდებით. ჩვენს შემთხვევაში არ არსებობს **დამაბრკოლებელი გარემოებები**, რადგან არც აქამდე ვყოფილვართ დაქორწინებულნი და ერთმანეთს არც **აღმავალი და არც დაღმავალი შტოს ნათესავებად** ვეკუთვნი.

ქორწინებას აუცილებლად დავარეგისტრირებთ სამოქალაქო რეესტრში და მერე ქორწილსაც გადავიხდით. ამხანაგმა მირჩია, ეს საქმე არასამართლებრივად გადამეწყვიტა: დარეგისტრირება რად გინდა, მხოლოდ ჯვარი დაიწერეთ. მას ნამდვილად არ დაუვჯერებ, რადგან დაურეგისტრირებელი ქორწინება არ წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ უფლებებსა და ვალდებულებებს. გულის სიღრმეში ჩემს თავს ვეკითხები: რამ შეიძლება შეწყვიტოს ჩვენი ქორწინება?! კოდექსი პირდაპირ

მპასუხობს: ქორწინების შეწყვეტა მხოლოდ **განქორწინებას** ან ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებას შეუძლია. ამის გაფიქრებაც კი არ მინდა. მეცოდება ის ადამიანი, რომელიც სამოქალაქო რეესტრში განქორწინებისათვის დგას რიგში და თავისი ნებით უნდა დაანგრიოს ოჯახი. უარესია, როცა ცოლ-ქმარს შორის განქორწინებისათვის დავა სასამართლომდე მიდის.

1.3. ლექსიკა:

ნიშნობა – საქორწინო გარიგების არაიურიდიული სახე. ამ დროს ვაჟის მშობლებს ქალისთვის მიაქვთ სამკაული.

პატივსადები მიზეზი – აქ: საპატიო მიზეზი.

დამაბრკოლებელი გარემოებები – ხელის შემშლელი გარემოებები.

აღმავალი შტოს ნათესავები – დედ-მამა, ბებია-ბაბუა....

დაღმავალი შტოს ნათესავები – შვილი, შვილიშვილი....

განქორწინება – ქორწინების გაუქმება.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რა არის ქორწინება?
2. რომელი წლიდან არის ნებადართული ქორწინება?
3. რა შემთხვევაში არ დაიშვება ქორწინება?
4. სად ხდება ქორწინების რეგისტრაცია?
5. რა არის ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები?
6. რა შეიძლება იყოს ქორწინების შეწყვეტის მიზეზი?
7. ხდება თუ არა განქორწინება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით და სად?
8. სად ხდება განქორწინება დავის არსებობის შემთხვევაში?

სინონიმები	ანტონიმები
დაოჯახებული – დაქორწინებული პატივსადები – საპატიო ორსულობა – ფეხმძიმობა განქორწინება – გაყრა გარდაცვალება – სიკვდილი	დარეგისტრირებული – დაურეგისტრირებელი სამართლებრივად – არასამართლებრივად ქორწინება – განქორწინება აღმავალი – დაღმავალი სრულწლოვანი – არასრულწლოვანი

ა.

არარეგისტრირებული – რეგისტრაციის არმქონე, დაურეგისტრირებელი.

მაგ., ნიშნობა იურიდიულად არარეგისტრირებული ქორწინებაა.

ბ.

სახ.	ეს	საქმე	ეგ	ქონება	ის	პროფესია
მოთხრ.	ამ	საქმე ^მ	მაგ	ქონება ^მ	იმ	პროფესია ^მ
მიც.	ამ	საქმე ^ს	მაგ	ქონება ^ს	იმ	პროფესია ^ს

და სხვ.

1.5. შევადგინოთ გაზეთში გამოსაქვეყნებელი სახუმარო განცხადება, რომელშიც აღწერთ, თქვენ როგორი ხართ და როგორ მეუღლეს ეძებთ!

მე ვარ _____

ვეძებ მეუღლეს, რომელიც იქნება _____

საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომლითაც არასრულწლოვნებს ქორწინება ეკრძალებათ. კანონპროექტის მიხედვით, 16-დან 18 წლამდე პირთა ქორწინებაზე ნებართვის გაცემას მხოლოდ სასამართლო შეძლებს.

1.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

პატივსაღები მიზეზი	დამაბრკოლებელი გარემოება
დაურეგისტრირებელი ქორწინება	არასამართლებრივად მოგვარებას
კანონით გათვალისწინებულ	საქართველოს კანონმდებლობით

ზემფირასა და ვალერის ერთმანეთი უყვართ და სურთ დაქორწინება. ისინი დიდ გასაჭირში არიან, აღარ იციან, როგორ მოიქცენ. ზემფირა ჯერ 17 წლისაა, მაგრამ ქორწინებისთვის აქვს _____, ის ორსულადაა. სავარაუდოდ, მათ სასამართლო მისცემდა ქორწინების ნებართვას, რომ არ ყოფილიყო _____ – ვალერი უკვე დაქორწინებულია, მას არც პირველ მეუღლესთან სურს განქორწინება, რადგან შვილები ჰყავს მასთან. ვალერის ურჩევნ საქმის _____: ტრადიციის მიხედვით, მას შეუძლია ორი მეუღლე ერთდროულად ჰყავდეს, რაც _____ დაუშვებელია. ზემფირას არ სურს _____, რადგან ის არ წარმოშობს _____ ვალდებულებებსა და მოვალეობებს. ცუდ დღეშია ვალერი. მან არჩევანი უნდა გააკეთოს.

1.7. მოცემული გზნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	დააპირა	აპირებს	დააპირებს
2	გაარკვია	არკვევს	გაარკვევს
3	დაავალდებულა	ავალდებულებს	დაავალდებულებს
4	გადაიხადა [ქორწილი]	იხდის [ქორწილს]	გადაიხდის [ქორწილს]
5	დაანგრია	ანგრევს	დაანგრევს



გაიხსენეთ!

რა უნდა ქნას? უნდა შეწყვიტოს რა უნდა ქნან? უნდა შეწყვიტონ
მაგ., მათ უნდა შეწყვიტონ საქმის კეთება.



1.8. მოსმენა

დიალოგი თემაზე: კანონი ქორწინების შესახებ

1.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ქორწინება საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია 18 წლიდან.	
16 წლის მოზარდს ქორწინების უფლება მხოლოდ მშობლის თანხმობის შემთხვევაში აქვს.	
სალომეს უსიამოვნება აქვს მშობლებთან სწავლის შეწყვეტის გამო.	
ნაადრევი ქორწინება სისხლის სამართლის დანაშაული არ არის.	

1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რამდენი წლის იყო სალომე, როდესაც დაქორწინება გადაწყვიტა?
2. რა უარყოფითი მხარეები აქვს ნაადრევ ქორწინებას?
3. სურდათ თუ არა მშობლებს სალომეს ნაადრევი ქორწინება?
4. მოსწონთ თუ არა ნიცასა და ელენეს სალომეს გადაწყვეტილება?

1.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.12. საპრეზენტაციო თემა

გაითვალისწინებდით თუ არა ახლობლების აზრს
ქორწინების წინ?




დაიმახსოვრეთ!

ყველგან – იგივეა, რაც ყველა ადგილას.

ასეთივე სიტყვებია: **ზოგან, ერთგან, ბევრგან, მრავალგან, ორგან** და სხვ.

ა.



ბ.

მხოლოდითი

რას შვრებოდა?

აპირებ**და**

მრავლობითი

რას შვრებოდნენ?

აპირებ**დნენ**

მაგ.: ის დაოჯახებას აპირებდა.

ისინი სასამართლოში საქმის შეტანას აპირებდნენ.

გ.

სახ.

ქორწინებ**ის**

უფლება

მოთხრ.

ქორწინებ**ის**

უფლება**მ**

მის.

ქორწინებ**ის**

უფლება**ს**

და სხვ.

1.13. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – **როგორი ქორწინებაა საუკეთესო?**

1.14. ანდაზებს [1-3] მიუსადაგეთ მათი გააზრებები [ა-გ]:

ანდაზები:

ცოლს თავისი ქმარი ლომი ეგონაო.
ცოლ-ქმრის ჩხუბი ბრიყვს მართალი ეგონაო.
ქმარმა რომ სიზმარი ნახოს, ცოლმა უნდა გაიგოსო.

განმარტებები:

- ა. ცოლსა და ქმარს ერთმანეთის უსიტყვოდ უნდა ესმოდეო.
- ბ. ცოლს თავის ქმარზე ზედმეტი წარმოდგენა აქვს.
- გ. ცოლი და ქმარი ერთმანეთს სერიოზულად არ ეჩხუბებიან.

1.15. სახალისო გამონათქვამებს [1-3] მიუსადაგეთ მათი გააზრებები [ა-გ]:

სახალისო გამონათქვამები:

1. ძნელია წარმოდგინო რომელი და ჯულიეტა საქორწინო ხელშეკრულების დადებისას.
2. ქორწინება სასიამოვნო რამ არის, მაგრამ ჩვევად არ უნდა იქცეს /სომერსეტ მოემი/.
3. ქორწინება ტელეფონივითაა. თუ არასწორად აკრეფ ნომერს, არასწორად დაუკავშირდები /დორის დეი/.
4. ქორწინება დასასვენებელი სახლი კი არ არის, არამედ შენობა, რომელსაც მუდამ სჭირდება შენება და შეკეთება /ჟან გაბენი/.

განმარტებები:

- ა. ხშირი ქორწინება ადამიანს უარყოფითად ახასიათებს.
- ბ. სიყვარულით ქორწინების დროს არავინ ფიქრობს საქორწინო ხელშეკრულების დადებაზე.
- გ. ქორწინებას მუდამ ესაჭიროება განმტკიცება.
- დ. მეუღლის სწორად შერჩევა ადამიანის ჭკუა-გონებაზეცაა დამოკიდებული.

2.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რომელი წევრებისგან შეიძლება შედგებოდეს დიდი ოჯახი?
2. რომელი წევრები წარმოადგენენ ოჯახში უფროს თაობას?
3. ვინ ზრუნავს მათზე?
4. ვინ ზრდის ოჯახში ბავშვებს?
5. როგორ არის განაწილებული შრომა თქვენთვის ცნობილ ოჯახებში?

2.2. ტექსტი:

როგორც იქნა, გავხდი სრულწლოვანი და დავქორწინდი. ყველაფერმა წესისამებრ ჩაიარა. მალე შვილიც გვეყოლება. ჯერ სახელი არ აგვირჩევია: ბებიას ერთი სახელი უნდა, ბაბუას – მეორე, დეიდას – მესამე. ყველას აზრის გათვალისწინება არ შეიძლება, შვილს სახელს მხოლოდ მშობლები არჩევენ **ურთიერთშეთანხმებით**, გვარი კი მშობლების გვარის მიხედვით განისაზღვრება. ასე რომ, შეგვიძლია ჩვენს შვილს ჩემი გვარი მივცეთ, ან ჩემი მეუღლის, ან შეერთებული გვარი, თუ ორივე თანახმა ვიქნებით.

მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს ყველანაირად **ვუდგავართ მხარში**, რა თქმა უნდა, მატერიალურადაც, ორივე ვმუშაობთ; თუმცა, როცა მეუღლეთა შორის წინასწარ არ არის დადებული საქორწინო ხელშეკრულება და არც შეთანხმება რჩენის თაობაზე, სასამართლო აძლევს **სარჩოს** მიღების უფლებას ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში.

ქორწინება მეუღლეთა შორის მრავალმხრივ ურთიერთობებსა და მოვალეობებს წარმოშობს: პირადს, ქონებრივსა და სახელშეკრულებოს. პირად ურთიერთობებში იგულისხმება სახელის, გვარის, განათლების, სამსახურისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლება. მეუღლეს უფლება აქვს თავად აირჩიოს თავისი გვარი, საქმიანობა, პროფესია და საცხოვრებელი ადგილიც, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ოჯახის ინტერესებს. აქედან გამომდინარე, მე მეუღლის გვარზე არ გადავალ, ჩემიც ძალიან მომწონს. სწავლას, რასაკვირველია, გავაგრძელებ და პროფესიასაც დავეუფლები.

მეუღლეთა **ქონებრივი ურთიერთობები** გულისხმობს მათ უფლებებს ოჯახის ქონებაზე. ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას კანონს ვერ დაუმაღლავ. ის არის ერთობლივი, ორივეს საკუთრება, მიუხედავად იმისა, რომელი მეუღლის შეძენილია. მე ეს კანონი მომწონს – არ იჩაგრება ქალი, რომელიც შვილებს ზრდის და საპატიო მიზეზის გამო არა აქვს **შემოსავალი**. სხვა რამეა

ინდივიდუალური საკუთრება. ეს ის ქონებაა, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ქორწინებამდე ეკუთვნოდა ან ქორწინების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო. ასეთი ქონება მისი პირადი საკუთრებაა.

ყველაზე კარგია, მეუღლეები ქორწინებამდე შეთანხმდნენ და გააფორმონ საქორწინო ხელშეკრულება, რომელშიც გაწერენ თავიანთ ქონებრივ ურთიერთობებს. ასეთ შემთხვევაში ისინი მოვალენი იქნებიან შეასრულონ სახელშეკრულებო ვალდებულებები.

2.3.ლექსიკა:

ურთიერთშეთანხმება – ერთმანეთის აზრის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილება.

მხარში დგომა – დახმარება.

სარჩო – ყველაფერი, რაც აუცილებელია ადამიანის არსებობისათვის, მაგალითად, საკვები და ჩასაცმელი.

ქონებრივი ურთიერთობები – ქონების მოხმარებასა და განაწილებასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

შემოსავალი – თანხა, რომელსაც ადამიანი იღებს სისტემატურად (ხელფასი, პენსია, ჯიბის ფული და ა.შ.).

2.4. ტექსტის გააზრება:

1. ვინ არქმევს შვილს სახელს და რა პრინციპით?
2. როგორ განისაზღვრება ბავშვის გვარი?
3. რა შემთხვევაში ეძლევა მეუღლეს სასამართლოს წესით რჩენის უფლება?
4. რა სახის ქონებაა მეუღლეთა საერთო საკუთრება?
5. რა სახის ქონებაა ინდივიდუალური საკუთრება?
6. სავალდებულოა თუ არა ქორწილის წინ საქორწინო ხელშეკრულების დადება?
7. რა უნდა აისახოს საქორწინო ხელშეკრულებაში?

ა. დაიმახსოვრეთ!



-**ოვან** ბოლოსართი სახელებს დაერთვის და რაიმეს ქონას აღნიშნავს.

მაგ., სრულწლო**ვანი** – იგივეა, რაც: ზრდადასრულებული, სრულწლოვანებას მიღწეული.

ასაკ**ოვანი** – იგივეა, რაც: ასაკის მქონე, მოხუცი.

ბ.

დაიმახსოვრეთ!



ნაცვალსახელები – **ერთმანეთი** და **ერთიმეორე** – სინონიმებია და ორ პირს შორის ურთიერთობას გამოხატავს.

მაგ., **ერთმანეთს** მხარში ამოვუდგებით.

ისინი **ერთიმეორეს** გვერდით ამოუდგნენ.





სახ.	ერთმანეთი	ერთიმეორე
მოთხრ.	[ერთმანეთმა]	[ერთიმეორემ]
მიც.	ერთმანეთს	ერთიმეორეს
ნათ.	ერთმანეთის	ერთიმეორის
მოქმ.	ერთმანეთით	ერთიმეორით
ვით.	----	----
წოდ.	----	----



მითითება! მოთხრობითის ფორმები – ერთმანეთმა და ერთიმეორემ – იშვიათად გამოიყენება.

მაგ., დაე, ერთმანეთმა [//ერთიმეორემ] გაგაძლიეროთ!



სახ.	ერთმანეთის	აზრი	ერთიმეორის	ფიქრი
მოთხრ.	ერთმანეთის	აზრმა	ერთიმეორის	ფიქრმა
მიც.	ერთმანეთის	აზრს	ერთიმეორის	ფიქრს

და სხვ.

8.



დაიმახსოვრეთ!

რას შვრება? უმაღაღს იცვამს
რა უქნია? დაუმაღაღს ჩაუცვამს
 მაგ., ჩემს მეგობარს არაფერი დაუმაღაღს.
 ეგ კაბა ჯერ არ ჩაუცვამს.

რა მიქნია?	რა გვიქნია?
რა გიქნია?	რა გიქნიათ?
რა უქნია?	რა უქნიათ?



[მე]	დამიმაღაღს	[ჩვენ]	დაგვიმაღაღს
[შენ]	დაგიმაღაღს	[თქვენ]	დაგიმაღაღათ
[მას]	დაუმაღაღს	[მათ]	დაუმაღაღათ

2.5. ტექსტის მიხედვით შეაფასეთ სიტუაცია და უპასუხეთ კითხვებს!

1. ანა და მერაბი დაქორწინებული არიან უკვე 10 წელია. ანა არის დიასახლისი, ხოლო მერაბი მუშაობს ერთ-ერთ ორგანიზაციაში. მათ 5 წლის წინ შეიძინეს საცხოვრებელი სახლი. არის თუ არა ეს სახლი მათი საერთო საკუთრება, მიუხედავად იმისა, რომ ანა არ მუშაობდა, ზრდიდა შვილებს და უვლიდა ოჯახს?
2. ანა და მერაბი დაქორწინდნენ 10 წლის წინ. დაქორწინებიდან 3 წლის შემდეგ ანამ მემკვიდრეობით მიიღო საცხოვრებელი სახლი ბათუმში. არის თუ არა ეს სახლი მათი თანასაკუთრება?

2.6. შეადგინეთ საქორწინო ხელშეკრულება; ჩამოწერეთ 6 მუხლი, რომლებსაც შეიტანდით ხელშეკრულებაში!

მუხლი 0. ქორწინების შემდეგ მეუღლეები თანაბრად გავიყოფთ კომუნალურ გადასახადებს.

მუხლი 1: _____

მუხლი 2: _____

მუხლი 3: _____

მუხლი 4: _____

მუხლი 5: _____

მუხლი 6: _____

2.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	დაქორწინდა	ქორწინდება	დაქორწინდება
2	ჩაიარა	[ჩა]ივლის	ჩაივლის
3	განისაზღვრა	[გან]ისაზღვრება	განისაზღვრება
4	ამოუდგა [მხარში]	უდგას [მხარში]	ამოუდგება [მხარში]
5	დაიჩაგრა	იჩაგრება	დაიჩაგრება



2.8. მოსმენა

ტექსტი თემაზე: იურისტის ერთი დღე

2.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ტასო სისხლის სამართლის სფეროში მუშაობს.	
ბავშვისთვის სახელის შერჩევის უფლება მხოლოდ მამას აქვს.	
მარიამი საქორწინო კონტრაქტის გაფორმების მომხრეა.	
საქორწინო კონტრაქტი საშუალებას აძლევს ცოლსა და ქმარს, წინასწარ შეთანხმდნენ ქონებრივ საკითხებზე.	

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

2.11. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რაზე დავობენ მარიამი და მისი ქმარი?
2. საერთოა თუ არა ქორწინებამდე შეძენილი ქონება?
3. ვინ ფლობს ქორწინების შემდეგ შეძენილ ქონებას, ცოლი თუ ქმარი?
4. რა მოსაზრებით მოსწონს იურისტს საქორწინო კონტრაქტის დადება?

2.12. საპრეგნტაციო თემა

**უნდა აირჩიოს თუ არა ცოლმა ქმრის გვარი
ქორწინების რეგისტრაციის დროს?**

დაიმახსოვრეთ ფრაზა!

ა.

**სხვათა შორის**

მითითება: ძირითადად გამოიყენეთ მაშინ, როცა რაიმეს ასაბუთებთ, თქვენს აზრს გამოთქვამთ და გსურთ, ეს აზრი სხვასაც გააგებინოთ.

მაგ., სხვათა შორის, ეგ უკანონოა; ან: სხვათა შორის, მაგ საკითხზე ბევრი ვიფიქრე.

ბ.

**ისეთი ხელშეკრულება,
როგორიც**

**ისეთი ხელშეკრულებები,
როგორებიც...**

გ.



დაიმახსოვრეთ!

- | | |
|----------------|-----------|
| I. ჩემგან | ჩვენგან |
| II. შენგან | თქვენგან |
| III. [ი]მისგან | [ი]მათგან |

აგრეთვე: ყველასგან, თითოეულისგან.

მაგ., თქვენგან ასეთ პასუხს არ ველოდი.



**-გან გამოიყენეთ მაშინაც, როცა არსებითი სახელი,
რომელსაც ის დაერთვის, რაიმე მასალაა.**

მაგ., ოქრო → ბეჭედს ოქროსგან ამზადებენ.



-გან დაერთვის პროფესიის გამომხატველ სიტყვებსაც.
მაგ., იურისტი → იურისტისგან კმაყოფილი წამოვედი.

2.13. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – **ჩემი ოჯახური ურთიერთობები**

2.14. თემატური გამონათქვამები:

„ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, უბედური კი უბედურია თავისებურად“
/ლევ ტოლსტოი, „ანნა კარენინა“/.

უპასუხეთ კითხვას!

- როგორ გეხმობა მოცემული გამონათქვამი?

2.15. ანდაზებს [1-4] მიუსადაგეთ მათი გააზრებები [ა-დ]:

ანდაზები:

ოჯახში ერთი მახინჯიც გამოერევაო.

ორსულ ქალს ცალი ფეხი სამარეში უდგასო.

კარგმა ოჯახმა კარგი გამომიყვანა და ავმა – ავიო.

ქონებამ პაპის პაპისთვის გამაკეთებინა საკურთხი, უქონლობამ – მამისთვისაც არაო.

განმარტებები:

ა. ოჯახს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჩამოყალიბებაში.

ბ. მშობიარობა დიდი განსაცდელია.

გ. ოჯახის წევრებში შეიძლება ერთი ცუდი ადამიანიც აღმოჩნდეს.

დ. ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს როგორც ოჯახის წევრებთან ურთიერთობას, ასევე – წინაპრებზე ზრუნვასაც.

3.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. როგორ ფიქრობთ, რამდენ წლამდე არიან ვალდებულნი მშობლები მოუარონ შვილებს?
3. მშობლის მოვლის ვალდებულება აქვს თუ არა შვილს?
4. რა შემთხვევაში უვლის შვილი მშობელს?
5. თუ მშობლები განქორწინებულნი არიან, ვის ევალება ბავშვზე ზრუნვა?
6. როგორ შეიძლება იზრუნოს განქორწინებულმა, ოჯახიდან წასულმა მშობელმა, შვილზე?

3.2. ტექსტი

კარგია, როცა ბავშვები ჰარმონიულ ოჯახში იზრდებიან, დედაც ჰყავთ და მამაც, მაგრამ ხშირია მშობლების განქორწინების შემთხვევებიც. ასეთ დროს ორივე მშობელი ვალდებულია იზრუნოს შვილებზე. ის მშობელი, რომელიც შვილთან არ ცხოვრობს და პირადად არ ზრუნავს მასზე, იხდის **ალიმენტს**.

ალიმენტი რჩენის ვალდებულებაა. მისი მიღების უფლება აქვთ არასრულწლოვან შვილებს და **შრომისუნარო** ოჯახის წევრებს. შვილებისათვის ალიმენტის ოდენობას მშობლები ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას სასამართლო წყვეტს. ალიმენტის გარდა, მშობელმა მონაწილეობა უნდა მიიღოს დამატებით ხარჯებშიც, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული მდგომარეობით, მაგალითად, ბავშვის ავადმყოფობით. ალიმენტთან დაკავშირებულ საკითხებს სასამართლო უმოკლეს ვადაში განიხილავს.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მშობლები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, ასევე - სრულწლოვანი და დაქორწინებული შვილებიც, რომლებიც შრომისუნაროები არიან და საჭიროებენ დახმარებას. მშობლებისა და შვილების მოვალეობანი ორმხრივია. შვილებიც ვალდებულნი არიან იზრუნონ მშობლებზე და დაეხმარონ მათ.

გარდაცვლილი მშობლების ქონება ძირითადად შვილებს რჩებათ. ისინი მშობლების მემკვიდრეები არიან. იურიდიულად **მამკვიდრებელი** არის პირი, რომლის ქონებაც გარდაცვალების შემდეგ სხვას გადაეცემა, ხოლო **მემკვიდრე** არის პირი, რომელიც იღებს მემკვიდრეობას. მემკვიდრეობა გადაეცემა კანონითა და **ანდერძით**. კანონით მემკვიდრეობა პიდაპირ გადადის ახლო ნათესავებზე. ანდერძით მამკვიდრებელს შეუძლია თავისი ქონება დაუტოვოს როგორც ახლო ნათესავებს, ისე – გარეშე პირს. უპირატესობა ანდერძს ენიჭება.

3.3. ლექსიკა:

ალიმენტი – სავალდებულო თანხა, რომელსაც ყოფილი ოჯახის წევრს რჩენის მიზნით უხდიან.

შრომისუნარო – შრომის უნარის, შესაძლებლობის არმქონე.

მამკვიდრებელი – პირი, რომლის ქონებაც გარდაცვალების შემდეგ იურიდიულად სხვას გადაეცემა.

მემკვიდრე – პირი, რომელიც იღებს მემკვიდრეობას.

ანდერძი – წერილობითი სურვილი, რომელიც უნდა შესრულდეს პირის გარდაცვალების შემდეგ.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. რა არის ალიმენტი?
2. როდის ინიშნება იგი?
3. როგორ განისაზღვრება მისი ოდენობა?
4. მშობლების ქორწინება განსაზღვრავს თუ არა მოვალეობას შვილების მიმართ?
5. მშობლისა და შვილის მოვალეობები ცალმხრივია თუ ორმხრივი?

სინონიმები	ანტონიმები
რჩენა – შენახვა	შეთანხმება – შეუთანხმებლობა
ოდენობა – რაოდენობა	შრომისუნარიანი – შრომისუნარო
განსაზღვრავენ – აწესებენ	ავადმყოფობა – ჯანმრთელობა
	ორმხრივი – ცალმხრივი

ა.

დაიმახსოვრეთ!



ურთიერთ როგორც სიტყვებს ქმნის და გულისხმობს ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ ან მეტ მხარეს.

მაგ., ალიმენტის თანხას მშობლები **ურთიერთ**შეთანხმებით ადგენენ.

ბ.

დაიმახსოვრეთ!

პირდაპირ – საწინააღმდეგო, მოპირდაპირე მხარეს; ან: დაუფარავად, გარკვევით.

პირისპირ – იგივეა, რაც: პირდაპირ, ანუ საწინააღმდეგო მხარეს.

მაგ., ჩემ პირდაპირ უცნობი კაცი იდგა.

გთხოვ, პირდაპირ მიპასუხო!

ცილისწამების პირისპირ აღმოვჩნდი.

ა. **პირისპირ** → **დაპირისპირებს** (რას იზამს?) → **დაპირისპირება** (რა?)

ბ. **პირისპირ** → **საპირისპირო** [აზრი]

**ჩემ**

პირდაპირ

ჩვენ

პირდაპირ

შენ

პირდაპირ

თქვენ

პირდაპირ

[ი]მის

პირდაპირ

[ი]მათ

პირდაპირ

მაგრამ:

მართლმსაჯულების პირისპირ**მოსამართლის პირდაპირ****3.5. ტექსტის მიხედვით შეაფასეთ სიტუაცია და უპასუხეთ კითხვებს!**

1. ანა და მამუკა დაქორწინებულნი არ არიან. მათი შვილი უკვე სრულწლოვანია, მაგრამ ავარიის გამო შრომისუნარო გახდა. ვალდებულია თუ არა მამუკა შვილს გადაუხადოს ალიმენტი?
2. ლიას ორი შვილი ჰყავდა, მაგრამ თავისი ქონება ანდერძით მეზობელს დაუტოვა. ვინ არის ქონების კანონიერი მემკვიდრე?

3.6. შეადგინეთ ანდერძი; ჩამოწერეთ 6 მუხლი, რომლებსაც მასში შეიტანდით!

ნიმუში: მე მსურს ჩემი წიგნები გადავცე იმ სკოლას, რომელშიც ვსწავლობდი.

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____

3.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	იზრუნა	ზრუნავს	იზრუნებს
2	დარჩა	რჩება	დარჩება



3.8. მოსმენა

დიალოგი თემაზე: ალიმენტი

რთული → სირთული

ძნელი → სიძნელი

მაგ., აღზრდის სირთულე მართო თქვენ არ დაგაწვებათ – ნიშნავს: აღზრდის რთულ პროცესზე მართო თქვენ არ აგებთ პასუხს.

3.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ალიმენტის გადახდა საქართველოს კანონმდებლობით არის სავალდებულო.	
ალიმენტის რაოდენობა კანონმდებლობით არის განსაზღვრული.	
ალიმენტის გადაუხდელობის შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლოში ჩივილი.	
ბავშვის ავადმყოფობა დამატებით ხარჯებში არ შედის.	

3.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რა არის ალიმენტი? _____
2. რამდენი შვილი ჰყავს ნინოს? _____
3. რა იგულისხმება დამატებით ხარჯებში? _____
4. რაზე უნდა შეთანხმდნენ ნინო და მისი ქმარი? _____

3. 11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.12. საპრეგნტაციო თემა

**უადვილებს თუ არა ქალს ალიმენტი ბავშვების
აღზრდას?**

პირში წყალი დაიგუბა – გაჩუმდა, აღარაფერი თქვა.
მაგ., პირში წყალი დაიგუბე, ვინმეს რამე რომ არ გაეგო.



ხმა გაკმინდა – სულ გაჩუმდა, მისი ხმა შეწყდა.
ხმა მისცა – ვიღაც ან რაღაც აირჩია.
სიტყვა პირზე შეაშრა – უეცრად ველარაფერი თქვა (რაიმე განცდის
გამო, მაგ., შიშით, გაოცებით...).

3.13. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - **რას ვურჩევდი ჩემს შვილს**

3. 14. ანდაზებს [1–3] მიუსადაგეთ მათი განმარტებები [ა–გ]:

ანდაზები:

1. შვილმა რომ დედის გულისათვის ხელისგულზე ერბოკვერცხი შეიწვას, მაინც ვერ გადაიხდის დედის ამბავსაო.
2. შვილი, მომდურე დედისა, ურჩია თავის თავისა.
3. ანდერძს კაცი არ მოუკლავსო.

განმარტებები:

- ა. ანდერძის დაწერა არ ნიშნავს სიკვდილის მოახლოებას.
- ბ. დედით უკმაყოფილო შვილი საკუთარი თავის მტერია.
- გ. რაც არ უნდა გააკეთოს შვილმა დედისთვის, ვერ გადაიხდის იმას, რაც დედამ მისთვის გააკეთა.

3.15 . სახალისო დიალოგი!

- პაპამ ხუთჯერ გადაწერა ანდერძი.
- აბა, რა ეგონა, ქართულის მასწავლებელი რომ მოჰყავდა ცოლად.

უპასუხეთ კითხვას:

- რატომ გადაწერა პაპამ ანდერძი ხუთჯერ?

ლექსიკა:

ალიმენტი – სავალდებულო თანხა, რომელსაც უხდიან ყოფილი ოჯახის წევრს რჩენის მიზნით.

ანდერძი – წერილობითი სურვილი, რომელიც უნდა შესრულდეს პირის გარდაცვალების შემდეგ.

აღმავალი შტოს ნათესავები – დედ-მამა, ბებია-ბაბუა....

განქორწინება – ქორწინების გაუქმება.

დამაბრკოლებელი გარემოებები – ხელის შემშლელი გარემოებები.

დაღმავალი შტოს ნათესავები – შვილი, შვილიშვილი....

მამკვიდრებელი – პირი, რომლის ქონებაც გარდაცვალების შემდეგ იურიდიულად სხვას გადაეცემა.

მემკვიდრე – პირი, რომელიც იღებს მემკვიდრეობას.

მხარში დგომა – დახმარება.

ნიშნობა – საქორწინო გარიგების არაიურიდიული სახე. ამ დროს ვაჟის მშობლებს ქალისთვის მიაქვთ სამკაული.

პატივსადები მიზეზი – აქ: საპატიო მიზეზი.

სარჩო – ყველაფერი, რაც აუცილებელია ადამიანის არსებობისათვის, მაგალითად, საკვები და ჩასაცმელი.

ურთიერთშეთანხმება – ერთმანეთის აზრის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილება.

ქონებრივი ურთიერთობები – ქონების მოხმარებასა და განაწილებასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

შემოსავალი – თანხა, რომელსაც ადამიანი იღებს სისტემატურად (ხელფასი, პენსია, ჯიშნა და ა.შ.).

შრომისუნარი – შრომის უნარის, შესაძლებლობის არმქონე.

ზმნები:

N	ახლან-დელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმე-ობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ჰნა?	რას იზამს?	რა უნდა ჰნას?	რა უქნია?	რა?
1	ავალდებულებს	ავალდებულებდა	დაავალ- დებულა	დაავალდე- ბულებს	დაავალდე- ბულოს	დაუვალდე- ბულებია	დავალდე- ბულება
2	ანგრეხს	ანგრეხდა	დანგრია	დანგრეხს	დანგრეხოს	დაუნგრეხია	დანგრეხა
3	აპირებს	აპირებდა	დააპირა	დააპირებს	დააპიროს	დაუპირებია	დაპირება
4	არკვევს	არკვევდა	გარკვეა	გარკვევს	გარკვეოს	გაურკვევია	გარკვევა
5	არქმევს	არქმევდა	დარქვა	დარქმევს	დარქვას	დაურქმევია	დარქმევა
6	[გან]ისაზღვრება	[გან]ისაზღვრებოდა	განისაზღვრა	განისაზღვრებს	განისაზღვროს	განსაზღვრულია	განსაზღვრა
7	[გა]წერს	[გა]წერდა	გაწერა	გაწერს	გაწეროს	გაუწერია	გაწერა
8	ენიჭება	ენიჭებოდა	მიენიჭა	მიენიჭებს	მიენიჭოს	მინიჭებია	მინიჭება
9	ზრუნავს	ზრუნავდა	იზრუნა	იზრუნებს	იზრუნოს	უზრუნია	ზრუნვა
10	იჩაგრება	იჩაგრებოდა	დაიჩაგრა	დაიჩაგრებს	დაიჩაგროს	დაჩაგრულია	დაჩაგრა
11	იხდის [ქორწილს]	იხდიდა [ქორწილს]	გადაიხდა [ქორწილი]	გადაიხდის [ქორწილს]	გადაიხდოს [ქორწილი]	გადაუხდია [ქორწილი]	[ქორწილის] გადახდა
12	ინერვიულობს	ინერვიულობდა	ინერვიულა	ინერვიულებს	ინერვიულოს	უნერვიულია	ინერვიულობა
13	რჩება	რჩებოდა	დარჩა	დარჩება	დარჩეს	დარჩენილია	დარჩენა
14	უდგას [მხარში]	უდგა [მხარში]	ამოუდგა [მხარში]	ამოუდგება [მხარში]	ამოუდგეს [მხარში]	ამოსდგომია [მხარში]	[მხარში] ამოდგომა
15	ქორწინდება	ქორწინდებოდა	დაქორწინდა	დაქორწინდება	დაქორწინდეს	დაქორწინებულია	დაქორწინება
16	ჩაივლის	ჩაივლიდა	ჩაიარა	ჩაივლის	ჩაიაროს	ჩაუვლია	ჩავლა

1.1. მოსამზადებელი სამუშაო



- უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. როდის შრომობდა ადამიანი ამგვარად (იხ. პირველი ილუსტრაცია) ?
3. რომელი დროა ასახული მეორე ილუსტრაციაზე?
4. რა შეიცვალა?

1.2. ტექსტი:

მოგესალმებით! მე ისევ ნანა მახარაძე ვარ. როგორც უკვე გიაშბეთ, დავოჯახდი კიდევ და შვილიც შემეძინა. სწავლისთვის თავი არ დამინებებია. დავასრულე უმაღლესი სასწავლებელი და ახლა სამსახურის დაწყება მინდა. შრომის უფლება ადამიანის **ფუნდამენტური უფლებაა**.

ვიცი, რომ მუშაობა და თან ოჯახი ადვილი არ იქნება. **შრომით ურთიერთობებს** კანონმდებლობა არეგულირებს და არა ჩემი ნება. **დასაქმებულმა** უნდა დაიცვას **დამსაქმებლის** მიერ დადგენილი წესები, რომელთაც შინაგანაწესი ეწოდება. **შინაგანაწესი** განსაზღვრავს სამუშაო დროსაც. მეც მომიწევს წესების დაცვა, ხელმძღვანელის მითითებების შესრულება. სამაგიეროდ, მივიღებ ანაზღაურებას, რომელსაც ჩემს ოჯახს მოვასხმარ. სანამ მუშაობას დავიწყებდე, უნდა შევამოწმო, რამდენად ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოა სამსახურში. რასაკვირველია, დამსაქმებელთან შრომითი ხელშეკრულებაც უნდა გავაფორმო, რომ ზუსტად ვიცოდე ჩემი უფლებები და მოვალეობები.

მუშაობა არ მეზარება. სკოლაში სწავლის პერიოდშიც მინდოდა სამსახურის დაწყება, მაგრამ, სადაც კი მივედი, უარი მითხრეს. **შრომითი ურთიერთობის მონაწილე პირი** შეიძლება გახდეს 16 წლიდან. ამ ასაკისთვისაც დაწესებულია ზოგიერთი **შეზღუდვა**. არასრულწლოვანის შრომა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მისსავე ინტერესებს, არ უნდა იყოს კვირაში 36 საათზე მეტი, არ უნდა აყენებდეს

ზიანს დასაქმებულის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას, არ უნდა უზღუდავდეს განათლების შესაძლებლობას. ამგვარი შეზღუდვები იცავს არასრულწლოვანთა ინტერესებს. თურმე 14 წლამდე არასრულწლოვანთანაც იდება შრომითი ხელშეკრულება, თუ ის ხელოვნების, სპორტის ან კულტურის სფეროში დასაქმდება. მეც 14 წლისა ვიყავი, როცა სარეკლამო კლიპში გადამიღეს და ანაზღაურება მომცეს.

1.3. ლექსიკა:

ფუნდამენტური უფლება – ძირითადი, მთავარი უფლება.

შრომითი ურთიერთობა – დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

დასაქმებული – ფიზიკური პირი, რომელიც ანაზღაურების სანაცვლოდ ასრულებს სამუშაოს.

დამსაქმებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლისთვისაც სრულდება სამუშაო.

შინაგანაწესი – წერილობითი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს შრომით ურთიერთობებს.

შრომითი ურთიერთობის მონაწილე პირი – დასაქმებული ან დამსაქმებელი.

შეზღუდვა – აქ: სპეციალური ნორმების დაწესება, რეგულირება.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რა არეგულირებს შრომით ურთიერთობებს?
2. რას განსაზღვრავს შინაგანაწესი?
3. რა ასაკიდან ხდება ფიზიკური პირი შრომითი ურთიერთობის მონაწილე?
4. რა შემთხვევაში იდება არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება?

სინონიმები	ანტონიმები
გიაშბეთ – მოგიყვებით დავასრულე – დავამთავრე ფუნდამენტური – ძირითადი სამსახური – სამუშაო ხელმძღვანელი – უფროსი სამაგიეროდ – სანაცვლოდ ანაზღაურება – ხელფასი ჯანსაღი – ჯანმრთელი პერიოდში – განმავლობაში ასაკი – წლოვანება	დაწყება – დამთავრება ადვილი – რთული უარი – თანხმობა დადგენილი – დაუდგენელი ზუსტად – არაზუსტად შეზღუდვა – შეღავათი



ჯანსაღი გარემო ჯანმრთელი ორგანიზმი
მაგ., ჩვენს დაწესებულებაში სპორტული დარბაზის გახსნა ჯანსაღ გარემოს შექმნის.
ამ ქალბატონს ჯანმრთელი ორგანიზმი აქვს.

ა.

რას იზამს?

ის ჩემს მეგობარსაც დაასაქმებს.

როგორი?

დასაქმებულ პირი შესაბამის ანაზღაურებას უნდა იღებდეს.

ბ.



დაიმახსოვრეთ!

ამნაირი, **ამგვარი** და **ამისთანა** სინონიმებია. ისინი მიგვითითებს მსგავს საგნებზე და დაესმის კითხვა: როგორი?

მაგ., არასრულწლოვანთა მიმართ ამგვარი ქვევა უკანონოა.

მაგნაირი კაბა მეც მაქვს.

ამ -უჩვენებს, რომ საგანი I პირთან არის ახლოს;

მაგ - გამოხატავს II პირთან სიახლოვეს; ხოლო **იმ**- III

პირთან მდგომ საგნებს აღნიშნავს.

I

II

III



ამნაირი

მაგნაირი

იმნაირი

ამგვარი

მაგგვარი

იმგვარი

ამისთანა

მაგისთანა

იმისთანა

გ.

რა?

შრომა

როგორი?

შრომითი

მაგ., ფიზიკური პირი შრომით ურთიერთობას 16 წლიდან იწყებს.



ასეთივე ფორმებია: მამრობითი, მდედრობითი.

მაგ., მდედრობითი სქესის თანამშრომლებზე შინაგანაწესში შეზღუდვები არ არის.



სახ.

შრომითი

ურთიერთობები

მოთ.

შრომითმა

ურთიერთობებმა

მიც.

შრომით

ურთიერთობებს

და სხვ.

1.5. წაიკითხეთ დიალოგი, გამოყავით მასში შინაგანაწესით დადგენილი მოვალეობები!

დასაქმებული: ხვალიდან სამსახურს ვიწყებ. რომელ საათზე უნდა ვიყო ადგილზე?

დამსაქმებელი: ცხრიდან ექვსამდე.

დასაქმებული: შესვენება რომელ საათზე იწყება და როდემდე გრძელდება?

დამსაქმებელი: პირველიდან ორამდე.

დასაქმებული: ხელფასი რამდენი მექნება?

დამსაქმებელი: 1000 ლარი, ხელზე აიღებ 800 ლარს.

დასაქმებული: ამდენი ჩამომეჭრება ხელფასიდან?

დამსაქმებელი: 20 პროცენტი საყოველთაო ნორმაა.

დასაქმებული: რამდენი დღე ვისვენებ?

დამსაქმებელი: კვირაში 5 დღე იმუშავეთ, შაბათი და კვირა დასვენებაა; შვებულება კი 24 დღე გექნებათ.



გაიხსენეთ!

რა დროიდან რა დრომდე? // როდიდან როდემდე?

პირველიდან ორამდე – იგივეა, რაც: პირველი საათიდან ორ საათამდე.

რა ადგილიდან რა ადგილამდე? // საიდან სადამდე?

ჩემი სოფლიდან შენ სოფლამდე ხუთი კილომეტრია.

1.6. წაიკითხეთ დიალოგი და შეაფასეთ, სწორია თუ არა დასაქმებულის საქციელი?

დირექტორი: რატომ არ ასრულებთ ჩემს მითითებებს? მუდამ თქვენს ნებაზე იქცევით.

თანამშრომელი: იმიტომ, რომ თავისუფალი ადამიანი ვარ, ვერავინ დამიშლის მოვიქცე ისე, როგორც მსურს.

დირექტორი: ეს სამსახურია. თქვენ უნდა ასრულებდეთ უფროსის მითითებებს, თუ არა და აქედან წასვლა მოგიწევთ!

თანამშრომელი: აუცილებლად გიჩივლებთ, თქვენ ზღუდავთ ჩემს უფლებებს!

დირექტორი: ვერაფერს გახდებით, არ იცნობთ შინაგანაწესს?!

თანამშრომელი: აბა, ვნახოთ!

1.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	დაოჯახდა	ოჯახდება	დაოჯახდება
2	დაანება	ანებებს	დაანებებს
3	დაასრულა	ასრულებს	დაასრულებს
4	შეზღუდა	ზღუდავს	შეზღუდავს
5	გადაიღო	იღებს	გადაიღებს



1.8. მოსმენა

ტექსტი თემაზე: ბავშვთა შრომა საქართველოში

1.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

სოფელში ბავშვებს უწევთ მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულება.	
14 წლამდე ბავშვებს კანონის მიხედვით აქვთ მუშაობის უფლება მხოლოდ სპორტის, კულტურისა და ხელოვნების სფეროში.	
საქართველოში ბავშვებს სახიფათო სამუშაოების შესრულება არ უწევთ.	
ბავშვებს უფლება აქვთ ღამეც იმუშაონ.	

1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რამდენი ბავშვი მუშაობს დღეს საქართველოში?
2. რა მინიმალური ასაკია დაშვებული საქართველოში დასაქმებისათვის?
3. როდის იკრძალება ბავშვების მუშაობა?
4. კვირაში რამდენი საათის მუშაობის უფლება აქვთ 16-17 წლის ახალგაზრდებს?

1.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.12. საპრეზენტაციო თემა

**რა ზიანი შეიძლება მოუტანოს
არასრულწლოვანს ღამით მუშაობამ?**

1.13. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის სამსახურს

1. 14. თემატური გამონათქვამი:

შრომამ შექმნა ადამიანი.

უპასუხეთ კითხვებს!

- როგორ გესმით მოცემული გამონათქვამი?
- რა შემთხვევაში გამოიყენებთ მას?

II ნაწილი

შრომის ხელშეკრულება

2.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას გხედავთ ილუსტრაციაზე?
2. რომელ ორ მხარეს შორის იდება შრომითი ხელშეკრულება?
3. რა პუნქტებს არ დაეთანხმებოდით შრომით ხელშეკრულებაში?

2.2. ტექსტი:

სამსახურში მიმიღეს, თუმცა წერილობითი ხელშეკრულება არ დამიღეს. გეპირად შემითანხმდნენ ყველაფერზე. დადარდიანებული დავბრუნდი. რაღაცას ხომ არ მატყუებენ?! იურისტმა ამიხსნა, რომ შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების დადება გეპირი ფორმითაც, მაგრამ, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტი ხანი გაგრძელდა, მაშინ აუცილებელია ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება. მასში განსაზღვრული უნდა იყოს დამსაქმებლისა და დასაქმებულის ძირითადი უფლებები და მოვალეობები. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს ორივე მხარისათვის გასაგებ ენაზე, თუ საჭიროა – ითარგმნოს კიდევ.

იურისტმა შრომითი ურთიერთობის სხვა საკითხებშიც კარგად გამარკვია. მაგალითად, ნამუშევარი საათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს. ამაზე მეტი **ზეგანაკვეთური**

სამუშაო, რომლისთვისაც დამატებითი ანაზღაურება უნდა მოითხოვო. თურმე აკრძალული ყოფილა ლამის სამუშაოებზე ბავშვების, ორსული ქალებისა და **მეძუძური** დედების დასაქმება. მეძუძურ დედას დამატებითი შესვენების უფლებაც ჰქონია.

მუშაობის დაწყებიდან 11 თვის შემდეგ გვეკუთვნის **შვებულება**. შვებულების 24 დღე გვინაზღაურდება. შეგვიძლია დავამატოთ 15 დღეც ანაზღაურების გარეშე. შვებულების გამოყენება შესაძლებელია როგორც ერთბაშად, ისე – ნაწილ-ნაწილ.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა 730-დღიანი შვებულება. აქედან ანაზღაურდება 183 დღე, **ტყუპის** შობის ან ორსულობის **გართულების** შემთხვევაში – 200 დღე.

კარგია, როცა იცი შენი შრომითი უფლებები და მოვალეობები.

2.3. ლექსიკა:

ზეგანაკვეთური სამუშაო – დადგენილზე მეტი სამუშაო.

მეძუძური – ქალი, რომელიც შვილს ძუძუს აწოვებს.

შვებულება – კანონით დადგენილი დასვენების დრო.

ტყუპი – აქ: ერთდროულად გაჩენილი ორი ან მეტი ბავშვი.

გართულება – აქ: ჯანმრთელობის გაუარესება, გართულება.

2.4. ტექსტის გააზრება:

1. მოატყუეს თუ არა ნანა, რომ არ დაუდეს წერილობითი ხელშეკრულება?
2. რა უნდა ჩანდეს შრომით ხელშეკრულებაში?
3. რომელ ენაზე უნდა დაიდოს შრომითი ხელშეკრულება?
4. რამდენ საათს არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო დრო?
5. რა დამატებითი უფლება აქვს მეძუძურ დედას?
6. როდიდან ეკუთვნის ადამიანს შვებულება და რამდენი დღე უნაზღაურდება?
7. ანაზღაურების გარეშე რამდენი დღის დამატება შეგვიძლია შვებულებაზე?

სინონიმები	ანტონიმები
ერთბაშად – მთლიანად დადარდინებული – დასევდიანებული	დადარდინებული – გამხიარულებული განსაზღვრული – განუსაზღვრელი გასაგები – გაუგებარი აკრძალული – დაშვებული გართულება – გაიოლება

ა.

როგორ?

კარგი → კარგად	მტკიცე → მტკიცედ
ცუდი → ცუდად	უშნო → უშნოდ

მაგ., იურისტმა სხვა საკითხებშიც კარგად გამარკვია.
შესაძლებელია შვებულების ერთბაშად გამოყენება.

ბ.

დაიმახსოვრეთ!



რას შვრება?

იხატება
არის

რა უქნია?

დახატულა
ყოფილა

რა მიქნია?

რა გიქნია?

რა უქნია?

რა გვიქნია?

რა გიქნიათ?

რა უქნიათ?

[მე]	ვყოფილვარ	[ჩვენ]	ვყოფილვართ
[შენ]	ყოფილხარ	[თქვენ]	ყოფილხართ
[ის]	ყოფილა	[ისინი]	ყოფილან

მაგ., თურმე აკრძალული ყოფილა ღამის სამუშაოებზე ბავშვების დასაქმება.
ჩვენი ნიკო თურმე 1992 წელს დაბადებულა.

2.5. გამოყავით დიალოგში ის წესები, რომელთაც შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებს!

თანამშრომელი: შვებულება მინდა ავიღო!

დირექტორი: კი, მაგრამ 11 თვე უკვე გავიდა?

თანამშრომელი: დიახ, გავიდა. თან მხოლოდ 24 დღე არ მეყოფა. მინდა 15 დღეც დავამატო.

დირექტორი: კი, ბატონო, ოღონდ ანაზღაურების გარეშე.

თანამშრომელი: დიახ, ვიცი, რა თქმა უნდა.

დირექტორი: ერთბაშად გსურთ ამდენი დღე აიღოთ თუ ნაწილ-ნაწილ?

თანამშრომელი: ერთბაშად. სოფელში მინდა წავიდე და სახლი გავარემონტო.

2.6. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას: რაში ცდებოდა დირექტორი?

თანამშრომელი: გამარჯობა, მინდა თქვენთან ერთად გამოვთვალო ჩემი სამუშაო საათები!

დირექტორი: გისმენთ!

თანამშრომელი: ყოველ დღე 8 საათს ვმუშაობ. ვიწყებ დილის ცხრაზე და ვასრულებ საღამოს ექვს საათზე. შესვენება ერთი საათი მაქვს. რამდენი გამომდის?

დირექტორი: კვირაში 40 საათი.

თანამშრომელი: თქვენ ცდებით. მე შაბათსაც ვმუშაობ და თანაც იმავე დატვირთვით. 40 კი არა, 48 საათი გამომდის.

დირექტორი: ე.ი. თქვენ ზეგანაკვეთის ანაზღაურება გსურთ!

თანამშრომელი: რატომაც არა! აბა, ტყუილად ვინ მუშაობს?!

დირექტორი: კი, ბატონო, გავაფორმოთ!

ა.

მე მინდა გამოვთვალო ჩვენ გვინდა გამოვთვალოთ
შენ გინდა გამოვთვალო თქვენ გინდათ გამოვთვალოთ
მას უნდა გამოვთვალოს მათ უნდათ გამოვთვალონ
მაგ., მე მინდა ჩემი სამუშაო საათები გამოვთვალო.

მე უნდა გამოვთვალო ჩვენ უნდა გამოვთვალოთ
შენ უნდა გამოვთვალო თქვენ უნდა გამოვთვალოთ
მან უნდა გამოვთვალოს მათ უნდა გამოვთვალონ
მაგ., მე თვითონ უნდა გამოვთვალო, კვირაში რამდენი სამუშაო საათი გამომდის.

ბ.

სახ. იგივე დატვირთვა
მოთხრ. იმავე დატვირთვა**მ**
მიც. იმავე დატვირთვა**ს**
და სხვ.
მაგ., წელსაც იმავე დატვირთვით ვმუშაობ.

2.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	დაუდო	უდებს	დაუდებს
2	შეუთანხმდა	უთანხმდება	შეუთანხმდება
3	გაგრძელდა	გრძელდება	გაგრძელდება
4	აუნაზღაურდა	უნაზღაურდება	აუნაზღაურდება



2.8. მოსმენა

ტექსტი თემაზე: დასაქმებულის უფლებები შრომის კოდექსში

2.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

კანონი დამსაქმებელს ავალებს, რომ დასაქმებულს მიაწოდოს ინფორმაცია სამუშაოს პირობების შესახებ.	
ადამიანი, რომელიც სამ თვეზე მეტი ხნით იწყებს სამუშაოს, ვალდებულია წერილობითი ხელშეკრულება გააფორმოს.	
არ არის აუცილებელი სამუშაო ხელშეკრულება ეთანხმებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს.	
თუ დამსაქმებელი დასაქმებულს სამსახურიდან უშვებს, ვალდებული არ არის დამატებითი თანხა გადაიხადოს.	

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რამდენი ხნით ადრე უნდა გააფრთხილოს დამსაქმებელმა დასაქმებული სამსახურიდან გაშვების შესახებ?
2. რამდენი თვის ხელფასი უნდა გადაუხადოს დამატებით?
3. ვინ (რომელ სფეროში დასაქმებული ადამიანი) იმსახურებს მეტ უვებულებას?
4. რამდენ ხანს გრძელდება დამატებითი უვებულება?

2.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

2.12. საპრეგენტაციო თემა

რატომ უნდა გადაუხადონ დამატებითი თანხა დასაქმებულს, როცა მას სამსახურიდან ათავისუფლებენ?

2.13. წერა

შეავსეთ ნაწყვეტი შრომითი ხელშეკრულებიდან. გაითვალისწინეთ, რომ დამსაქმებელი არის შპს „თაიგული“, მისი დირექტორი მაია უგრეხელიძეა. შპს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის N47-ში მდებარეობს. თქვენ იწყებთ მუშაობას მკერავ-მოდელიორის პოზიციაზე 2 წლის ვადით და არ იტვირთებით დამატებითი სამუშაოთი.

ხელშეკრულება შრომითი ურთიერთობის შესახებ

ქ. თბილისი

00. 00.2017

ერთი მხრივ, _____ **(სახელწოდება)** (შემდგომში „დამსაქმებელი“) და, მეორე მხრივ, _____ **(სახელი, გვარი)** პირადი ნომერი _____ **(შემდგომში „დასაქმებული“)** ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

დამსაქმებელი დასაქმებულს სამუშაოზე იყვანს _____ **(დასაქმებულის პოზიცია)** პოზიციაზე და დასაქმებული თანხმობას აცხადებს შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

დამსაქმებელი უხდის დასაქმებულს შესრულებული სამუშაოს საფასურს – ხელფასს _____ **(ხელფასის ოდენობა)** ოდენობით.

შრომის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება _____ დან **(რიცხვი, თვე, წელი)** _____ მდე **(რიცხვი, თვე, წელი)**.

სამუშაოს შესრულების ადგილი, სამუშაო საათები და დასვენების დრო

დასაქმებულის სამუშაო ადგილია _____ **(ქალაქის დასახელება)**, კერძოდ, _____-ის ოფისი **(დამსაქმებლის სახელწოდება)**.

დამსაქმებელი გააცნობს დასაქმებულს მის ვალდებულებებს.

დასაქმებული ჩვეულებრივ მუშაობს კვირაში ხუთი დღე ორშაბათიდან პარასკევამდე. სამუშაო საათების ხანგრძლივობა კვირაში შეადგენს _____ **(საათების ოდენობა [არაუმეტეს 40])** საათის ოდენობით.

ყოველდღიური დასვენების ხანგრძლივობა შეადგენს _____ წუთს **(წუთების / საათების რაოდენობა)**.

_____.

მხარეთა რეკვიზიტები

დამსაქმებელი	დასაქმებული
(დამსაქმებლის სახელწოდება)	(დასაქმებულის სახელი, გვარი)
ს.კ.: სარეგისტრაციო კოდი	პ.ნ. (პირადი ნომერი)
მის: დამსაქმებლის მისამართი	მისამართი: (დასაქმებულის მისამართი)
დირექტორი: სახელი, გვარი	



დაიმახსოვრეთ!

ერთი მხრივ, _____, მეორე მხრივ, _____

მითითება: ისინი წინადადებაში მაშინ გამოიყენება, როცა ორი აზრი ან ორი საგანი ერთმანეთს უპირისპირდება.

ერთი მხრივ და მეორე მხრივ წინადადებაში მძიმეებით გამოიყენება.

მაგ., ერთი მხრივ, დამსაქმებლის და, მეორე მხრივ, დასაქმებულის პრეტენზიები უნდა მომესმინა.

2.14. თემატური გამონათქვამი:

უქმობა უფრო ღლის ადამიანს, ვიდრე – ჯაფა და შრომა.

უპასუხეთ კითხვებს!

- როგორ გესმით მოცემული გამონათქვამი?
- რა შემთხვევაში გამოიყენებთ მას?

3.1. მოსამზადებელი სამუშაო



- უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციაზე?
2. ვის წინააღმდეგ იფიცებიან საწარმოს თანამშრომლები?
3. რას მოითხოვენ ხოლმე ისინი?

3.2. ტექსტი:

ვიყავი რიგითი თანამშრომელი და გავხდი დირექტორი. ახლა უკვე სხვა მიზნები მაქვს. მართლაც ჩემს თავზე აღარ ვაგებ პასუხს, მთელი კოლექტივის საქმიანობას ვხელმძღვანელობ. ვფიქრობ, ერთი თანამშრომელი უპასუხისმგებლოდ **ეკიდება თავის მოვალეობას**, უმიზეზოდ **აცდენს სამსახურს**. ვფიქრობ, შევუწყვიტო შრომითი ხელშეკრულება. დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია რამდენიმე მიზეზით: ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, დასაქმებულის დაბალი კვალიფიკაციითა და ხანგრძლივი შრომისუნარობით, რაც ძირითადად ავადმყოფობითაა გამოწვეული. ჩვენს შემთხვევაში მიზეზი უპასუხისმგებლობაა.

ამ გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. თანამშრომელს 30 დღით ადრე გავუგზავნე წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და ერთი თვის ხელფასის ოდენობის **კომპენსაცია** გადავუხადე. მიუხედავად ამისა, მან მომთხოვა წერილობითი დასაბუთება. მე იურისტის დახმარებით დავეწერე დასაბუთება ერთი კვირის განმავლობაში და გავუგზავნე. მას შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ან, თუ ფიქრობს, რომ მისი უფლებები ირღვევა, გამოიყენოს **გაფიცვის** უფლება. ჩვენ პასუხისთვის მზად ვართ.

3.3. ლექსიკა:

ეკიდება მოვალეობას – ასრულებს ვალდებულებას.

აცდენს სამსახურს – არ დადის სამსახურში.


კომპენსაცია – ბარალის ანაზღაურება, დანაკარგის გადახდა.

გაფიცვა – აქ: თანამშრომელთა პროტესტი დავის მოგვარების მიზნით.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. რა შემთხვევაში შეიძლება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა?
2. რამდენი ხნით ადრე უნდა შეატყობინოს დირექციამ თანამშრომელს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ?
3. როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინებას, წერილობითი თუ ზეპირი?
4. რა ოდენობის კომპენსაციის მოთხოვნა შეუძლია დასაქმებულს, რომელსაც უწყდება შრომითი ხელშეკრულება?
5. კიდევ რისი მოთხოვნის უფლება აქვს დასაქმებულს, რომელსაც უწყდება შრომითი ხელშეკრულება?
6. როგორ შეიძლება დაიცვას თავისი უფლებები სამსახურიდან გათავისუფლებულმა ადამიანმა?

სინონიმები	ანტონიმები
შეწყვეტა – შეჩერება გამიჭირდა – გამიძნელდა დასაბუთება – დამტკიცება დახმარება – ხელშეწყობა	პასუხისმგებლობა – უპასუხისმგებლობა



მაგ., ერთი **თანამშრომელი** უპასუხისმგებლოდ ეკიდება **თავის** მოვალეობებს.
თანამშრომლები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან **თავიანთ** მოვალეობებს.

ბ.

მე შემიძლია მოვითხოვო ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვო
 შენ შეგიძლია მოითხოვო თქვენ შეგიძლიათ მოითხოვო
 მას შეუძლია მოითხოვოს მათ შეუძლიათ მოითხოვონ
 მაგ., ჩვენ შეგვიძლია ანაზღაურების გაზრდა მოვითხოვო.

მე შემიძლია მოთხოვნა ჩვენ შეგვიძლია მოთხოვნა
 შენ შეგიძლია მოთხოვნა თქვენ შეგიძლიათ მოთხოვნა
 მას შეუძლია მოთხოვნა მათ შეუძლიათ მოთხოვნა
 მაგ., დასაქმებულს შეუძლია კომპენსაციის მოთხოვნა.

3.5. დიალოგის მიხედვით, დაასახელეთ მიზეზები, რომელთა გამოც შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა!

თანამშრომელი: რატომ შემიწყვეტეთ შრომითი ხელშეკრულება?

დირექტორი: რამდენიმე მიზეზის გამო.

თანამშრომელი: დამისახელეთ ერთი მაინც!

დირექტორი: ქვეყანაში რთული ეკონომიკური მდგომარეობაა და ჩვენთანაც შემცირებები დაიწყო.

თანამშრომელი: მერე რაღა მე მეხება შემცირება?

დირექტორი: თქვენი კვალიფიკაცია არ შეესაბამება სამუშაოს, ეკონომისტი ხართ და ინჟინრის ადგილი გიკავიათ.

თანამშრომელი: ამას რა მნიშვნელობა აქვს, მე ინჟინრობაც შემიძლია.

დირექტორი: უპირველესი მიზეზი თქვენი შრომისუუნარობაა, ხშირად აცდენთ სამსახურს.

თანამშრომელი: მე ავადმყოფობის საბუთი მაქვს.

დირექტორი: უკვე დავწერე ბრძანება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. თქვენი უფლებაა, სასამართლოს მიმართოთ.

თანამშრომელი: ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ასეც მოვიქცევი. გახსოვდეთ, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია!



დაიმახსოვრეთ!

წინაშე – იგივეა, რაც პირდაპირ ან წინ .

მიერ – დაერთვის მოქმედ პირს, საგანს.



ჩემ	წინაშე	ჩვენ	წინაშე
შენ	წინაშე	თქვენ	წინაშე
[ი]მის	წინაშე	[ი]მათ	წინაშე
მაგრამ: კანონის წინაშე ყველა თანასწორია!			

ჩემ	მიერ	ჩვენ	მიერ
შენ	მიერ	თქვენ	მიერ
[ი]მის	მიერ	[ი]მათ	მიერ
მაგრამ: მოსამართლის მიერ გამოტანილ განაჩენს ყველა ყურადღებით უსმენდა.			

3.6. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას:

- რა უნდა ქნას ადამიანმა, რომელსაც შრომითი ხელშეკრულება შეუწყდა?

ნინო: რას აპირებ? ასე ხმაამოუღებლად უნდა წახვიდე სამსახურიდან?

ცირა: რა ვქნა, მირჩიე, როგორც იურისტმა.

ნინო: ჯერ კომპენსაცია მოითხოვე.

ცირა: ეს რამდენი ლარი იქნება?

ნინო: ერთი თვის ხელფასი. მერე აუცილებლად მოითხოვე წერილობითი დასაბუთება. ერთ კვირის განმავლობაში უნდა მოგცენ. კარგად წაიკითხე და, თუ საკმარისად არ იქნება დასაბუთებული, სასამართლოში იჩივლე.

ცირა: სხვა გზა არ არსებობს?

ნინო: შეგიძლია გაფიცვა მოაწყო დავის მოგვარების მიზნით. ყოველ შემთხვევაში, უნდა სცადო.

სინონიმები

ხმამოუღებლად – უსიტყვოდ
რჩევა – დარიგება
მოგვარება – მოწესრიგება

საკმარისი – იგივეა, რაც სამყოფი.

როგორ? საკმარისად
კმარა! // გეყოფა!
მაგ., კმარა უაზრო ლაპარაკი!
ან: გეყოფა უაზრო ლაპარაკი!



დაიმახსოვრეთ!

ზოგიერთ შემთხვევაში **ჯერ** სინონიმია სიტყვებისა – **პირველად, თავდაპირველად;**
ჯერჯერობით კი ნიშნავს აქამდე, ან: **ჯერ კიდევ**, ახლაც, ამ მომენტშიც.

ჯერ _____, **მერე/შემდეგ/შემდგომ** _____

მაგ., **ჯერ** კომპენსაცია მოითხოვეთ და **მერე** მიმართეთ სასამართლოს.

თავდაპირველად განცხადება უნდა დაწეროთ, **შემდეგ** შებრძანდეთ დირექტორთან!

ჯერჯერობით _____

მაგ., **ჯერჯერობით** სახლში ვიქნები და დაგელოდები.

3.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	მოეკიდა	ეკიდება	მოეკიდება
2	გაუჭირდა	უჭირს	გაუჭიდება
3	გაუგზავნა	უგზავნის	გაუგზავნის
4	დაუნიშნა	უნიშნავს	დაუნიშნავს

3.8. გამოთვებულ ადგილას ჩასვით ზმნები უარყოფითი ფორმით:

არ გაუცდენია	არ გაბრაზებულა
არ გასჭირვებია	არ ანაზღაურებულა
ვერ დაუნიშნავს	

დამატებითი სამუშაო დრო _____.

დირექტორს ბატონი გივი ხელმძღვანელ თანამდებობაზე _____, რადგან მისი ნათესავი ყოფილა.

განყოფილების უფროსი _____ და შენ რატომ ნერვიულობ?

ახლად დანიშნულ გუბერნატორს მართვა _____

ნიკოლოზ შარაშენიძეს სამსახური _____, გვარი ხომ არ გეშლებათ?



3.9. მოსმენა

დიალოგი თემაზე: საუბარი ქარხანაში

სინონიმები	ანტონიმები
საშიში – სახიფათო გაშვება – გათავისუფლება	კმაყოფილი – უკმაყოფილო

3.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ქარხანაში კარგი სამუშაო პირობებია.	
სამსახურიდან თუ გიშვებენ, დამატებით ერთი თვის ხელფასი მაინც გეკუთვნის.	
გაფიცვა პროტესტის ფორმაა.	
საქართველოს კანონმდებლობით მუშებს უფლებები არა აქვთ, ისინი ემორჩილებიან დირექტორს.	

3.11. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რატომ იწყებენ თანამშრომლები გაფიცვას?
2. როგორ პირობებში მუშაობენ მუშები?
3. რამდენი თვის ხელფასი ეკუთვნის სამსახურიდან გათავისუფლებულ მუშას?

3.12. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.13. საპრეზენტაციო თემა

**რომელი უფლების დარღვევის შემთხვევაში
გაიფიცებოდით სამსახურში?**

3.14. აუდიტორიაში შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და ნიმუშის მიხედვით ააგეთ დიალოგი!

სიტყვა შეაწყვეტინა – საუბრის, ლაპარაკის დროს გააჩერა.
მაგ., დირექტორი გაბრაზდა და მუშას სიტყვა შეაწყვეტინა.



სიტყვა ჩამოართვა – საუბრის დროს გააჩერა და ლაპარაკი თვითონ გააგრძელა.
სიტყვა მოუჭრა – საუბარი სხარტი, მოქნილი პასუხით შეაწყვეტინა.
სიტყვა შეუბრუნა – შეეპასუხა; პასუხით წინააღმდეგობა გაუწია [მაგ., თავხედურად, უბრძოლვად და სხვა].

3.15. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - **როგორ მოვიქცევი, თუ უმიზეზოდ
შემიწყვიტეს შრომითი ხელშეკრულება?**

3.16. თემატური დიალოგი:

- რა უფრო აუცილებელია ადამიანისათვის, ნიჭი თუ შრომისუნარიანობა?
- მაშინ მიპასუხეთ, რა უფრო აუცილებელია ველოსიპედისთვის: წინა ბორბალი თუ უკანა? /ბერნარდ შოუ/.

- უპასუხეთ დიალოგში დასმულ კითხვას!

3.17. თემატური გამონათქვამი:

აირჩიე სამსახური, რომელიც სიამოვნებას განიჭებს და ცხოვრებაში ერთი დღეც კი არ მოგიწევს მუშაობა /კონფუცი/.

უპასუხეთ კითხვას:

- როგორ გესმით მოცემული გამონათქვამი?

ლექსიკა:

აცდენს სამსახურს – არ დადის სამსახურში.

გაფიცვა – პროტესტი დავის მოგვარების მიზნით.

დამსაქმებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლისთვისაც სრულდება სამუშაო.

დასაქმებული – ფიზიკური პირი, რომელიც ანაზღაურების სანაცვლოდ ასრულებს სამუშაოს.

ეკიდება მოვალეობას – ასრულებს ვალდებულებას.

ზეგანაკვეთური სამუშაო – დადგენილზე მეტი სამუშაო.

კომპენსაცია – ბარალის ანაზღაურება, დანაკარგის გადახდა.

მეძუძური – ქალი, რომელიც შვილს ძუძუს აწოვებს.

ტყუპი – აქ: ერთდროულად გაჩენილი ორი ან მეტი ბავშვი.

ფუნდამენტური უფლება – ძირითადი, მთავარი უფლება.

შეზღუდვა – აქ: სპეციალური ნორმების დაწესება, რეგულირება.

შვებულება – კანონით დადგენილი დასვენების დრო.

შინაგანაწესი – წერილობითი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს შრომით ურთიერთობებს.

შრომითი ურთიერთობა – დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

შრომითი ურთიერთობის მონაწილე პირი – დასაქმებული ან დამსაქმებელი.

ზმნები:

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმე- ობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ჰქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	ანებებს	ანებებდა	დაანება	დაანებებს	დაანებოს	დაუნებებია	დანებება
2	ასრულებს	ასრულებდა	დაასრულა	დაასრულებს	დაასრულოს	დაუსრულებია	დასრულება
3	ატყუებს	ატყუებდა	მოატყუა	მოატყუებს	მოატყუოს	მოუტყუებია	მოტყუება
4	აცდენს	აცდენდა	გააცდინა	გააცდენს	გააცდინოს	გაუცდენია	გაცდენა
5	ახმარს	ახმარდა	მოახმარა	მოახმარს	მოახმაროს	მოუხმარებია	მოხმარება
6	ბრუნდება	ბრუნდებოდა	დაბრუნდა	დაბრუნდება	დაბრუნდეს	დაბრუნებულა	დაბრუნება
7	გრძელდება	გრძელდებოდა	გაგრძელდა	გაგრძელდება	გაგრძელდეს	გაგრძელებულა	გაგრძელება
8	ეზარება	ეზარებოდა	დაეზარა	დაეზარება	დაეზაროს	დაზარებია	დაზარება
9	ეკიდება	ეკიდებოდა	მოეკიდა	მოეკიდება	მოეკიდოს	მოჰკიდებია	მოკიდება
10	ზღუდავს	ზღუდავდა	შეზღუდა	შეზღუდავს	შეზღუდოს	შეუზღუდავს	შეზღუდვა
11	იღებს	იღებდა	გადაიღო	გადაიღებს	გადაიღოს	გადაუღია	გადაღება
12	ოჯახდება	ოჯახდებოდა	დაოჯახდა	დაოჯახდება	დაოჯახდეს	დაოჯახებულა	დაოჯახება
13	უამბობს	უამბობდა	უამბო	უამბობს	უამბოს	უამბია	მბობა
14	უგზავნის	უგზავნიდა	გაუგზავნა	გაუგზავნის	გაუგზავნოს	გაუგზავნია	გაგზავნა
15	უდებს	უდებდა	დაუდო	დაუდებს	დაუდოს	დაუდია	დადება
16	უთანხმდება	უთანხმდებოდა	შეუთანხმდა	შეუთანხმდება	შეუთანხმდეს	შესთანხმებია	შეთანხმება
17	უნაზღაურდება	უნაზღაურდებოდა	აუნაზღაურდა	აუნაზღაურდება	აუნაზღაურდეს	ანაზღაურებია	ანაზღაურება
18	უნიშნავს	უნიშნავდა	დაუნიშნა	დაუნიშნავს	დაუნიშნოს	დაუნიშნავს	დანიშვნა
19	უწევს	უწევდა	მოუწია	მოუწევს	მოუწიოს	—————	—————
20	უჭირს	უჭირდა	გაუჭირდა	გაუჭირდება	გაუჭირდეს	გასჭირვებია	გაჭირვება

VII ტავი

სასამართლო

I ნაწილი

სამოქალაქო სამართლის სუბიექტები

1.1. მოსამზადებელი სამუშაო



- უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციაზე?
2. ვინ იღებს სასამართლოში გადაწყვეტილებას?
3. მოსამართლის გარდა, კიდევ ვინ მონაწილეობს სასამართლო პროცესში?
4. რამდენად აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება?

1.2. ტექსტი:

სამსახურიდან დამითხოვეს. გადავწყვიტე ჩემი უფლების დასაცავად სასამართლოს მივმართო. ამ უფლების შეზღუდვა დაუშვებელია! სასამართლოში აუცილებელია **სარჩელის** შეტანა. სარჩელი შედგენილი უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული წესით, ამიტომ იურისტს ვთხოვე დახმარება. მან ამიხსნა, რომ მე, როგორც სარჩელის შემდგენი და საქმის დამწყები, ვარ **მოსარჩელე**, ხოლო ჩემი დირექტორი, რომლის წინააღმდეგაც დავიწყე ბრძოლა, **მოპასუხე**. ორივეს – სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს – **მხარეები** გვეწოდება.

სარჩელი გააცნეს ჩემს დირექტორს. მან დაწერა **შესაგებელი** და საქმის წარმოებისთვის აიყვანა ადვოკატი. სარჩელისა და შესაგებელის შეტანის შემდეგ სასამართლოში დაინიშნა სხდომა. ყველა – მე, ჩემი ადვოკატი, ჩემი მომხრეები და დირექტორის ადვოკატი – სასამართლოში შევიკრიბეთ. მე ავუხსენი მოსამართლეს საქმის ვითარება. მან რამდენიმე კითხვა დამისვა. ერთი კითხვა დირექტორის ადვოკატსაც ჰქონდა. ჩემ შემდეგ მოსამართლემ მოუსმინა დირექტორის ადვოკატს. ორივე მხარე შევეცადეთ, ჩვენი სიმართლე დაგვემტკიცებინა. მე მყავდა **მოწმე**, რომელიც ასევე დაიკითხა. მოსამართლემ შესვენება გამოაცხადა. მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა.

- სასამართლოს მივმართე – სასამართლოში სარჩელი შევიტანე.
- აიყვანა ადვოკატი – დაიქირავა ადვოკატი.
- დაუსვა კითხვა – შეეკითხა.

1.3. ლექსიკა:

სარჩელი – წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მოსარჩელის მიმართვას სასამართლოსადმი.

მოსარჩელე – პირი, რომელმაც დაიწყო საქმე სასამართლოში რაღაც მოთხოვნით.

მოპასუხე – პირი, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია მოსარჩელის მოთხოვნა.

მხარეები – აქ: მოსარჩელე და მოპასუხე.

შესაგებელი – მოპასუხის პასუხი სარჩელზე.

მოწმე – პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. სად უნდა დაიცვას ადამიანმა თავისი უფლებები?
2. რა არის საჭირო სასამართლოში საქმის დასაწყებად?
3. რა არის სარჩელი?
4. რა არის შესაგებელი?
5. რა ეწოდებათ მოწინააღმდეგე მხარეებს?
6. რა ევალება მოწმეს?
7. რა ევალება მოსამართლეს?

სინონიმები	ანტონიმები
წესი – ნორმა სარჩელი – საჩივარი სუბიექტი – პირი	დაშვებული – დაუშვებელი მომხრეები – მოწინააღმდეგეები სავალდებულო – არასავალდებულო



სამოქალაქო სამართლის სუბიექტი დამნაშავე პირი
მაგ., სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი სუბიექტი
სასამართლოში არ გამოცხადდა.
დამნაშავე პირს ორი წლით პატიმრობა მიესაჯა.

ა.

როგორი? მართალი

რა? სიმართლე

მაგ., ორივე მხარე ვცდილობდით, ჩვენი სიმართლე
დაგვემტკიცებინა.

ბ.

- შენი უფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართე!
- შენი უფლებების დასაცავად სასამართლოს უნდა მიმართო!

სასამართლოს მიმართე!
სასამართლოს არ მიმართო!
ან:
დარბაზში შეიკრიბეთ!
დარბაზში არ შეიკრიბოთ!

1.5. გამოყავით დიალოგში ის სიტყვები, რომლებშიც მოწმის მოვალეობა ჩანს!

მოსამართლე: ეთანხმებით თუ არა მოსარჩელეს, რომ მას დირექტორი უმიზეზოდ აძლევდა შენიშვნებს?

მოწმე: დიახ, ვეთანხმები!

მოსამართლე: ეთანხმებით თუ არა მოსარჩელეს, რომ ის მხოლოდ ავადმყოფობის შემთხვევაში აცდენდა სამსახურს?

მოწმე: დიახ, ვეთანხმები!

მოსამართლე: თქვენ მოისმინეთ მოპასუხის ახსნა-განმარტება. არ ეთანხმებით მას?

მოწმე: დირექტორი კარგად არ იცნობს საქმის ვითარებას, ამდენი ნამდვილად არ გაუცდენია.

მოსამართლე: მაშ, თქვენ ამიხსენით ყველაფერი!

მოწმე: დიახ, შევეცდები!

ა.

..... თუ არა

მითითება: გამოიყენეთ მაშინ, როცა დადებით მოქმედებას უპირისპირებთ უარყოფით მოქმედებას.

მაგ., ეთანხმებით თუ არა მოსარჩელეს?

იგივეა, რაც: ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით მოსარჩელეს?


ბ.

რამდენი? ამდენი, მაგდენი, იმდენი.

მითითება: ისინი გამოხატავენ ზომასა და ოდენობას.

მაგ., ამდენი საქმე არასდროს მქონია.

იმდენი კილოგრამი ამიწონეთ, რამდენიც ქალაქის პარკში ჩაეტევა.



სახ. ამდენი გაცდენა

მოთ. ამდენ^{მა} გაცდენა^მ

მიც. ამდენ გაცდენა^ს

და სხვ.

მაგ., ამდენ გაცდენას ვინ მაპატიებს?!

1.6. შეადგინეთ დიალოგი მოცემული პასუხების გამოყენებით!

მოსამართლე: _____

მოპასუხე: არა, არ ვეთანხმები.

მოსამართლე: _____

მოპასუხე: არა, მსგავსი რამ არ მომხდარა.

მოსამართლე: _____

მოპასუხე: არ ყოფილა.

1.7. შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ერთ-ერთი სიტყვა:

სამართალი – მოსამართლე
სარჩელი – მოსარჩელე
პასუხი – მოპასუხე

ჩემმა ადვოკატმა სასამართლოში შეიტანა _____. სასამართლოში მე გამოვდივარ როგორც _____. ერთ კვირაში _____ დაწერა შესაგებელი. შესაგებელი არის _____ სარჩელზე. _____ განიხილავს დავას. ის მოქმედებს _____ მიხედვით.

1.8. მოცემული გზების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	აუხსნა	უხსნის	აუხსნის
2	გაუსვა [ხაზი]	უსვამს [ხაზს]	გაუსვამს [ხაზს]
3	დაიკითხა	იკითხება	დაიკითხება
4	გამოაცხადა	აცხადებს	გამოაცხადებს



1.9. მოსმენა

დიალოგი თემაზე: სამოქალაქო სამართლის საქმე (სატელეფონო საუბარი)

1.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ლუკა დღეს შეხვედრაზე ვეღარ მიდის.	
ლუკა სასწრაფოდ უნდა დაბრუნდეს სამსახურში, თავის ოფისში, და ამიტომაც ვერ მიდის შეხვედრაზე.	
თანამშრომელი სასამართლოში ჩივის, თითქოს უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან.	
გათავისუფლებულ თანამშრომელს მოწმე ჰყავს, რომელიც ადასტურებს, რომ ის უკანონოდ გაუშვეს სამსახურიდან.	

1.11. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. სად მიდის ლუკა?
2. რა თანამდებობაზეა ლუკა სამსახურში?
3. რამდენჯერ მიიღო გათავისუფლებულმა თანამშრომელმა საყვედური?
4. რატომ მიდის ლუკა სასამართლოში?

1.12. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.13. საპრეზენტაციო თემა

**რა შემთხვევაშია უკანონო სამსახურიდან
გათავისუფლება?**

1.14. წერა

შეადგინეთ პატარა მოთხრობა სათაურით – სამართალმა გაიმარჯვა!

1.15. სახალისო ეპიზოდი სასამართლოდან:

ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე მოსამართლემ მოწმეს აუხსნა მისი უფლებები და უთხრა: დაიფიცეთ, რომ იტყვით სიმართლეს და არაფერს, სიმართლის გარდა.

მოწმე ხუთი წუთის განმავლობაში იფიცებდა: დედაჩემის საფლავს გეფიცები, ყველა ამომიწყდეს, ჩემი შვილების სიცოცხლეს ვფიცავ, სახლში ცოცხალი არ მივიდე, ხვალინდელი დილა არ გამითენდეს და ა.შ. მთელი დარბაზი ხმამაღლა იცინოდა.

უპასუხეთ კითხვას!

- თქვენი აზრით, რატომ იცინოდა ხალხი სასამართლო დარბაზში?

ა.

მითითება: კითხვები რატომ? რის გამო? გამოიყენეთ მაშინ, როცა მოქმედების მიზეზი გაინტერესებთ.

მათ უპასუხეთ სიტყვებით: **იმითომ, რომ**

იმის გამო, რომ

ან

ამითომ // მაგითომ.

მაგ., რატომ დააგვიანეთ? **იმითომ, რომ** მეტრო არ მუშაობდა.



დაიმასსოვრეთ ფრაზა!

ჩემი აზრით

ბ.


მითითება: გამოიყენეთ მაშინ, როცა თქვენს აზრს, შეხედულებას გამოთქვამთ.

ჩემი აზრით წინადადებაში მძიმეებით გამოიყოფა.

მაგ., ჩემი აზრით, ის თავის უფლებებს იცავს.

II ნაწილი დანაშაული და სასჯელი. სისხლის სამართლის სუბიექტები

2.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. ვინ უნდა განუსაზღვროს ბრალდებულს სასჯელი?

2.2. ტექსტი:

დანაშაულს სისხლის სამართალი განიხილავს. დანაშაული ისეთი ქცევაა, რომელსაც ზიანი მოაქვს საზოგადოებისთვის. არსებობს ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. დანაშაული შეიძლება ადამიანმა ჩაიდინოს განზრახ და გაუფრთხილებლობით. სისხლის სამართლის

დანაშაულს სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. დამნაშავეს ეკისრება **სასჯელი**.

საქართველოს სისხლის სამართლის **კოდექსი** განსაზღვრავს, რა სახის ქმედება უნდა ჩაითვალოს დანაშაულად და **სასჯელის** რომელი **ზომა** უნდა იქნეს გამოყენებული დამნაშავეს მიმართ.

სასჯელი იძულებითი ღონისძიებაა. ის დამოკიდებულია დანაშაულის სიმძიმეზე, აქედან გამომდინარე, მისი სხვადასხვა ზომა არსებობს. სასჯელი გულისხმობს დამნაშავეს უფლებების შეზღუდვას: თავისუფლების აღკვეთას, ჯარიმას, **გამასწორებელ სამუშაოებს** და ა.შ.

დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არსებობს ორი მხარე: **დაზარალებული** და დამნაშავე. დაზარალებულია ის, ვისაც დამნაშავემ ზიანი მიაყენა. **ბრალდებულია** პირი მანამ, სანამ მას არ დაუმტკიცდება დანაშაული ან არ გამართლდება. პირის დამნაშავეობას ამტკიცებს **პროკურორი**, ადვოკატი კი ცდილობს ბრალდებულის გამართლებას.

იმისთვის, რომ პირს ვუწოდოთ დამნაშავე, საჭიროა არსებობდეს სასამართლოს მიერ მიღებული **გამამტყუნებელი განაჩენი**, მანამდე კი მას იცავს უდანაშაულობის პრეზუმფიცია.

2.3. ლექსიკა:

სასჯელი – იძულებითი ღონისძიება დამნაშავეს მიმართ.

კოდექსი – სამართლის კანონთა კრებული.

სასჯელის ზომა – დანაშაულის შესაბამისი სასჯელის ფორმა.

გამასწორებელი სამუშაო – სამუშაო, რომელსაც ასრულებს დამნაშავე სასჯელის მოხდის მიზნით.

დაზარალებული – სახელმწიფო ან პირი, რომელსაც მიაღდა ზიანი დანაშაულის შედეგად.

ბრალდებული – პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

პროკურორი – თანამდებობის პირი, რომელიც ამტკიცებს ბრალდებულის დამნაშავეობას.

გამამტყუნებელი განაჩენი – სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ბრალდებული დამნაშავეა.

2.4. ტექსტის გააზრება:

1. რა არის დანაშაული?
2. რა და რა სახის დანაშაული არსებობს?
3. რას გულისხმობს სასჯელი?
4. ვის ეწოდება დაზარალებული?
5. ვის ეწოდება ბრალდებული?
6. რა ევალება პროკურორს?
7. რა ევალება ადვოკატს?

სინონიმები	ანტონიმები
პროკურორი – ბრალმდებელი	დანაშაული – უდანაშაულობა
ადვოკატი – დამცველი	სიმძიმე – სიმსუბუქე
გამამტყუნება – დადანაშაულება	გამართლება – დადანაშაულება
	გამამტყუნებელი – გამამართლებელი

ა.

რას იზამს? გაამტყუნებს **როგორი?** გამამტყუნებელი
მაგ., გუშინ მას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს.



დაიმახსოვრეთ!

ბ.

_____ **მანამ, სანამ//ვიდრე** _____
ასეთი წინადადებები მიუთითებენ დროზე. მანამ ნიშნავს რაღაც დრომდე.
მაგ., სახლში მანამ დამელოდე, სანამ 7 საათი არ გახდება.
სახლში დამელოდე, სანამ [//ვიდრე] 7 საათი არ გახდება.
მანამ დავიცდი, ვიდრე შენ არ დაბრუნდები.

გ.

მითითება: კითხვები **რისთვის? რა მიზნით?** გამოიყენეთ მაშინ,
როცა მოქმედების მიზანი გაინტერესებთ.
მათ უპასუხეთ სიტყვებით: **იმისთვის, რომ**
იმ მიზნით, რომ
ან : ამისთვის // მაგისთვის.
მაგ., რისთვის მობრძანდით? იმისთვის, რომ სიმართლე გამეგო.

2.5. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას:

- ვინ არიან სისხლის სამართლის სუბიექტები და რა ევალუა თითოეულ მათგანს?

პროკურორი: ბატონო მოსამართლე, ამა წლის 17 ნოემბერს, დაახლოებით 12 საათზე, N145 ავტობუსში მოქალაქე თ. გოგუაძემ მოქალაქე მ. ელბაქიძეს ჯიბიდან ამოაცალა საფულე. სასამართლო პროცესს ესწრება დაზარალებულიც და მოწმეც. მოწმე, ლ. ნინუა, შეიცნო დამნაშავე. დაკავების დროს გოგუაძეს საფულე არ აღმოაჩნდა, მაგრამ ის თანხა, რომელიც საფულეში იდო, 500 დოლარი, ჯიბეში ჰქონდა. გთხოვთ, განიხილოთ მისი ქმედება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და გამოუტანოთ განაჩენი.

მოსამართლე: დაზარალებულო ელბაქიძე, განმარტეთ, რა ზიანი მოგაყენათ ბრალდებულმა გოგუაძემ?

დაზარალებული: ავტობუსში მან ჯიბიდან ამომაცალა საფულე.

მოსამართლე: თქვენ ეს დაინახეთ?

დაზარალებული: არა, არ დამინახავს, მაგრამ დაინახა სხვა მგზავრმა და თანაც ამოიცნო ქურდი. ის ჩვენს უბანში ცხოვრობს.

მოსამართლე: მოქალაქე ნინუა, თქვით სიმართლე და მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე, იყავით თუ არა 17 ნოემბერს, დაახლოებით დღის 12 საათზე, N145 ავტობუსში?

მოწმე: დიახ, ვიყავი.

მოსამართლე: დაინახეთ თუ არა, მოქალაქე გოგუაძემ როგორ ამოაცალა მოქალაქე ელბაქიძეს საფულე?

მოწმე: დიახ, დავინახე და ეჭვიც არ მეპარება, რომ ის იყო.

მოსამართლე: დარწმუნებული ბრძანდებით?

მოწმე: დიახ, რა თქმა უნდა.

მოსამართლე: მოქალაქე გოგუაძე, რას იტყვით ამ ბრალდებაზე?

ბრალდებული: მე არ ვიცნობ მოწმეს და არც ის ვიცი, თვითონ საიდან მიცნობს. ეს თანხა, რომელიც ჯიბეში მექონდა, ქუჩაში ვიპოვე და ავიღე.

ადვოკატი: ბრალდებულს არ უმტკიცდება დანაშაული. შესაძლებელია მოწმე ცდებოდეს.

მხოლოდითი					
ვიცნობ	მე	ბრალდებულს	მიცნობს	ბრალდებული	მე
იცნობ	შენ	ბრალდებულს	გიცნობს	ბრალდებული	შენ
იცნობს	ის	ბრალდებულს	იცნობს	ბრალდებული	მას
მრავლობითი					
ვიცნობთ	ჩვენ	ბრალდებულს	გვიცნობს	ბრალდებული	ჩვენ
იცნობთ	თქვენ	ბრალდებულს	გიცნობთ	ბრალდებული	თქვენ
იცნობენ	ისინი	ბრალდებულს	იცნობს	ბრალდებული	მათ
მაგ., არ ვიცი, თვითონ საიდან მიცნობს.					

2.6. გადმოეცით მოცემული დიალოგის მოკლე შინაარსი!

2.7. დააკავშირეთ!

- | | |
|--------------|--------------|
| ა. აღიარა | ზიანი |
| დაიცვა | პროკურორმა |
| გამოიტანა | სასჯელი |
| დაადანაშაულა | დანაშაული |
| ეკისრება | განაჩენი |
| მიაყენა | სამართალი |
| ბ. გაქურდვა | თავისუფლების |
| დარღვევა | ბრალდებულის |
| მიყენება | დანაშაულის |
| გამართლება | წესრიგის |
| აღკვეთა | ბინის |
| ჩადენა | ზიანის |

გ. გამამტყუნებელი	ზომა
სამოქალაქო	პრემიუმაცია
იძულებითი	განაჩენი
სასჯელის	დანაშაული
უდანაშაულობის	ლონისძიება
განზრახ ჩადენილი	სამართალი

2.8. მოცემული გზების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	ჩაიდინა	ჩადის [//იდენს]	ჩაიდენს
2	დაეკისრა	ეკისრება	დაეკისრება
3	დაუმტკიცდა	უმტკიცდება	დაუმტკიცდება
4	ამოაცალა	აცლის	ამოაცლის



2.9. მოსმენა

დიალოგი თემაზე: საუბარი ადვოკატთან

2.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ლუკა პროკურორია და დღეს სასამართლო პროცესი აქვს.	
ლუკა სამოქალაქო სამართლის სფეროში მუშაობს.	
კლიენტს უნდა, რომ ლუკა მისი მამის ადვოკატი იყოს.	
კლიენტი ლუკას ვერ ქირაობს, რადგან არ შეუძლია მისთვის ფულის გადახდა.	

2.11. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

- ვისთან აქვს დღეს შეხვედრა ლუკას?
- რაშია ბრალდებული კლიენტის მამა?
- ჩამოთვალეთ, რა მიზეზების გამო ეუბნება ლუკა კლიენტს უარს?

2.12. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

2.13. საპრეზენტაციო თემა

**რაბომ არის განზრახ ჩადენილი
დანაშაული მიიღე?**

2.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - **ადვოკატის პროფესია** (უპასუხეთ
კითხვას: რამდენად მოგწონთ ეს პროფესია?)

2. 15. ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან:

ილია დუშეთში მუშაობდა მოსამართლედ. ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე გლეხი ამტკიცებდა, რომ ვალი გადაიხადა, მოვალე კი უარზე იყო, თან მოსამართლეს აჩვენებდა მათ შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ნადგურდება ვალის გადახდის შემდეგ. ალალ გლეხს დავიწყებია თამასუქის გამორთმევა. ილია მიხვდა, რომ ის მართალი იყო. მან უთხრა გლეხს, მისულიყო იმ ადგილას, სადაც ვალი გადაიხადა, და იქ მდგარი მუხის ფოთოლი მოეტანა მისთვის. მოვალე შეწუხდა, სანამ იმ ხესთან მივა, მთელი ღლე გავაო. ილიამ გლეხი გაამართლა.

უპასუხეთ კითხვას!

- როგორ დაადგინა ილიამ, რომ გლეხი მართალი იყო?

**ნადგურდება – განადგურდება – განადგურდა
განადგურება – იგივეა, რაც მოსპობა.
მაგ., ეს დოკუმენტი განადგურდება.**



დაიმახსოვრეთ!

შემდეგ – უკან, შემდგომ, მერე.
მაგ., ჩემ შემდეგ დადექით!
ამ ამბის შემდგომ მასთან აღარ მისაუბრია.



ჩემ შემდეგ	ჩვენ შემდეგ
შენ შემდეგ	თქვენ შემდეგ
[ი]მის შემდეგ	[ი]მათ შემდეგ
მაგრამ: ვალის გადახდ ის შემდეგ	

III ნაწილი

დანაშაული მოხდა – რა უნდა ვიცოდეთ ამ დროს?

3.1. მოსამზადებელი სამუშაო



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციაზე?
2. სად იხდიან პატიმრები სასჯელს?
3. სასჯელის რა ფორმები იცით?

3.2. ტექსტი:

მოხდა დანაშაული. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაც **დაზარალდა**. დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს, უნდა დაისაჯოს. ეს იქნება სიმართლის გამარჯვება. იწყება გამოძიება, რადგან არავის უნდა დანაშაულის აღიარება.

ჩვენ შემთხვევით შევესწარი დანაშაულს, დავინახეთ, რა და როგორ მოხდა. რა უნდა გქნათ? ყველამ უნდა იცოდეს: სახელმწიფოსთან თანამშრომლობა მოქალაქის ვალაია. თუ ინფორმაციას ფლობ, აუცილებლად უნდა მიაწოდო გამოძიებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენ ფარავ დანაშაულს,

შენ დანაშაულის თანამონაწილე ხდები.

დანაშაული მოხდა და შენ იქ აღმოჩნდი. დამნაშავე მიიმალა. დანაშაული შენ **გბრალებს**. რა უნდა ქნა? უნდა იცოდე, არავინ ისჯება იმ დანაშაულისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია; არავინაა ვალდებული, საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. ადამიანს აქვს დუმილის უფლება. ეს არ ნიშნავს ბრალის აღიარებას.

დანაშაული მოხდა და დამნაშავე არასრულწლოვანია. მისი სასჯელი შემსუბუქდება. 14 წლამდე ადამიანი კი საერთოდ არ ისჯება.

დანაშაული მოხდა და ის შენ ჩაიდინე, უფრო სწორად, იძულებული იყავი ჩაგედინა. იცოდე, თუ ეს თავდაცვისა და მტრის მოგერიების მიზნით გააკეთე, შენ თავისუფლდები პასუხისმგებლობისაგან.

დანაშაული მოხდა და ის შენ გაუფრთხილებლობით ჩაიდინე, სასჯელს იმსახურებ, მაგრამ ბევრად ნაკლებს, ვიდრე - განზრახ ჩადენილი დანაშაულის დროს. განზრახ ჩადენილი, წინასწარ დაგეგმილი დანაშაული მკაცრად ისჯება.

3.3. ლექსიკა:

ზარალი – მატერიალური დანაკარგი.

დანაშაულის თანამონაწილე – დანაშაულის ერთ-ერთი მონაწილე.

ბრალდება [დაბრალდება] – ბრალი ედება.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. როგორ უნდა მოიქცეთ, როცა შეესწრებით დანაშაულს?
2. როგორ უნდა მოიქცეთ, როცა დანაშაული თქვენ გბრალებათ?
3. ისჯება თუ არა არასრულწლოვანი 14 წლამდე?
4. თავისუფლდება თუ არა პასუხისმგებლობისგან ადამიანი, რომელიც თავდაცვის მიზნით ჩადის დანაშაულს?

სინონიმები	ანტონიმები
ბრალი – დანაშაული განზრახ ჩადენილი – წინასწარ დაგეგმილი დაფარვა – დამალვა ზარალი – ზიანი	ნაკლები – მეტი გამარჯვება – დამარცხება იწყება – მთავრდება

ა.



დაიმახსოვრეთ!

თანა აღნიშნავს თანხლებას, ვიღაცასთან ერთად ყოფნას ან ვინმესთან ერთად რაიმეს ქონას.

მაგ., **თანამესაკუთრე** – გულისხმობს საკუთრების ვინმესთან ერთად ფლობას.

ასევეა მიღებული სიტყვა **თანამონაწილე**.

ბ.



დაიმახსოვრეთ!

რას იზამს? გააფრთხილებს
როგორი? გაუფრთხილებელი
რა? გაუფრთხილებლობა
 მაგ., ეს გაუფრთხილებელი საქციელი იყო.

3.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

გაცილებით ნაკლები	თავს გესხმის	თოთხმეტ წელს
არ არის	წინასწარ დაგეგმა	დუმილის უფლებას

1. სამართალი გაძლევს ნებას, მიაყენო ზიანი იმ პირს, რომელიც _____.
2. დამნაშავე, თუ ის ჯერ _____ 14 წლისა, კანონით არ ისჯება.
3. დამნაშავეს, რომელმაც გაუფრთხილებლობით ჩაიდინა დანაშაული, მიესჯება _____, ვიდრე დამნაშავეს, რომელმაც დანაშაული _____.
4. თუ ადამიანი იყენებს _____, ეს არ ნიშნავს ბრალის აღიარებას.
5. თუ დანაშაული ჩაიდინა არასრულწლოვანმა _____ გვევით, მას სასჯელი უმსუბუქდება.

3.6. დააკავშირეთ!

შეესწრო	ინფორმაციას
ფლობს	დანაშაულს
ეხმარება	ჩვენებას
ფარავს	გამოძიებას
აძლევს	სამართალდარღვევას
უმსუბუქდება	გაუფრთხილებლობით
ჩაიდინა	სასჯელი
იმსახურებს	მკაცრად
ისჯება	სასჯელს
თანამშრომლობს	სახელმწიფოსთან

3.7. ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ მათი სინონიმებით:

იგებს	ყველა	ზიანი
გულისხმობს	ნებით	

1. ნებისმიერ სამართალდარღვევას ზიანი მოაქვს საზოგადოებისა და მისი წევრებისათვის.
2. ზოგიერთი დამნაშავე ვერ ხვდება თავისი საქციელის მნიშვნელობას.
3. სამართალდამრღვევი უმეტესად თავისი სურვილით არღვევს კანონს.
4. დუმილის უფლება არ ნიშნავს ბრალის აღიარებას.
5. ამ დანაშაულმა სახელმწიფოს დიდი ზარალი მიაყენა.

3.8. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	დაბარალდა	ზარალდება	დაბარალდება
2	დაისაჯა	ისჯება	დაისჯება
3	დაფარა	ფარავს	დაფარავს
4	შემსუბუქდა	მსუბუქდება	შემსუბუქდება
5	გა[ნ]თავისუფლდა	თავისუფლდება	გა[ნ]თავისუფლდება
6	დაიმსახურა	იმსახურებს	დაიმსახურებს



3.9. მოსმენა

სიუჟეტი თემაზე: არასრულწლოვანთა დანაშაული

(შსს-ს ოფიციალური გვერდი)

3.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ბრალდებული ბანკის გაძარცვას აპირებდა.	
დაკავებულებს არ აღმოაჩნდათ ცეცხლსასროლი იარაღი.	
კანონის მიხედვით, ვინც იცოდა დანაშაულის შესახებ და არ თქვა, თანამონაწილეა.	
თუ არასრულწლოვანს ბრალი დაუმტკიცდა, სასჯელი შეუმსუბუქდება.	

3.11. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. სად დააკავეს ბრალდებულები?
2. რამდენი ადამიანი დააკავეს?
3. რა დანაშაულში ედებათ ბრალი დაკავებულებს?
4. რამდენი წლის არის მეორე დამნაშავე?

3.12. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.13. საპრეზენტაციო თემა

**რატომ უნდა შევამოწმოთ პოლიციას
დანაშაულის შესახებ?**



დაიმახსოვრეთ!

მიხედვით – ვინმეს ან რაიმეს გათვალისწინებით, შესაბამისად.

მიუხედავად – ყურადღების მიქცევის გარეშე, ანგარიშის გაუწევლად.

მაგ., საქმის მასალები**ს** მიხედვით ნათელია, რომ...

დადლილობი**ს** მიუხედავად, მაინც ბევრი საქმე გავაკეთე.

ამი**ს**და მიხედვით; ან: ამი**ს**და მიუხედავად...

ან: მიუხედავად ამი**ს**ა,

მაგარი ზურგი აქვს – იგივეა, რაც ძლიერი
პატრონი, მფარველი ჰყავს.



ენა წაიგრძელა – ზედმეტს, ბევრს ლაპარაკობს, ყბედობს; იგივეა, რაც:
გრძელი ენა აქვს, ენაგრძელია.

ენა წინ უსწრებს – უადგილოდ, დაუფიქრებლად ლაპარაკობს.

ენა მუცელში ჩაუვარდა – გაჩუმდა; ლაპარაკი, საუბარი შეწყვიტა.

ზურგი შეაქცია – უარყო, მიატოვა ვინმე ან რამე.

3.14. წერა

შეადგინეთ პატარა მოთხრობა სათაურით – **მე არ ვარ დამნაშავე!**

3.15. ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან:

ილია დუშეთში მუშაობდა მოსამართლედ. ერთ გლეხს, მათე მორბელაძეს, ბრალი ედებოდა მოურავის მკვლელობაში. გლეხი აღიარებდა დანაშაულს. მოსამართლემ მკვლელობის მიზეზი გამოჰკითხა. ბრალდებულმა სასამართლოს ასეთი რამ უამბო: ზამთრის სიცივეში მათ სოფელში შეშა არავის ჰქონდა. სოფლის ბიჭები ჩუმად შეიპარნენ ტყეში. ეს ამბავი მოურავმა გაიგო და წაართვა მათ ხარი და ურემი, რომელზედაც შეშა უნდა დაეწყოთ. ბიჭებს შველა მათესთვის უთხოვიათ. მოურავმა არ მოუსმინა მათეს, გადმოიღო თოფი და ესროლა. მეორედ მათემ დაასწრო და მოურავი მოკლა. „აი, ჩემი დანაშაული, მე რომ არ მომეკლა, ის მომკლავდაო“, – ასე დაასრულა სიტყვა გლეხმა მათე მორბელაძემ. ილია ჭავჭავაძემ მას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა.

ნაამბობი – მონაცოლი

უპასუხეთ კითხვას!

- რატომ გაამართლა ილიამ გლეხი?

მოურავი – ძველ დროში ბატონის საქმეთა მმართველი.

ლექსიკა:

ბრალდება [დაბრალდება] – ბრალი ედება.

ბრალდებული – პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

გამამტყუნებელი განაჩენი – სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ბრალდებული დამნაშავეა.

გამასწორებელი სამუშაო – სამუშაო, რომელსაც ასრულებს დამნაშავე სასჯელის მოხდის მიზნით.

დაზარალებული – სახელმწიფო ან პირი, რომელსაც მიაღდა ზიანი დანაშაულის შედეგად.

დანაშაულის თანამონაწილე – დანაშაულის ერთ-ერთი მონაწილე.

ზარალი – მატერიალური დანაკარგი.

კოდექსი – სამართლის კანონთა კრებული.

მოპასუხე – პირი, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია მოსარჩელის მოთხოვნა.

მოსარჩელე – პირი, რომელმაც დაიწყო საქმე სასამართლოში რაღაც მოთხოვნით.

მოწმე – პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

მხარეები – აქ: მოსარჩელე და მოპასუხე.

პროკურორი – თანამდებობის პირი, რომელიც ამტკიცებს ბრალდებულის დამნაშავეობას.

სარჩელი – წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მოსარჩელის მიმართვას სასამართლოსადმი.

სასჯელი – იძულებითი ღონისძიება დამნაშავეს მიმართ.

სასჯელის დაკისრება – სასჯელის იძულებით შესრულების ვალდებულება.

სასჯელის ზომა – დანაშაულის შესაბამისი სასჯელის ფორმა.

შესაგებელი – პასუხი სარჩელზე.

ზმნები:

N	ახლა- წელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეთითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ჰნა?	რას იზამს?	რა უნდა ჰნას?	რა უქნია?	რა?
1	[ა]იყვანს	აიყვანდა	აიყვანა	აიყვანს	აიყვანოს	აუყვანია	აყვანა
2	აცლის	აცლიდა	ამოაცალა	ამოაცლის	ამოაცალოს	ამოუცლია	ამოცლა
3	აცნობს	აცნობდა	გააცნო	გააცნობს	გააცნოს	გაუცნია	გაცნობა
4	აცხადებს	აცხადებდა	გამოაცხადა	გამოაცხადებს	გამოაცხადოს	გამოუცხადებია	გამოცხადება
5	აწოდებს	აწოდებდა	მიაწოდა	მიაწოდებს	მიაწოდოს	მიუწოდებია	მიწოდება
6	ეკისრება	ეკისრებოდა	დაეკისრა	დაეკისრება	დაეკისროს	დაჰკისრებია	დაკისრება
7	ესწრება	ესწრებოდა	შეესწრო	შეესწრება	შეესწროს	შესწრებია	შესწრება
8	ზარალდება	ზარალდებოდა	დაზარალდა	დაზარალდება	დაზარალდეს	დაზარალდებულა	დაზარალება
9	თავისუ- ფლდება	თავისუფლდებოდა	გა[ნ]თავისუ- ფლდა	გა[ნ]თავისუ- ფლდება	გა[ნ] თავისუფლდეს	გა[ნ]თავისუ- ფლდებულა	გა[ნ] თავისუფლება
10	ითვლება	ითვლებოდა	ჩაითვალა	ჩაითვლება	ჩაითვალოს	ჩათვლილა	ჩათვლა
11	იკითხება	იკითხებოდა	დაიკითხა	დაიკითხება	დაიკითხოს	დაკითხულა	დაკითხვა
12	იკრიბება	იკრიბებოდა	შეიკრიბა	შეიკრიბება	შეიკრიბოს	შეკრიბილა	შეკრება
13	იმალება	იმალებოდა	დაიმალა	დაიმალება	დაიმალოს	დამალულა	დამალვა
14	იმსახურებს	იმსახურებდა	დაიმსახურა	დაიმსახურებს	დაიმსახუროს	დაუმსახურებია	დამსახურება
15	ისჯება	ისჯებოდა	დაისჯა	დაისჯება	დაისჯოს	დასჯილა	დასჯა
16	იწყება	იწყებოდა	დაიწყო	დაიწყება	დაიწყოს	დაწყებულა	დაწყება
17	იწყებს	იწყებდა	დაიწყო	დაიწყებს	დაიწყოს	დაუწყია	დაწყება
18	მსუბუქდება	მსუბუქდებოდა	შემსუბუქდა	შემსუბუქდება	შემსუბუქდეს	შემსუბუქდებულა	შემსუბუქება
19	უმტკიცდება	უმტკიცდებოდა	დაუმტკიცდა	დაუმტკიცდება	დაუმტკიცდეს	დამტკიცებია	დამტკიცება
20	უსვამს	უსვამდა	გაუსვა	გაუსვამს	გაუსვას	გაუსვამს	გასვა
21	უხსნის	უხსნიდა	აუხსნა	აუხსნის	აუხსნას	აუხსნია	ახსნა
22	ფარავს	ფარავდა	დაფარა	დაფარავს	დაფაროს	დაუფარავს	დაფარვა
23	ჩადის [//იდენს]	ჩადიოდა [//იდენდა]	ჩაიდინა	ჩაიდენს	ჩაიდინოს	ჩაუდენია	ჩადენა
24	ცდილობს	ცდილობდა	[შე]ეცადა / ცადა	[შე]ეცდება /ცდის	[შე]ეცადოს / ცადოს	უცდია	მცდელობა
26	[ჰ]ბრალდება	[ჰ]ბრალდებოდა	და[ჰ]ბრალდა	და[ჰ]ბრალდება	და[ჰ]ბრალდეს	და[ჰ]ბრალდებია	დაბრალება

VIII თავი

ქართული ენა პროფესიულ ურთიერთობაში –
ქართული ენა და სამართალი

I ნაწილი

შემაჯამებელი გაკვეთილი

1.1. ტექსტი:

არ არსებობს საზოგადოებრივი ურთიერთობა სამართლის გარეშე. სამართლის საკითხების შესწავლით ჩვენ უფრო საფუძვლიანად ვსწავლობთ ქართულ ენას. უკვე ვიცით, რომ მორალი და სამართალი განსხვავდება ერთმანეთისგან. სამართალი სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებია, მორალი კი ამ კანონების საფუძველია. სახელმწიფოს ძირითადი კანონი კონსტიტუციაა. არცერთი კანონი, რომელსაც ქვეყანაში იღებენ, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.

ჩვენ ვისწავლეთ, რომ ქვეყანას მართავს ხელისუფლება. ხელისუფლება არის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. თითოეულ მათგანს თავისი ფუნქცია აქვს. ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს სასამართლო და მასთან ერთად ომბუდსმენი იცავს. თავისუფლებისათვის ბრძოლა ადამიანის უმთავრესი ღირებულებაა.

ჩვენ უკვე ვიცით, რას გულისხმობს სამოქალაქო სამართლის სუბიექტები, ფიზიკური და იურიდიული პირები, და რა არის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები – ქორწინება, ნასყიდობა, ქირავნობა, მემკვიდრეობა, შრომითი ურთიერთობები და სხვა. მათ დასარეგულირებლად იდება ხელშეკრულებები, რომლებიც წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს. სამოქალაქო სამართლის სუბიექტები სასამართლოში წარდგებიან, როგორც მოსარჩელე და მოპასუხე პირები. სამოქალაქო სამართლის საქმეზე სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება.

ჩვენ უკვე ერთმანეთისგან ვასხვავებთ სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის სუბიექტებს. სისხლის სამართალში მხარეები არიან: დაზარალებული და ბრალდებული, ასევე – პროკურორი და ადვოკატი. სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს გამოაქვს განაჩენი. განაჩენი განსაზღვრავს სასჯელის ზომას. სასჯელი გულისხმობს დამნაშავეს უფლებების შეზღუდვას.

მე მიცავს ქართული სამართალი, ამიტომ მჭირდება ქართული ენის ცოდნა. ენის ცოდნა კომუნიკაციაში მეხმარება – „მე მესმის ქართული, მე ვლაპარაკობ ქართულად, მე ვპასუხობ ქართულად, მე შემიძლია დავიცვა ჩემი უფლებები!“

როგორი?

ღირებული – დიდი ფასის მქონე, მნიშვნელოვანი.

რა?

ღირებულება – რამის ფასი, მნიშვნელობა.



1.2. ტექსტის გააზრება:

გაიხსენეთ!

1. რით განსხვავდება სამართალი და მორალი ერთმანეთისგან?
2. რატომ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყანაში მიღებული სხვადასხვა კანონი კონსტიტუციას?
3. რამდენ შტოდ იყოფა ხელისუფლება? როგორია თითოეული მათგანის ფუნქციები?
4. სასამართლოს გარდა, კიდევ ვის შეიძლება მივმართოთ ადამიანის უფლებების დასაცავად?
5. რით განსხვავდება სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესები ერთმანეთისგან? დაასახელეთ მხარეები! აღნიშნეთ, რით სრულდება პროცესი თითოეულ შემთხვევაში.
6. საქართველოში რომელ ენაზე იმართება სასამართლო პროცესი?
7. რას ნიშნავს ენის ცოდნა?

1.3. ა) დიალოგის მიხედვით განსაზღვრეთ, სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლო პროცესზე თუ სამოქალაქო სამართლისა?

ბ) გამოყავით სიტყვები, რომლებიც თქვენს მოსაზრებას დაასაბუთებს!

ბრალდებულის ადვოკატი: ბატონო მოსამართლე, გარდა იმისა, რომ ბრალდებული არასრულწლოვანია, მას კიდევ ერთი შემამსუბუქებელი გარემოება აქვს – დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩაიდინა.

პროკურორი: საპირისპიროს ამბობს გამოძიება: ბრალდებულმა ორი კვირით ადრე დაგეგმა დანაშაული და ამისთვის საგანგებოდ ემზადებოდა. იხილეთ მისი ჩვენება.

მოსამართლე: ბრალდებულო, აღიარებთ თუ არა დანაშაულს? აღიარება სასჯელს შეგიმსუბუქებთ.

ბრალდებული: ვაღიარებ.

მოსამართლე: შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი – თქვენ მოგესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 2 წლით.

1.4. ა) დიალოგის მიხედვით განსაზღვრეთ, სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლო პროცესზე თუ სამოქალაქო სამართლისა?

ბ) გამოყავით სიტყვები, რომლებიც თქვენს მოსაზრებას დაასაბუთებს!

მოსამართლე: სასამართლოში შემოვიდა სარჩელი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. შპს „ქართული ლუდის“ თანამშრომელი, ბაჩანა ბარამიძე, უჩივის დირექტორს, გიორგი თედორაძეს. დირექტორმა თანამშრომელი ისე გაათავისუფლა სამსახურიდან, რომ ამის შესახებ არც წინასწარ შეუტყობინებია და არც კომპენსაცია მიუცია მისთვის. ბაჩანა ბარამიძე მოითხოვს ფულად კომპენსაციას სამი თვის ხელფასის ოდენობით.

მოსარჩელე: დიხ, სამი თვის ხელფასის ოდენობით მოვითხოვ. ერთი თვის კომპენსაცია ისედაც მეკუთვნის. ორ თვეს კიდევ იმისთვის ვამატებ, რომ წინასწარ არ შეუტყობინებიათ, მე ხომ სხვა სამსახური უნდა მოვძებნო, რომ ოჯახი ულუკმაპუროდ არ დავტოვო.

მოპასუხე: მე დირექტორის ადვოკატი ვარ და მაქვს ყველანაირი მტკიცებულება, რომ ბარამიძე არ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

მოსარჩელე: ჩვენ აქ განვიხილავთ გათავისუფლების პირობებს და არა – მიზეზს.

მოსამართლე: მოსარჩელე სწორია. საქმე აღიძრა შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო. წინასწარ გაუფრთხილებლობა შრომითი ხელშეკრულების დარღვევაა, აგრეთვე კომპენსაციის გადაუხდელობაც, ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილება დააკმაყოფილებს მოსარჩელეს.

ულუკმაპურო – მშვიერი, უქონელი
ულუკმაპუროდ – ლუკმაპურის გარეშე
წინასწარ – წინდაწინ
ყველანაირი – ყოველგვარი

1.5. თქვენი სიტყვებით განმარტეთ წყვილები:

- | | |
|---------------------------|-------------------------------|
| 1. საზოგადოებრივი მორალი; | 6. საკანონმდებლო ხელისუფლება; |
| 2. განათლების უფლება; | 7. აღმასრულებელი ხელისუფლება; |
| 3. წერილობითი დოკუმენტი; | 8. სასამართლო ხელისუფლება; |
| 4. პენსიის უფლება; | 9. სამოქალაქო სამართალი; |
| 5. მუხლობრივი განხილვა; | 10. სისხლის სამართალი. |

1.6. უპასუხეთ კითხვებს საპირისპირო სიტყვების გამოყენებით!

ნიმუში: – თქვენი საქციელი **კანონიერია**?

– არა, **უკანონო**.

– ნინო **გამყიდველია**?

– არა, **მყიდველი**.

ა. – ამ პროცესზე თქვენი დეიდაშვილი **მოსარჩელე** იქნება?

– არა, _____

ბ. – პატარა თედო **დამნაშავეა**?

– არა, _____

გ. – სისხლის სამართლის სუბიექტი მხოლოდ **ადვოკატია**?

– არა, _____

დ. – ყოველთვის **ძლიერი** იმარჯვებს?

– არა, ზოგჯერ – _____

ე. – ვისთან აწარმოებ მოლაპარაკებას, **დასაქმებულთან**?

– არა, _____

ვ. – ძიება **შედეგიანი** გამოდგა?

– არა, _____

- ზ. – იმ სახელმწიფოში ყველა **დაცულია**?
 – არა, ზოგიერთი _____
- თ. – შენი ადვოკატი **გამოცდილია**?
 – არა, _____. ეს მისი პირველი საქმეა.
- ი. – დაკავებული **დაზარალებულია**?
 – არა, პირიქით, _____
- კ. – ამ სკამზე **ბრალდებული** ზის?
 – არა, პროკურორი, ე.ი. _____

1.7. ა) აარჩიეთ ის ორი სიტყვა, რომლებიც აზრობრივად შეესაბამება გამოყოფილ ზმნებს!

ბ) მიღებული წყვილებით შეადგინეთ წინადადებები!

მიიღო (მემკვიდრეობა, წარმატება, ტკივილი, გადაწყვეტილება, განცდა).

გაიგო (მნიშვნელობა, როლი, სიტუაცია, აზრი, სამართალდარღვევა).

შეასრულა (გადაწყვეტილება, გაქურდვა, სამართალდარღვევა, მოლაპარაკება, პირობა).

მიაყენა (ქონება, ზიანი, მოქალაქე, ზარალი, კანონი).

დაზარალდა (ბუნება, სახელმწიფო, ეზო, ქონება, მოქალაქე).



1.8. მოსმენა

დიალოგი თემაზე: შრომითი ხელშეკრულება

სამუშაოდ აყვანა – სამსახურის მიცემა, დასაქმება.

სამუშაოდან გაშვება – სამსახურიდან გაშვება, გათავისუფლება.

მაგ., რამდენიმე კაცი სამუშაოდ აგვყავს.

თუ ვინმეს სამსახურიდან გავეშვებთ, კომპენსაციას გადავუხდით.

გამონაკლისი – ის, რაც არ მისდევს საერთო წესს, განსხვავებულია.

ხელშეკრულებაში დასაქმებულთა მოვალეობები გაიწერება.

ხელშეკრულებაში დასაქმებულთა მოვალეობები არის გაწერილი.

გაწერილი – აქ: დაწვრილებით ჩაწერილი.

1.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი!

ხელშეკრულებები კანონმდებლობას უნდა ეთანხმებოდეს.	
ხელშეკრულებაში დასაქმებულთა უფლებები და მოვალეობები არ არის გაწერილი.	
ახალ თანამშრომლებს ხელშეკრულებებს არ უფორმებენ.	
ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ახალი თანამშრომლები ხელფასს მიიღებენ.	

1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1. რა შემთხვევაში არ უფორმდება დასაქმებულს წერილობითი ხელშეკრულება?
2. კომპენსაციის შესახებ მითითებულია თუ არა ხელშეკრულებაში?
3. მინიმუმ რამდენი თვის ხელფასია კომპენსაცია?
4. რამდენი ხნით ადრე უნდა შეატყობინოს დამსაქმებელმა დასაქმებულს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ?

1.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.12. საპრეზენტაციო თემა

**რატომ უნდა ეწეროს ხელშეკრულებაში
დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები?**

1.13. წერა

**იმსჯელეთ საკითხზე – მე ვლაპარაკობ ქართულად, მე ყველგან შემიძლია
დავიცვა ჩემი უფლებები!**

1.14. ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან:

იოსებ კლიმაშვილმა სასამართლოში უჩივლა გლეხ გიო წულიაშვილს. კლიმაშვილი ამტკიცებდა, რომ წულიაშვილმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და მის დასჯას მოითხოვდა. ილიამ გამოიძია ეს საქმე და დაადგინა, რომ წულიაშვილმა მართლაც გალანძღა კლიმაშვილი, ოღონდ ჯერ კლიმაშვილს დაურტყამს მისთვის თავში. აი, ილიას განაჩენი: „სისხლის სამართლის 194-ე მუხლის საფუძველზე მივუსაჯე – განთავისუფლდეს გიო წულიაშვილი ყოველგვარი სასჯელისაგან; სასამართლო ხარჯები გადაიხადოს მომჩივანმა, როგორც უსინდისო ბრალმდებელმა“.

უპასუხეთ კითხვებს!

- ვინ არის ბრალმდებელი?
- რატომ დაეკისრა მას სასამართლოს ხარჯების გადახდა?

შეურაცხყოფა – დამცირება, გალანძღვა, თავმოყვარეობის შელახვა.

შეურაცხყოფას მიაყენებს – დაამცირებს, გალანძღავს, თავმოყვარეობას შეულახავს.

ფიზიკური შეურაცხყოფა – ფიზიკური დამცირება, მაგ., დარტყმა, ცემა და სხვ.

მაგ., გლეხმა მას **სიტყვიერი შეურაცხყოფა** მიაყენა.

ახალგაზრდებმა ერთმანეთს **ფიზიკური შეურაცხყოფა** მიაყენეს.

მოსასმენი დიალოგები

I ტაში

I ნაწილი

დიალოგი: შამთხვევა ეზოში

ნიკა: გამარჯობა, სანდრო! ხომ არ გაგიგია, რა მოხდა? ეზოში ყველაფერი დანგრეული და გაფუჭებულია: სკამები, მაგიდა, საქანელა, საბავშვო სათამაშოებიც კი.

სანდრო: როგორ არ გაგიგია. მთელი ღამე არ მეძინა, ისეთი ხმაური იყო. ირაკლი ხომ იცო, ნინოს ქმარი, კარგი კაცია, მაგრამ გუშინ წყობიდან იყო გამოსული. ყვიროდა, ილანძღებოდა, ყველაფერს ამტვრევდა.

ნიკა: ეს შეგნებულად ჩაიდინა?

სანდრო: არა მგონია. მთვრალი ჩანდა. ამ დროს კაცს ჭკუა აღარ მოეკითხება.

ნიკა: რას ჰქვია, არ მოეკითხება?! ამას გამართლება აქვს?! რა ქნან ახლა ჩვენმა ბავშვებმა? ღირსია, რომ პოლიციას შევატყობინოთ. აბა, რა ვქნათ?! წესრიგის დაცვა პოლიციას ევალება.

სანდრო: კი, მაგრამ უხერხულია და მორალურადაც მიუღებელი.

ნიკა: რას ნიშნავს მიუღებელი?! აბა, ამაზე პასუხი ვინ უნდა აგოს?! არაფერი მოუვა. გაფრთხილებას მისცემენ და ცოტა ხანს მაინც შეშინდება. იქნებ სხვა დროს ასე აღარ მოიქცეს.

სანდრო: გეთანხმები, ასე უფრო სამართლიანი იქნება. მაგრამ დამტვრეულ სათამაშოებს რაღა ეშველება?

II ნაწილი

საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ

ეს კანონი ვრცელდება:

ა) საქართველოს მოქალაქეებზე;

ბ) საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე;

გ) პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის — 65 წლის — მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან.

პენსიის დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არაუგვიანეს ერთი წლისა.

III ნაწილი

დიალოგი: კონსტიტუცია – ძირითადი კანონი

სალომე: ნიკა, როგორ ხარ? სად მიდიხარ? ჩქარობ?

ნიკა: ლექციაზე, უნივერსიტეტში. დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი ლექცია მაქვს. წუთითაც კი ვერ დავიგვიანებ.

სალომე: რა თემაზეა?

ნიკა: საქართველოს კონსტიტუციაზე. ჩემთვის, როგორც იურისტისთვის, მისი ცოდნა სავალდებულოა.

სალომე: კონსტიტუციის გარდა, სხვა კანონებიც ხომ გვაქვს ქვეყანაში?

ნიკა: რა თქმა უნდა, მაგრამ კონსტიტუციას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს.

სალომე: ვითომ რატომ?

ნიკა: იმიტომ, რომ ძირითადია. არცერთი კანონი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას. კონსტიტუცია განსაზღვრავს, თუ როგორი მმართველობის ფორმაა ჩვენს ქვეყანაში.

სალომე: ეს ვიცი, ისტორიაში ვისწავლეთ. ისიც ვიცი, პირველი კონსტიტუცია როდის მიიღეს საქართველოში, 1921-ში. ცვლილებების შეტანა შეიძლება კონსტიტუციაში?

ნიკა: რა თქმა უნდა. აბა, ისე როგორ იქნება! ამისთვის საჭიროა, პარლამენტის დეპუტატების სამმა მეოთხედმა მისცეს ხმა.

სალომე: ო, ეს კი არ ვიცოდი. კარგი, ნიკა, ხელს აღარ შეგიშლი, წადი შენს ლექციაზე.

ნიკა: აბა, დროებით!

II ტაში

I ნაწილი

დიალოგი: არჩევნები

სალომე: დილა მშვიდობისა, ნიკა! ასე ადრეიანად არჩევნებზე მიდიხარ?

ნიკა: რა? არჩევნებზე? არ ვიცოდი, დღეს თუ არჩევნები იყო.

სალომე: არც კი გრცხვენია! თუ მოქალაქე ხარ, არჩევნებზე უნდა წახვიდე და შენი ვალი მოიხადო!

ნიკა: ისე ხშირადაა არჩევნები, რომ აღარც კი ვიცი, რისია?

სალომე: რისი კი არა, ვისი. პრეზიდენტის არჩევნებია. 5 წელიწადში კიდევ იქნება.

ნიკა: აბა, შარშან რისი არჩევნები იყო?

სალომე: შარშან პარლამენტის იყო. პარლამენტი, ხომ იცი, საკანონმდებლო ხელისუფლებაა, კანონებს იღებს. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული გუნდი კი ქვეყნის მთავრობას ადგენს. პრემიერ-მინისტრი მთავრობის მეთაურია.

ნიკა: ვიცი, ეს მეც კი ვიცი. კიდევ არის რამე სხვა არჩევნები?

სალომე: რა თქმა უნდა, ოთხ წელიწადში ერთხელ ადგილობრივი თავითმმართველობის არჩევნებია. სოფლები და ქალაქები ქალაქის მერსა და თვითმმართველობას ირჩევენ.

ნიკა: მეც რომ მივიდე არჩევნებზე, მჭირდება რამე?

სალომე: პირადობა.

ნიკა: თუკი დაკარგული მაქვს?

სალომე: მაშინ — პასპორტი.

ნიკა: სალომე, შენ მე დამაფიქრე, ხომ იცი! იქნებ მივიდე კიდევ. როგორ მითხარი?! მოქალაქეობრივი ვალიო?! ჰოდა, მეც მოვიხდი ამ ვალს. აბა, დროებით!

II ნაწილი

მმართველობის ფორმები ძველ საბერძნეთში

ძველ საბერძნეთში მმართველობის სამი ძირითადი ფორმა იყო: დემოკრატია, ერთმმართველობა და ოლიგარქია. ოლიგარქიის დროს სახელმწიფოს დიდგვაროვანი და მდიდარი მოქალაქეები მართავდნენ, ერთმმართველობის დროს — მეფეები, დემოკრატია კი ხალხის მმართველობა იყო. მმართველობის სამივე ფორმა საბერძნეთიდან მოდის.

ძველი საბერძნეთის გარდა, ძველ რომშიც ჰქონდათ პარლამენტის მსგავსი მმართველობის ორგანო. ყველაზე ჭკვიანი და გამოცდილი მოქალაქეები იკრიბებოდნენ და ერთად იღებდნენ ქვეყნისთვის საჭირო გადაწყვეტილებას.

თანამედროვე სახელმწიფოებმა ბევრი რამ აიღეს ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის მმართველობის ფორმებიდან. გამონაკლისი არც საქართველოა. თუ ხალხი პარლამენტის წევრებს ირჩევს, მაშინ მმართველობა საპარლამენტოა. დღეს საქართველოში საპარლამენტო მმართველობაა; ის პარტია კი, რომელიც არჩევნებს იგებს და პარლამენტში ყველაზე უფრო მეტი დეპუტატი ჰყავს, ქმნის მთავრობას. საქართველოში მთავრობის მეთაური პრემიერ-მინისტრია. ამრიგად, საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა.

III ნაწილი

დიალოგი თამაზე: თამარი — მომავალი იურისტი

ნიკა: თამარ, საღამო მშვიდობისა! როგორ ხარ, სად მიდიხარ?

თამარი: საღამო მშვიდობისა, ნიკა! გაკვეთილზე მივდივარ, წელს ჩაბარება მიწევს და ბევრი სამეცადინო მაქვს.

ნიკა: სად გინდა ჩაბარება?

თამარი: მინდა იურისტი გავხდე და საქართველოში ადამიანის უფლებებზე ვიზრუნო.

ნიკა: ძალიან კარგი. ამ კუთხით ალბათ ბევრია გასაკეთებელი.

თამარი: ნამდვილად. კანონის მიხედვით, სახელმწიფო ყველა მოქალაქეზე ზრუნავს, ყველა თანასწორუფლებიანია, მაგრამ

სამართალმცოდნეობა

ადამიანის უფლებები მაინც ირღვევა, კანონის წინააღმდეგ მოქმედება კი არ შეიძლება!

ნიკა: მაინც რა არის მთავარი პრობლემა?

თამარი: ალბათ ის, რომ ბევრმა ჩვენგანმა არ იცის, თუ რისი უფლებები აქვს. საქართველოს კანონმდებლობით თითოეულ მოქალაქეს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლება, თითოეულს შეუძლია თავისი უფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართოს.

ნიკა: სასამართლოს გარდა, კიდევ ვინ იცავს მოქალაქეთა უფლებებს?

თამარი: სახალხო დამცველი. სახალხო დამცველისადმი მიმართვა ძალიან მარტივია – მისი ოფისი არა მარტო თბილისშია, არამედ – საქართველოს სხვა ქალაქებშიც. ომბუდსმენი უკანონოდ ხელს არავის დააფარებს.

ნიკა: ძალიან კარგი. აბა, წარმატებებს გისურვებ! დარწმუნებული ვარ, კარგი იურისტი გამოხვალ!

თამარი: გმადლობ, ნიკა.

III თავი

I ნაწილი

დიპლომი: შეხვედრა ბანაში

ნიკა: სალამი, ლუკა! როგორ ხარ?

ლუკა: კარგად! ბანკში მოვედი. უნივერსიტეტში განცხადება დამაწერინეს, სწავლის გადასახადს თუ არ გადავიხდი, გარეთ აღმოვჩნდები.

ნიკა: მე კი სესხის აღება მინდა, მაგრამ ვერ გავერკვე, ვისთან უნდა მივიდე. მონიტორზე წერია – სესხის აღება „იურიდიული პირებისთვის“ და „ფიზიკური პირებისთვის“. ვერ ვხვდები, მე ფიზიკური პირი ვარ თუ იურიდიული?

ლუკა: რა თქმა უნდა, ფიზიკური პირი ხარ, თუ არა გაქვს რამე ფირმა გახსნილი.

ნიკა: არა, რა ფირმა?! მსგავსი არაფერი მაქვს.

ლუკა: ჰოდა, ფიზიკური პირი ხარ. იურიდიული პირი ფირმა ან ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია ბიზნესი ან რამე სხვა სამეწარმეო საქმიანობა ჰქონდეს. გააჩნია, წესდებაში რა უწერია.

ნიკა: ეს რაღაა?!

ლუკა: წესდებაში ყველაფერი წერია ამ ფირმის შესახებ: რას საქმიანობს, როგორ მართავენ, რა მისამართზე მდებარეობს, დირექტორი ვინ არის და ა.შ.

ნიკა: გასაგებია, დავდგები ფიზიკური პირების რიგში.

ლუკა: მე შენ მერე ვიქნები.

II ნაწილი

თემატიკა: კანონი მიწის რეგისტრაციის შესახებ

გიორგის იურისტთან შეკითხვები აქვს თავისი მიწის ნაკვეთის შესახებ. იგი ამ ნაკვეთს 20 წელზე მეტია ფლობს და ამუშავებს: ერთ ნაწილზე ხორბალი მოჰყავს, მეორე ნაწილს საძოვრად იყენებს. მთელმა სოფელმა იცის, რომ ეს მიწა გიორგისია, მიუხედავად ამისა, ერთმა მეზობელმა დავა დაუწყო, რომ მიწის ნაკვეთი მას არ ეკუთვნის, სავარაუდოდ, გაიგო, რომ გიორგის მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში არ ჰქონდა დარეგისტრირებული. იურისტმა გიორგის საქმე შეისწავლა და ახლა უნდა აუხსნას მას, რამდენად შესაძლებელია ამ ნაკვეთის დაკანონება.

იურისტი: ბატონო გიორგი, რამდენი ხანია, რაც ამ მიწის ნაკვეთს ამუშავებთ?

გიორგი: 20 წელზე მეტი იქნება. ჩემი სახლის გვერდით მდებარეობდა და მისი დამუშავება დავიწყე. ნაკვეთის შუაში ბუჩქებიც მოვჭერი და იქაურობა გავასუფთავე. მაშინ არც მომსვლია აზრად, საჯარო რეესტრში გამეფორმებინა. ისე დამემართა, როგორც პატარა ბავშვს მოუვა ხოლმე.

იურისტი: თქვენი სახლი ან რამე სხვა შენობა თუ არის ამ ნაკვეთზე?

გიორგი: დიახ, სახლი მაქვს აშენებული. გამიკეთებია, გამილამაზებია და ახლა უნდა წამართვან?!

იურისტი: ნუ ნერვიულობთ! გილოცავთ, მიწის ნაკვეთი თქვენ გვეკუთვნით: კანონის თანახმად, თუ ფიზიკურ პირებს მიწის ნაკვეთი 2007 წლის 15 სექტემბრამდე აქვთ დაკავებული, ამუშავებენ და მასზე საცხოვრებელი სახლი უდგათ, მათ ეს ნაკვეთი უკანონდებათ. იმ კვირისთვის, რასაკვირველია, ყველა საჭირო დოკუმენტს მოვამზადებ, რომ თქვენ საკუთრების უფლება მიიღოთ.

III ნაწილი

დიალოგი: საბელაშვილო საუბარი ბანკის ოპერატორთან

ოპერატორი: გამარჯობა, თუ შეიძლება, ანას სთხოვეთ!

ანა: ანა ვარ, გისმენთ!

ოპერატორი: ბანკიდან გაწუხებთ.

ანა: რა?... რაშია საქმე?... ისეთი მკაცრი ხმა გაქვთ, რომ ენა დამეხება!

ოპერატორი: ნუ ნერვიულობთ! უბრალოდ, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენ მიმართ პრეტენზია გვაქვს, სესხის გადახდის ვადას უკვე მესამედ გადააცილეთ.

ანა: დიდი ბოდიში, სულ გადამავიწყდა. ძალიან ხომ არ დამიგვიანია ამჯერად?

ოპერატორი: არა, მხოლოდ ერთი დღე გადააცილეთ, მაგრამ ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებული ვარ, შეგატყობინოთ ამის შესახებ.

ანა: დიდი მადლობა შეხსენებისთვის! დღესვე გადავიხდი. ხელშეკრულება დავკარგე და გადახდის რიცხვები მაგიწყდება ხოლმე.

ოპერატორი: ერთი დღე დავგვიანება არ არის პრობლემა, თუმცა ისიც უნდა შეგახსენოთ, რომ ვალიც უნდა გადაიხადოთ და ჯარიმაც დავგიანებებისათვის.

ანა: კარგი, სამსახურიდან გამოვალ თუ არა, თქვენი ბანკის ოფისში შემოვივლი და გადავიხდი.

ოპერატორი: კარგად ბრძანდებოდეთ!

IV თავი

I ნაწილი

დიალოგი თამაზე: ზარი იურისტთან

მოქალაქე: გამარჯობა, იურიდიული ფირმაა?

ოპერატორი: დიახ, რით შეიძლება დაგეხმაროთ?

მოქალაქე: იურისტის კონსულტაცია მჭირდება.

ოპერატორი: გასაგებია! რა საკითხებზე გინდათ იურისტთან საუბარი?

მოქალაქე: მამა გარდამეცვალა სულ ცოტა ხნის წინ. ვერ მოასწრო პენსიის მიღება. მეზობელმა მითხრა, რომ მე მისი მემკვიდრე ვარ და უფლება მაქვს პენსია მოვითხოვო. მაინტერესებს, რა უნდა გავაკეთო და ვის მივმართო?

ოპერატორი: მე გიბასუხებთ, მეც იურისტი ვარ. კანონი გაძლევთ პენსიის აღებას უფლებას. მიმართეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს და წარადგინეთ მამის გარდაცვალების ცნობა.

მოქალაქე: კიდევ ერთი კითხვა მაქვს: ბანკიდან სესხის აღება მინდა, ბიზნესი უნდა დავიწყო. როგორ ჯობია მოვიქცე, როგორც კერძო პირმა, ისე ავიღო სესხი თუ ფირმა გავხსნა?

ოპერატორი: სესხის პირობები ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის განსხვავებულია. დამოკიდებულია იმაზე, რისთვის იღებთ სესხს და რომელ ბანკში.

მოქალაქე: დიდი მადლობა!

ოპერატორი: არაფრის!

II ნაწილი

თემატიკა: იურისტის ერთი დღე

ანა იურისტი. მას ყოველდღე ძალიან ბევრი საქმე აქვს. დღესაც საკმაოდ დაკავებულია. დილას გიორგის ხვდება. გიორგის მამა გარდაეცვალა. მამამ კუთვნილი პენსიის მიღება ვერ მოასწრო. გიორგის, როგორც მის მემკვიდრეს, სურს მოითხოვოს მამის პენსია. კანონი პენსიის შესახებ მას ამის უფლებას აძლევს.

შეხვედრის შემდეგ ანას უნივერსიტეტში აქვს ლექცია თემაზე – საქართველოს ძირითადი კანონი. საქართველოს პირველი კონსტიტუცია 1921 წელს მიიღეს. ეს ფაქტი და მასთან დაკავშირებული მოვლენები სტუდენტებს ძალიან აინტერესებთ.

ლექციის შემდეგ ანა პირდაპირ ტრენინგზე მიდის. მომავალ კვირას საქართველოში არჩევნებია. ანამ საარჩევნო კომისიის წევრებს მათი უფლებები და მოვალეობები უნდა განუმარტოს.

საღამოს ანა ოფისში უნდა დაბრუნდეს. იქ კიდევ ერთი შეხვედრა აქვს, ამჯერად – თავის მეზობელ ლევანთან. ლევანს იურისტის დახმარება სჭირდება. ის ბიზნესის დასაწყებად ბანკიდან სესხის გამოითანას აპირებს. ლევანი ფიზიკური პირია, თუმცა, თუ ფირმას გახსნის, იურიდიული პირიც გახდება. მას აინტერესებს იურისტის აზრი, რა იქნება უმჯობესი მისი ბიზნესისთვის – სესხი აიღოს როგორც ფიზიკურმა თუ როგორც იურიდიულმა პირმა.

V თავი

I ნაწილი

დიალოგი თემაზე: კანონი ქორწინების შესახებ

ელენე: ნიცა, ხომ არ იცი, სალომე სკოლაში რატომ არ დადის? რამდენი ხანია არ მინახავს.

ნიცა: უსიამოვნებები აქვს ოჯახში. არ უშვებენ სკოლაში... ყველგან პრობლემები აქვს.

ელენე: გათხოვებას რომ აპირებდა, ისევ ის ამბავია, ხომ?

ნიცა: კი, ძალიან სერიოზულად არის საქმე.

ელენე: რა? არ აძლევენ ნებას?

ნიცა: მშობლები კი, მაგრამ საკითხი სასამართლოში უნდა გადაწყდეს. ქორწინება საქართველოს კანონმდებლობით მხოლოდ 18 წლიდანაა ნებადართული.

ელენე: მერე არ შეაქვთ სასამართლოში?

ნიცა: არა, სასამართლო ასეთ უფლებას მხოლოდ 16 წლის შემდეგ აძლევს, სალომე კი თხუთმეტი წლისაა. 16 წლამდე ქორწინება სისხლის სამართლის დანაშაულია. მიკვირს, როგორ დაეთანხმნენ მშობლები.

ელენე: ტრადიციის გამო. მათთვის ადრე გათხოვება მისაღებია, ჩვეულებრივი ამბავია. ალბათ, ამიტომაც არ უშვებდნენ სკოლაში. ქორწილისთვის ემზადებოდნენ.

ნიცა: სწორედ ასე იყო. სალომეს გათხოვებაც უნდოდა და სკოლის დამთავრებაც. ამის გამო გაგიჟდა სალომეს მამა. ბიჭის მშობლებიც წინააღმდეგნი იყვნენ.

ელენე: საბოლოოდ რა ქნეს?

ნიცა: ზუსტად რა მოხდა, არ ვიცი. თამარ მასწავლებელმა მითხრა, რომ ამ საქმეს იძიებენ. მგონი, სკოლამ მიაწოდა ინფორმაცია სოციალური დაცვის სამსახურს.

ელენე: ძალიან კარგი, იქნებ გადააფიქრებინონ. გარდა იმისა, რომ ასეთ ადრეულ ასაკში ქორწინება დანაშაულია, ბევრი სხვა უარყოფითი მხარეც აქვს: განათლებას სრულყოფილად ვერ იღებ, ვერ ვითარდები, ბავშვობაშივე უამრავი საზრუნავი გიჩნდება. არ მესმის, ეს როგორ უნდა გინდოდეს.

ნიცა: ძალიან მეცოდება სალომე, ამდენი სირთულის პირისპირ მარტო დარჩა.

II ნაწილი

თემატიკა: იურისტის პირადი

ტასო იურისტი. ის საოჯახო სამართლის სფეროში მუშაობს. ყოველდღიურად ტასოს შეხვედრები აქვს თავის კლიენტებთან. დღესაც ტასოსთან კონსულტაციაზე მარიაში მივიდა. მარიამმა სულ ცოტა ხნის წინ იქორწინა, სხვათა შორის, ახლა ბავშვს ელოდება და სურს, რომ ყველა იურიდიული საკითხი მოაგვაროს.

მარიამი: მე და ჩემი ქმარი ბევრს ვდავობთ და ვერაფრით შევთანხმდით. მას სურს ჩვენს შვილს თავისი გვარი მისცეს, მაგრამ მეც მინდა, რომ ჩემი გვარი ჰქონდეს და როგორ შეიძლება ეს საკითხი გადაწყდეს?

ტასო: ძალიან მარტივად. სახელის შერჩევა მშობლების ურთიერთშეთანხმებით ხდება და ეს თქვენი გადასაწყვეტია, გვარის შემთხვევაში კი შეგიძლიათ, რომ მშობლებმა თქვენ-თქვენი გვარი მისცეთ და ბავშვს ორი გვარი ექნება.

მარიამი: დიდი მადლობა, ეს არ ვიცოდი. ორივეს გვეგონა, რომ ბავშვი ან დედის, ან მამის გვარზე უნდა ყოფილიყო. თქვენი წინადადება იდეალურია. არც მე და არც ჩემს ქმარს არ მოგვიწევს არაფრის დათმობა.

ტასო: რა თქმა უნდა, თუ მეუღლე თანახმა იქნება, რომ ბავშვს თქვენი გვარიც ჰქონდეს. ზოგიერთი ამის წინააღმდეგაცაა.

მარიამი: ამაზე ალბათ მოვილაპარაკებთ. კიდევ ერთი საკითხი დამრჩა. შევთანხმდით, რომ უკეთესი იქნება საქორწინო კონტრაქტი გავაფორმოთ.

ტასო: ძალიან კარგი აზრია. ისეთი ხელშეკრულება გავაფორმოთ, როგორც ევროპის ქვეყნებშია მიღებული. კონტრაქტი საშუალებას მოგცემთ, რომ წინასწარ შეთანხმდეთ ყველაფერზე.

მარიამი: ის ქონება, რომელიც ქორწინებამდე გვქონდა, პირად საკუთრებად რჩება ხომ?

ტასო: რა თქმა უნდა. მომწონს თქვენი გადაწყვეტილება, კონტრაქტი ორივე თქვენგანის უფლებებს დაიცავს.

III ნაწილი

დიალოგი თემაზე: ალიმენტი

დღეს ტასო კლიენტს ხვდება. კლიენტი ქალია, ახლახან განქორწინებული. მას იურისტის დახმარება სჭირდება.

ნინო: როგორმე უნდა დამეხმაროთ. მირჩიეთ, როგორ უნდა მოვიქცე, გადაწყვეტილება უკვე მივიღე – მე და ჩემი ყოფილი მეუღლე ერთ ოჯახში აღარ ვიცხოვრებთ. არც სამსახური მაქვს და ორი მცირეწლოვანი ბავშვით ვრჩები. კანონით არ არის

გათვალისწინებული, რომ რამე ფორმით დახმარება მივიღო?

ტასო: დამშვიდდით, ნუ ღელავთ. კანონის მიხედვით, თქვენს მეუღლეს ალიმენტის გადახდა მოუწევს. ასე რომ, ბავშვების **აღზრდის სირთულე მხოლოდ თქვენ არ დაგაწევბათ.**

ნინო: მაინც რომ არ მოისურვოს ალიმენტის გადახდა?

ტასო: არა, ალიმენტის გადახდას თქვენს ქმარს კანონი ავალდებულებს. თუ არ გადაიხდის, შეგიძლიათ სასამართლოს მიმართოთ. ალიმენტის გარდა მას ევალება, რომ დამატებით ხარჯებშიც შემოგეშველოთ.

ნინო: დამატებით ხარჯებში რა იგულისხმება?

ტასო: ბავშვის ავადმყოფობა, სწავლის ხარჯი ან რამე სხვა, რაც ბავშვის აღზრდის აუცილებელ და სერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ნინო: ცოტა გულზე მომეშვა. ვფიქრობდი, ამ საქმეს მაინც არაფერი ეშველება და პირში წყალს დავიგუებ-მეთქი.

ტასო: ერთადერთი, რაც თქვენთვის არასასიამოვნო იქნება, არის ის, რომ თქვენ და თქვენი ყოფილი ქმარი გადასახდელი ალიმენტის რაოდენობაზე უნდა შეთანხმდეთ. დაელაპარაკეთ მას და მერე მისი აზრი მეც გამაცანით.

VI თავი

I ნაწილი

ტექსტი თემაზე: ბავშვთა შრომა საქართველოში

საქართველოში დღეს 24 ათასზე მეტი ბავშვი მუშაობს. მათი დიდი ნაწილი რთულ სამუშაოს ასრულებს. ბავშვებს გაჭირვება აიძულებს შრომას. მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულება მათ უმეტესად სოფელში უწევთ.

საქართველოში დასაქმებისთვის დაშვებული მინიმალური ასაკი 16 წელია. 14 წლამდე ბავშვებს კი, კანონის მიხედვით, მხოლოდ სპორტში, კულტურასა და ხელოვნებაში დასაქმების უფლება აქვთ.

კანონის მიხედვით 16-17 წლის ახალგაზრდები კვირაში მხოლოდ 36 საათს შეიძლება მუშაობდნენ, 14-15 წლის ასაკში კი მათ კვირაში 24 საათი მუშაობის უფლება აქვთ.

იკრძალება ბავშვების ღამით მუშაობა – 22 საათიდან დილის 6 საათამდე.

საქართველოში ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა ბავშვები უკანონოდ არ დაასაქმონ.

II ნაწილი

ტექსტი თემაზე: დასაქმებულის უფლებები შრომის კოდექსში

კანონი დამსაქმებელს ავალბებს, რომ დასაქმებულს მიაწოდოს ინფორმაცია სამუშაოს პირობების შესახებ.

თუ ადამიანი სამ თვეზე მეტი ხნით იწყებს სამსახურს, მაშინ მან წერილობითი ხელშეკრულება უნდა გააფორმოს. ხელშეკრულებაში უნდა ეწეროს, როდის იწყება სამუშაო და როდის მთავრდება.

ყველა ხელშეკრულება უნდა ეთანხმებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

თუკი დამსაქმებელი დასაქმებულს სამსახურიდან უშვებს, მან 30 დღით ადრე უნდა გააფორმოს ამის შესახებ. გარდა ამისა, დამატებითი თანხაც უნდა გადაუხადოს, ყველაზე ცოტა, ერთი თვის ხელფასი.

ის ადამიანები, რომლებიც მძიმე და საშიშ სამუშაოებზე მუშაობენ, იმსახურებენ 10 დღით მეტ შვებულებას.

III ნაწილი

დიალოგი თემაზე: საუბარი ქარხანაში

ნიკა: სანდრო, შენი ნახვა მინდოდა. რას იზამ? შემოუერთდები ჩვენს გაფიცვას?

სანდრო: რას?

ნიკა: გაფიცვას! თანამშრომლები უკმაყოფილო ვართ. ხვალიდან აღარ ვიმუშავებთ, გაფიცვას ვიწყებთ.

სანდრო: კი მაგრამ, რატომ?

ნიკა: ხელფასი გვიგვიანდება. ძალიან ცუდ პირობებში ვმუშაობთ. საშიშ საქმეს ვაკეთებთ. კანონით დამატებითი შვებულება უნდა მოგვცენ და არ გვაძლევენ. ახლა კიდევ ერთ-ერთ ჩვენს მუშას რა მოუვიდა, ხომ ნახე?!

სანდრო: არა, არაფერი ვიცი.

ნიკა: დირექტორი სამსახურიდან უშვებს. ხელფასის დაგვიანების გამო მუშამ დირექტორთან დაიჩივლა, ის კი გაბრაზდა და სიტყვა შეაწყვეტინა, არც კი მოუსმინა. არადა, კანონით მას არ აქვს უფლება, ამ მიზეზით გაუშვას სამსახურიდან. თანაც ერთი თვით ადრე უნდა გააფორმოს და კომპენსაციაც მისცეს.

სანდრო: კომპენსაციაში რას გულისხმობ?

სამართალმცოდნეობა

ნიკა: სამსახურიდან თუ გიშვებენ, ერთი თვის ხელფასი მაინც გეკუთვნის დამატებით.

სანდრო: ეს უსამართლობაა. წამოვალ, აბა, რა! ყველა ერთად უნდა გავიფიცოთ.

ნიკა: მერე რა, რომ ის დირექტორია, მუშებსაც ჩვენი უფლებები გვაქვს. იურისტებიც ჩვენს მხარეს არიან.

VII ტაში

I ნაწილი

დიალოგი თემაზე: სამოქალაქო სამართლის საქმე

(სატელეფონო საუბარი)

ლუკა: თაკო, როგორ ხარ? მისმინე, უცებ უნდა გითხრა. დღეს შეხვედრამ ვეღარ მოვდივარ. ბოდიში, ხვალისთვის გადავდოთ.

თაკო: კარგი, რა პრობლემაა, ხვალ იყოს. ერთი ეს მითხარი, ასე რატომ წერვიულობ? ხომ მშვიდობაა?

ლუკა: კი, როგორ არა. მოულოდნელად საქმე გამომიჩნდა და სასწრაფოდ სასამართლოში უნდა წავიდე. ძალიან მეჩქარება.

თაკო: შენ გეხება რამე?

ლუკა: მე არა, ჩვენს კომპანიას. ერთი თვის წინ თანამშრომელი გავათავისუფლეთ. არ მუშაობდა, სამსახურს აცდენდა, აგვიანებდა. სამჯერ მივეცით საყვედური და მაინც ვერაფერი გაიგო.

თაკო: ჰო, მასხოვს, მიყვებოდი. ახალგაზრდა ბიჭი რომ იყო, ეგ არ არის?

ლუკა: კი, ეგ არის. ჰოდა, ახლა, ერთი თვის მერე, სასამართლოში ჩივის, თითქოს უკანონოდ გავათავისუფლეთ სამსახურიდან და, ჩემი ამრით, კომპენსაციასაც მოითხოვს.

თაკო: შენ რა შუაში ხარ?

ლუკა: გარდა იმისა, რომ ჩვენი კომპანიის იურისტი ვარ და მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება გავაფორმე, ხელს მადებს, რომ თითქოს მე და დირექტორი შევთანხმდით და პირადი წყენის გამო გავუშვით სამსახურიდან.

თაკო: რამე საბუთი თუ აქვს?

ლუკა: არანაირი, არც მოწმე ჰყავს. ახლა სასამართლოში მივდივარ, რომ საქმის მასალებს გავეცნო. დაგირეკავ საღამოს.

თაკო: კარგად!... არ ინერვიულო!

II ნაწილი

დიალოგი თემაზე: საუბარი ადვოკატთან

ლუკა იურისტია. დღეს მას შეხვედრა აქვს ერთ-ერთ კლიენტთან, რომელსაც სურს, რომ ლუკა მამისის ადვოკატი იყოს.

ლუკა: გამარჯობა, დაბრძანდით!

კლიენტი: მადლობა მიღებისათვის! როგორც ტელეფონზე გითხარით, ძალიან მინდა, რომ მამაჩემის ადვოკატი იყო.

ლუკა: სანამ შეგხვდებოდით, მე მამათქვენის საქმეს გავცვანი. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი თანამშრომლობა არ გამოვა.

კლიენტი: კი მაგრამ, რატომ? ფული პრობლემა არ არის, რამდენსაც მეტყვით, იმდენს გადავიხდი.

ლუკა: ჯერ ერთი, მამათქვენის შემთხვევა სისხლის სამართლის სფეროს განეკუთვნება, მე კი სამოქალაქო სამართალში ვმუშაობ.

კლიენტი: კი, მაგრამ მაინც რომ სცადოთ?!

ლუკა: არა, მას დაზარალებული უჩივის, ბევრი საბუთი აქვს მის წინააღმდეგ, მოწმეებიც ადანაშაულებენ, პროკურორიც გამოცდილი კაცია. ასე რომ, ამ საქმეს მე ხელს ვერ მოვკიდებ.

კლიენტი: კიდევ სხვა რამე მიზეზიც გაქვთ?

ლუკა: დიახ. მამათქვენი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულშია ბრალდებული. თანაც ეს დანაშაული შემთხვევით ან გაუფრთხილებლად კი არა, განზრახ არის ჩადენილი. ასეთ საქმეებს მე ხელს არ ვკიდებ. ვერ მოვიგებ. უკაცრავად.

III ნაწილი

სიუჟეტი თემაზე: არასრულწლოვანთა დანაშაული

შსს-ს ოფიციალური გვერდი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლნისში დამნაშავეთა ჯგუფი დააკავა. ქვემო ქართლის პოლიციის თანამშრომლებმა მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია, ჩაატარეს გამოძიება და დააკავეს ორი პირი: წარსულში ნასამართლევნი ვ. კ. და არასრულწლოვანი გ. მ. დაკავებულებს აღმოაჩნდათ ცეცხლსასროლი იარაღი. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ბრალდებული ბოლნისში მცხოვრები

ბიზნესმენის დაყაჩაღებას გეგმავდა.

პოლიციის კომენტარი:

პოლიციელი: დავაკავეთ ორი ადამიანი. ერთ-ერთი უკვე მესამედ არის ყაჩაღობის გამო დაჭერილი, მეორე არასრულწლოვანია. კანონის მიხედვით, ის თანამონაწილეა. ყაჩაღობას არ აპირებდა, მაგრამ იცოდა დანაშაულის შესახებ და არ თქვა, არ ითანამშრომლა სახელმწიფოსთან და დაფარა დანაშაული.

ჟურნალისტი: როგორც ვიცი, თანამონაწილე არასრულწლოვანია და მას ძლიერი მფარველი ჰყავს.

პოლიციელი: მფარველის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ის 17 წლის არის და, თუ ბრალი დაუმტკიცდა, მისი სასჯელი ისედაც შემსუბუქდება. გმადლობთ, სულ ეს იყო ჩემი კომენტარი.

VIII თავი

I ნაწილი

დიალოგი თამაზე: შრომითი ხელშეკრულება

დირექტორისა და ფირმის იურისტის საუბარი:

დირექტორი: დღეს ბევრი საქმე გვაქვს. სამუშაო წელი იწყება და ახალი თანამშრომლები აგვყავს. ხელშეკრულებები უნდა გავუფორმოთ.

იურისტი: ხელშეკრულებები უკვე მზად არის.

დირექტორი: ძალიან კარგი. კანონმდებლობას ხომ ყველაფერში ეთანხმება ჩვენი ხელშეკრულებები?

იურისტი: რა თქმა უნდა. რამდენიმე კაცი მხოლოდ ორი თვით აგვყავს სამუშაოდ და მათთან წერილობით ხელშეკრულებას არ ვაფორმებთ.

დირექტორი: რატომ? რა ხდება? გამონაკლისია რამე?

იურისტი: კანონის მიხედვით, თუ დასაქმებული სამ თვეზე ნაკლები ხნით იწყებს მუშაობას, შესაძლოა ხელშეკრულება არ გაუფორმდეს.

დირექტორი: კომპენსაციაზე ხომ მიუთითე ხელშეკრულებაში?

იურისტი: დიახ. თუ ვინმეს სამსახურიდან გაშვებას გადაწყვეტთ, 1 თვის ხელფასი კომპენსაციად ეკუთვნის. თან წინასწარ უნდა გავაფრთხილოთ, 30 დღით ადრე მაინც.

დირექტორი: ჰო, ეგ საკითხი მოაგვარე. შარშან გაფიცვა რომ მოაწყვეს თანამშრომლებმა, ბევრი ვიზარალეთ.

იურისტი: დიახ, ახლა ხელშეკრულებაში დასაქმებულთა უფლებები და მოვალეობები კარგად არის გაწერილი.

დირექტორი: ძალიან კარგი, ხელს რომ მოაწერენ, შემატყობინე, რომ ხელფასი დროზე ჩავურიცხოთ.

II ნაწილი

თექვსი: ნიკას სააგენტო

ნიკა იურისტია და თავისი სააგენტო აქვს. სააგენტოში მას ყოველდღე ბევრი კლიენტი ჰყავს. ნიკა კონსულტაციას უწევს დაქორწინების მსურველებს. პირველ რიგში, იგი მოქალაქეებს უხსნის, რომ ქორწინება მნიშვნელოვანი სამოქალაქო ურთიერთობაა და ორივე მხარემ ქორწინებამდე ყველაფერი კარგად უნდა მოიფიქროს. ნიკას სააგენტო კლიენტებს ეხმარება საქორწინო ხელშეკრულებების დადებაში. საქორწინო ხელშეკრულება ეხმარება ადამიანებს, რომ ორივე მხარემ იცოდეს თავისი უფლებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ეს განქორწინების შემთხვევაში ხდება.

ნიკას სააგენტო ყველა მსურველს ემსახურება. ერთადერთი გამონაკლისი არასრულწლოვანები არიან. ქორწინება მხოლოდ 18 წლის შემდეგ არის ნებადართული. თუმცა, საქართველოში ზოგმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ არასრულწლოვანთა ქორწინება სისხლის სამართლის დანაშაულია. დამნაშავე კანონის წინაშე აგებს პასუხს. ის შესაძლოა ციხეშიც მოხვდეს. ნიკამაც ამიტომ გადაწყვიტა, რომ 18 წლამდე პირებს არ მოემსახუროს.

შუალედური შეფოქების ტესტი

IV ტაჰი

1. გაიაზრეთ ტექსტი: (6 ქულა)

გარიგების დროს გამოიხატება ფიზიკურ პირთა ნება. ეს ნება შეიძლება გამოხატოს ერთმა, ორმა ან მეტმა პირმა. გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით. ჩვენ ყოველდღიურად ვდებთ გარიგებას ისე, რომ არ ვუფიქრებთ მას. მაგალითად, ვყიდულობთ წიგნს, ვმგზავრობთ, ვიხდით კომუნალურ გადასახადებს. გარიგება ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს ზეპირი (მაღაზიაში ვიყიდეთ პური) და წერილობითი (გავაფორმეთ ხელშეკრულება საჯარო რეესტრში ან ნოტარიუსთან).

გარიგება შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი. ცალმხრივი გარიგებისათვის საკმარისია ერთი პირის ნება. მისი მაგალითია ანდერძი. ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგება ორი ან მეტი პირის ნებას გამოხატავს. ასეთ გარიგებას, თუ იგი წერილობით გაფორმდა, ხელშეკრულებას უწოდებენ, მაგალითად, ასეთია ქირავნობის ხელშეკრულება (დამქირავებელი და გამქირავებელი – ორივე ადასტურებს თავის ნებას ხელმოწერით). გარიგება ირღვევა, თუ ეწინააღმდეგება კანონს, ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს, ხელს უშლის საზოგადოებრივ წესრიგს, დაცული არ არის გარიგების ფორმა, დადებულია მოტყუებით, დადებულია მცირეწლოვნის მიერ. ასეთი გარიგება არ გამოდის უფლებებსა და ვალდებულებებს.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რა და რა სახის შეიძლება იყოს გარიგება ფორმის მიხედვით?
2. სად ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება?
3. რა და რა სახის შეიძლება იყოს გარიგება პირთა რაოდენობის მიხედვით?
4. რა არის ცალმხრივი გარიგების მაგალითი?
5. რა სახის ხელშეკრულებებს იცნობთ?
6. რა შემთხვევაში ირღვევა გარიგება?

2. თქვენ გსურთ ბინის ყიდვა თბილისში. რას აკეთებთ? ჩამოთვლილთაგან

აირჩიეთ 4 პასუხი!

(4 ქულა)

- ა. განცხადებების მიხედვით ეძებთ ბინას ინტერნეტში.
- ბ. მიმართავთ ომბუდსმენს.
- გ. მიმართავთ მოსამართლეს.
- დ. როგორც მყიდველი, დებთ ცალმხრივ გარიგებას.
- ე. დებთ ორმხრივ ხელშეკრულებას (მყიდველსა და გამყიდველს შორის).
- ვ. დებთ მრავალმხრივ ხელშეკრულებას გამყიდველთან და მის მეზობლებთან.
- ზ. აფორმებთ გირავნობის ხელშეკრულებას.
- თ. აფორმებთ ქირავნობის ხელშეკრულებას.
- ი. აფორმებთ ნასყიდობის ხელშეკრულებას.
- კ. ხელშეკრულებას აფორმებთ ნოტარიუსში.
- ლ. დებთ მარტივ წერილობით ხელშეკრულებას სახლში.
- მ. ხელშეკრულებას აფორმებთ საჯარო რეესტრში.

3. უპასუხეთ კითხვებს ანტონიმების გამოყენებით!

(7 ქულა)

ნიმუში: – ბანკიდან კრედიტის გამოტანა ძნელია? – არა, ადვილია.

1. – მოხუცი, რომელიც ვერ იხდის კომუნალურ გადასახადს, დამნაშავეა? – არა, _____.
2. – სამართლიანია ის, ვინც ამდენი თანამშრომელი უმიზეზოდ გაათავისუფლა? – არა, _____.
3. – ამ სახელმწიფოში თავს დაუცველად გრძნობთ? – არა, _____.

4. – წითელი არმია საქართველოში ჩვენდა საბედნიეროდ შემოვიდა? – არა, _____.
5. – თქვენს ორგანიზაციაში წესრიგია? – არა, _____.
6. – შენი ადვოკატი ცნობილია? – არა, _____.
7. – სასამართლო პროცესი დაუჩქარებულად მიმდინარეობს? – არა, _____.

4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვა „გარიგება“ სხვადასხვა ბრუნვაში! (8 ქულა)

1. _____ არის ერთი ან რამდენიმე პირის ნების გამოხატულება.
2. დირექტორთან _____ შედეგი გამოიღო, ჩვენ მუშაობა გავაორმაგეთ, მან ხელფასი მოგვიმატა.
3. ძმის მკვლეელი ეშმაკთან დებს _____.
4. ლია _____ გაათხოვეს.
5. ნონა _____ მსხვერპლი აღმოჩნდა.
6. ჩვენმა ჯგუფმა _____ დადო სამშენებლო კომპანიასთან.
7. _____ მიუხედავად, მშენებლებმა პირობა დაარღვიეს.
8. _____ დადება ძნელია, დარღვევა – ადვილი.

5. ჩასვით ზმნები სწორი ფორმით! (5 ქულა)

გადაწყვეტა	დავალდეულება
დაცვა	მიღება
უზრუნველყოფა	

ნიმუში: ნიკა ახალ მანქანას ყიდულობს.

1. ბავშვს თავისი მასწავლებელი ჰყავს, შენ რატომ _____, რომ ისწავლოს?
2. მოქალაქე _____ თავის უფლებებს.
3. შენ მოსამართლე ხარ, ამიტომ _____ სხვადასხვა სახის დავებს.
4. მე დირექტორი ვარ, ამიტომ _____ ჩემს სამსახურში წესრიგს.
5. სასამართლო პროცესზე მოსამართლე _____ გადაწყვეტილებას.



6. მოსმენა

ტექსტი: იურისტის ერთი დღე

მოსმენილი ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს: (8 ქულა)

1. რა პროფესიისაა ანა? _____
2. სად კითხულობს ანა ლექციებს? _____
3. რა არის მისი ლექციის თემა? _____
4. სად მიდის ანა ლექციის შემდეგ? _____
5. როდის არის საქართველოში არჩევნები? _____
6. რა უნდა აუხსნას ანამ საარჩევნო კომისიის წევრებს? _____
7. ვინ არის ლევანი? _____
8. რა სურს ლევანს? _____

7. შემოზახეთ სწორი პასუხი!

(2 ქულა)

1. გარდაცვლილი მამის კუთვნილი პენსიის მიღების უფლებას გიორგის აძლევს:

- ა. იურისტი;
- ბ. სახელმწიფო კანონი პენსიის შესახებ;
- გ. პრეზიდენტი;
- დ. პარლამენტი.

2. ფირმის გახსნის შემდეგ ლევანს შეუძლია სესხი მოითხოვოს, როგორც:

- ა. საქართველოს მოქალაქე;
- ბ. ფიზიკურმა ფირმა;
- გ. იურიდიულმა პირმა;
- დ. ანას მემობელმა.

8. კიდეც ერთხელ მოუსმინეთ ტექსტს და მოკლედ აღწერეთ ანას სამუშაო დღე

(გამოიყენეთ დაახლოებით 40-60 სიტყვა)!

(10 ქულა)

9. უპასუხეთ კითხვებს და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ფრჩხილებში მითითებული გზნები!

(5 ქულა)

- 1. ბრალდებულის ადვოკატებმა მოსამართლეს ახალი სასამართლო პროცესის დანიშვნის თხოვნით _____
_____ [მიმართავს] რა ქნეს?
- 2. თუ სამართლიანი ადამიანი ხარ, ობიექტურ გადაწყვეტილებას უნდა _____ [იღებს] რას შვრებოდე?
- 3. ჩვენი ახალი კოლეგის შრომას თავიდან სათანადოდ ვერ _____ [აფასებს] რას
ვშვრებოდით?
- 4. საქართველოს ომბუდსმენად ცნობილი ადვოკატი _____ [ინიშნება] რა ქნა?
- 5. უდანაშაულო პირი პირდაპირ სასამართლო პროცესიდან _____ [ათავისუფლებს] რა უქნიათ?

10. ჩასვით ფორმები: შესახებ, მიმართ, წინააღმდეგ, გამო, გარდა!

(5 ქულა)

- 1. თანამედროვე მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზებული დანაშაულის _____
ბრძოლას.
- 2. პარლამენტი ინფორმაციას ავრცელებს ახალი კანონის მიღების _____
- 3. სასამართლო დარბაზი არავის დაუტოვებია, ერთი მოწმის _____
- 4. ნუ იქნები ჩემ _____ არაობიექტური!
- 5. თქვენ _____ სასამართლო პროცესი გადაიდო.

11. გამოთვებულ ადგილას ჩასვით გვერდით მითითებული წყვილები! (5 ქულა)

1. ჯარიმა დაეკისრება ნებისმიერ პირს, რომელიც დაარღვევს _____! **[საზოგადოებრივი წესრიგი]**
2. ახალგაზრდა ნიჭიერი მკვლევარი დაინტერესდა ამ მეტად _____ **[საინტერესო მოვლენა]**
3. მთავრობამ იმ პრობლემებზე უნდა იმუშაოს, რომლებიც _____აწუხებს. **[ჩვენი საზოგადოება]**
4. _____ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კონსტიტუციის ამ მუხლის შეცვლას. **[მათი მონდომება]**
5. საადვოკატო ოფისის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მის ორგანიზაციაში _____ დრო დადგა. **[სერიოზული ცვლილებები]**

12. შეავსეთ გამოთვებული ადგილები (5 ქულა)!

**თუ , მაშინ ; მაშინ , თუ
ისე , როგორც ; როგორც , ისე**

1. _____ ვიქნებით სამართლიანი ადამიანები, _____ არავის დაეჯავრავთ.
2. ადვოკატმა საქმის ვითარება _____ წარმოაჩინა, _____ ბრალდებულისთვის იყო მისაღები.
3. _____ იურისტი მიგითითებთ, სწორედ _____ უნდა მოიქცეთ.
4. _____ ბრალდებულს დანაშაული დაუმტკიცდა, _____ ათწლიან სასჯელს შეუფარდებენ.
5. თავისუფალი ადამიანი ვარ და _____ ვიქცევი, _____ საჭიროდ მიმაჩნია.

VIII თავე

1. გაიაზრეთ ტექსტი: (6 ქულა)

ქართველი მწერლის – ნოდარ დუმბაძის – რომანში „თეთრი ბაირაღები“ მოქმედება ხდება ციხეში. ერთ-ერთ თავს ეწოდება – „გთხოვთ, ადგეთ, სასამართლო მოდის!“ . პატიმრები თავად აწყობენ საკანში სასამართლოს. მოსამართლე არის პატიმარი ნაკაშიძე, ბრალმდებელი, ანუ პროკურორი – პატიმარი დევდარიანი, ბრალდებული – პატიმარი სალარიძე.

სალარიძის სიძე მის ქალიშვილს სცემდა. ბრალდებულის თქმით, მას უნდოდა სიძის დაშინება თოფით, ეგონა, რომ მასში ტყვია არ იდო, თოფმა კი შემთხვევით გაისროლა.

პატიმარი დევდარიანი პროკურორის როლს ასრულებს, ამიტომაც ადანაშაულებს სალარიძეს. დევდარიანი ამბობს: ძველად კაცის მოკვლის სამი ხერხი არსებობდა: მუშტი, ჯოხი და ქვა. ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად კაცის მოკვლის საშუალებებიც მრავალფეროვანი გახდა. დღეისათვის უკვე ადამიანის მოკვლის იმდენი ხერხია, რამდენი კაციც ცხოვრობს დედამიწაზე. მათ შორის ისეთი უცნაური ხერხიც არსებობს, როგორიცაა ადამიანის მოკვლა ცარიელი თოფით. ადამიანმა ისწავლა ტყუილი – განზრახ მკვლელობას გაუფრთხილებლობით მკვლელობა დაარქვა.

ციხე – დაწესებულება პატიმრებისათვის, საპატიმრო

უპასუხეთ კითხვებს:

1. სად ხდება მოქმედება ნოდარ დუმბაძის რომანში „თეთრი ბაირაღები“?
2. პატიმრები მართლა ასამართლებენ თუ არა სალარიძეს?
3. რატომ ამტყუნებს მას დევდარიანი?
4. თქვენი აზრით, მისი დანაშაული განზრახ არის ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით?
5. დევდარიანის სიტყვებით, კაცის მოკვლის რა და რა ხერხი არსებობდა ძველად?
6. რა იწავლა ადამიანი?

2 თქვენ უკანონოდ გაგათავისუფლეს სამსახურიდან. რას აკეთებთ?

ჩამოთვლილთაგან აირჩიეთ 4 პასუხი!

(4 ქულა)

- ა. მიმართავთ გუბერნატორს დახმარებისთვის.
- ბ. მიმართავთ ადვოკატს.
- გ. მიმართავთ მოსამართლეს.
- დ. წერთ შესაგებელს.
- ე. წერთ განცხადებას.
- ვ. წერთ სარჩელს.
- ზ. ეძებთ მოწმე თანამშრომელს.
- თ. ეძებთ მეზობელს, რომელიც მოწმედ წამოგყვებათ.
- ი. ეძებთ მეგობარს, რომელიც სასამართლო პროცესზე დაგეთანხმებათ.
- კ. აწყობთ სამსახურში აურზაურს.
- ლ. აწყობთ გაფიცვას კანონის ფარგლებში.
- მ. დამატებით მუშაობთ.

3. ჩასვით წყვილებიდან ერთ-ერთი: წესიერი – წესიერად, სწორი – სწორად, მკაცრი – მკაცრად, საფუძვლიანი – საფუძვლიანად, პირადი – პირადად, თავისუფალი – თავისუფლად, ობიექტური – ობიექტურად!

(7 ქულა)

1. ა) თანამდებობებზე _____ ადამიანები უნდა ინიშნებოდნენ.
ბ) „ბრალდებულო, _____ მოიქეცით!“ – გაფრთხილება მისცა მოსამართლემ.
2. ა) სასამართლო ექსპერტიზამ _____ შეაფასა გამოძიების მასალები.
ბ) თამარმა დირექტორის _____ საყვედური მიიღო.
3. ა) წელს ქართულ ენას _____ ვისწავლით.
ბ) ბატონ დავითს _____ ეჭვი ჰქონდა, რომ სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ.
4. ა) დირექტორმა _____ დაცვა აიყვანა.
ბ) ზურაბი პარლამენტარია. ის _____ მონაწილეობს სამართლის ნორმების შემუშავებაში.
5. ა) გუბერნატორმა _____ გადაწყვეტილება მიიღო.
ბ) ბრალდებულმა გამოიყენა დუმბილის უფლება. ის _____ მოიქცა.
6. ა) დირექტორი _____ ექცევა თანამშრომლებს.
ბ) ჩვენი მეზობელი _____ ადამიანია.
7. ა) _____ ქვეყანა ყველა პატრიოტის ოცნებაა.
ბ) მოსამართლემ განაჩენი გამოიტანა. დარბაზმა _____ ამოისუნთქა.

4. საგახმული სიტყვები შეცვალეთ შემდეგი სინონიმებით: ზარალი, წინასწარ დაგეგმილი, ადანაშაულებდა, პროკურორი, დამცველი, ამტკიცებდა, გაუძნელდა, რაოდენობის! (8 ქულა)

1. დირექტორმა თანამშრომელს ერთი თვის ხელფასის ოდენობის კომპენსაცია გადაუხადა.
2. დამცველს გაუჭირდა საქმის დასაბუთება.
3. ბრალდებულმა ზიანი მიაყენა სახელმწიფოს.
4. ორივე მხარე ასაბუთებდა თავის სიმართლეს.
5. ადვოკატი ცდილობდა ბრალდებულის გამართლებას.
6. პროკურორი ამტკუენებდა ბრალდებულს.
7. ბრალდებულს დაუმტკიცდა განზრახ ჩადენილი დანაშაული.
8. ბრალმდებელმა მკაცრად შეაფასა დამნაშავის საქციელი.

5. ჩასვით ზმნები სწორი ფორმით!

(5 ქულა)

ნიმუში: ნიკა ახალ მანქანასყიდულობს..... [ყიდვა; რას შერება?]

1. მე ყველგან შემიძლია _____ ჩემი უფლებები. [დაცვა; რა ვქნა?]
2. თუ ვინმეს სამსახურიდან გაშვებას _____, ერთი თვით ადრე შევატყობინებთ. [გადაწყვეტა; რას ვიზამთ?]
3. სამოქალაქო ურთიერთობების დასარეგულირებლად ხელშეკრულებები უნდა_____ [დადება; რა ქნათ?]
4. კანონი ქვეყანაში სამართლის დაცვას _____ [უზრუნველყოფა; რას შერება?]
5. არასრულწლოვანის შრომა არ უნდა_____ მისსავე ინტერესებს. [წინააღმდეგობა; რას შერებოდეს?]



6. მოსმენა

ტექსტი: ნიკას სააგენტო

სააგენტო – აქ: იურიდიული სააგენტო; დაწესებულება, რომელიც ორგანიზაციის ან კერძო პირების დაკვეთებს ასრულებს.

იურიდიული კონსულტაცია გამიწია – იურიდიულ საკითხებში გამარკვია, დამეხმარა.

ნებადართული – დასაშვები; ის, რაც კანონით ან წესით დაშვებულია.

მოსმენილი ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

(7 ქულა)

1. რა პროფესიისაა ნიკა?
2. რას საქმიანობს იგი?
3. რა შემთხვევაშია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქორწინო ხელშეკრულება?
4. ვის არ ემსახურება ნიკას სააგენტო?
5. რატომ არ ემსახურება ნიკა 18 წლამდე პირებს?
6. რა ასაკიდან არის ქორწინება ნებადართული?
7. რა ემუქრება კანონის წინაშე დამნაშავეს?

7. შემოზახეთ სწორი პასუხები! (3 ქულა)

1. იურისტი ნიკა მოქალაქეებს უხსნის, რომ:

- ა. ქორწინება ადვილი საქმეა.
- ბ. ქორწინება მნიშვნელოვანი სამოქალაქო ურთიერთობაა.
- გ. ქორწინებას მშობლებისა და ნათესავების თანხმობა სჭირდება.
- დ. ქორწინება ქორწილის გარეშე ვერ შედგება.

2. როდის არის ქორწინება ნებადართული?

- ა. 15 წლის შემდეგ;
- ბ. 21 წლის შემდეგ;
- გ. 18 წლის შემდეგ;
- დ. ნებისმიერ ასაკში.

3. არასრულწლოვანთა ქორწინება

- ა. სისხლის სამართლის დანაშაულია;
- ბ. სამოქალაქო სამართლის დანაშაულია;
- გ. მოსაწონი არ არის;
- დ. მხოლოდ მშობლების ნებართვით არის შესაძლებელი.

8. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ტექსტს და მოკლედ აღწერეთ ნიკას სააგენტო და მისი სამუშაო (გამოიყენეთ დაახლოებით 40-60 სიტყვა)! (10 ქულა)

9. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით გვერდით მითითებული ზმნები! (9 ქულა)

ა)

მოწმის ჩვენების განხილვა სასამართლოს გუშინ _____ [დასრულება; რა უქნია?]

როგორც ჩანს, თქვენ ბრალდებულის საქმის დეტალები კარგად _____ [შესწავლა; რა გიქნიათ?]

ამ მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირისთვის თხუთმეტი წელი _____ [მისჯა; რა უქნიათ?]

ბ)

ჩვენს მართლმსაჯულებას მრავალი სამოქალაქო დავა სამართლიანად _____ [განხილვა; რა უქნია?]

მონარქიულ მმართველობას არაერთხელ _____ ხალხის უფლებები [შეზღუდვა; რა უქნია?]

შენ ხომ არ _____, ვინ მოიტანა ეს დოკუმენტები? [დანახვა; რა გიქნია?]

გ)

თქვენ თურმე ადვოკატი _____ და ჩვენ არაფერი ვიცოდით [ყოფნა; რა გიქნიათ?]
 არც _____, ისე მივიღე სამსახურიდან წასვლის გადაწყვეტილება [დაფიქრება; რა მიქნია?]
 ეს სტუდენტი ქართული ენის გამოცდისთვის კარგად _____ [მომზადება; რა უქნია?]

10. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: შორის, წინაშე, მიხედვით, მიუხედავად! (4 ქულა)

1. ოქმში ასახულია ბრალდებულსა და პროკურორს _____ მიღწეული შეთანხმების ყველა პირობა.
2. საქმის მასალების _____, მკვლელთა წინასწარ იყო დაგეგმილი.
3. თანამშრომლების დიდი ინტერესის _____, დირექტორს თავისი გადაწყვეტილების შესახებ არაფერი უცნობებია.
4. არასრულწლოვანმა აღიარა დანაშაული და მზად არის ბოდიში მოიხადოს დაზარალებულის _____

11. უპასუხეთ კითხვას რა შერება? (4 ქულა)

1. იურისტს კონსულტაციას ვთხოვ.
 იურისტი მე კონსულტაციას _____
2. ადვოკატს მომავალი პროცესისთვის ვამზადებ.
 ადვოკატი მე მომავალი პროცესისთვის _____
3. კოლეგას ამ მოვალეობისგან ვათავისუფლებ.
 კოლეგა მე ამ მოვალეობისგან _____
4. მეგობარს ნამდვილად ვენდობი.
 მეგობარი მე ნამდვილად _____

12. გამოთვებულ ადგილას ჩასვით: (3 ქულა)

ა) ისეთი , როგორც; ბ) მანამ, ვიდრე..... გ) ჯერ , მერე..... ;

_____ საქმეს კარგად გავეცნოთ და დასკვნები _____ გამოვიტანოთ.
 გაუმართლებელია _____ შეზღუდვის დაწესება, _____ თქვენს კანონპროექტშია.
 მოწმემ განცხადება _____ გააკეთა, _____ სასამართლო კოლეგია დარბაზს დატოვებდა.

გრამატიკა

თავი I

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **-ობა, -ება** აფიქსები და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- **-ნ/-თა** სუფიქსებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება; **-ებ'**იანის ჩანაცვლება **-თან'**იანი ფორმებით.
- დროის გამოხატევასთან დაკავშირებული გმნიზდები; კითხვები: რამდენ ხანს? რამდენი ხანი? რამდენი ხანია? (დიდხანს, დიდი ხანი, დიდი ხანია...).

ნაწილი II

- თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელისა და საზღვრულის ბრუნება – გამეორება.
- „ყოფ[ს]“-ფუძიანი რთული გმნები ქართულში.
- გარდამავალი გმნების წყვეტილის ფორმათა წარმოება და ერგატიული (// მოთხრობითის) კონსტრუქცია (მან/ მათ ის).
- ჩართული სიტყვები: **სამწუხაროდ, საბედნიეროდ.**
- **რომელიც** წევრ-კავშირის მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები.
- ცალკე მდგომი თანდებულები: **შესახებ, გამო.**

ნაწილი III

- სიტყვათწარმოება: **-ობრივ, -ებრივ** აფიქსები და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- მსგავსების გამომხატველი **-ვით** თანდებული თანხმოვანფუძიან სახელებთან **-[ი]ვით** (კაცივით), ხმოვანფუძიან სახელებთან **-[სა]-ვით** (მოსამართლესავით), პირის ნაცვალსახელებთან **-[სა]-ვით** (ჩემსავით, შენსავით, მასსავით).
- აწმყოს კავშირებითის ფორმათა წარმოება (რას შვრებოდეს?); მათი რეალიზაცია **უნდა** და **შეიძლება** გმნებთან ერთად.
- შესიტყვებები: **ხელი შეუწყო, ხელი გაუმართა, ხელი შეუშალა, ხელში ჩაიგდო**; მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

თავი II

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **სა—ე / სა—ო** კონფიქსები და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- უარყოფითი ნაცვალსახელები: **არავინ, არაფერი, ვერავინ...** მათი ბრუნების თავისებურებანი.
- დროის გამოხატევასთან დაკავშირებული გმნიზდები: **შარშან – წელს – მომავალ წელს...** კითხვა: **როდინდელი? – შარშანდელი – წლევენდელი ...**

- **აღ-** (→ **ა**) გმნისწინი. **აღ-** გმნისწინიანი საწყისის ფორმები (აღდგენა).
- **-თან, -ში, -ზე** თანდებულები – გამეორება.
- გმნის რიცხვი კრებით სახელებთან (ხალხი არის).
- **-ავ'** თემისწინიანი გმნათა საწყისი (მართავს → მართვა).

ნაწილი II

- სიტყვათწარმოება: **-ურ/-ულ** სუფიქსები და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად (ჩვენს პრეზიდენტს).
- გმნების წყვეტილის ფორმები და ნომინატიური (// სახელობითის) კონსტრუქცია (ის გაიყიდა).
- ცალკე მდგომი თანდებულები: **გარდა, ნაცვლად**.
- სინტაქსური კონსტრუქციები: **თუ, მაშინ** / **მაშინ, თუ**
- ჩართული სიტყვები: **ამრიგად, მაშასადამე**.

ნაწილი III

- სიტყვათწარმოება: **მო—ე** კონფიქსი და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- **-ში, -ზე** თანდებულები – გამეორება.
- ცალკე მდგომი თანდებული – **წინააღმდეგ**.
- შესიტყვებები: **ხელი დაადო, ხელი დააფარა, ხელი მოჰკიდა, ხელი დაიბანა**; მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

თავი III

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **-იან, უ—ო, უ—ურ** აფიქსები და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: **თვით, თავად, თვითონ; ყველა, ყოველი, თითოეული**.
- ადგილის გმნიზებები: კითხვები: **სად? საით? საითკენ? საიდან? აქ, იქ, აქეთ, იქით, აქეთკენ, იქიდან...**
- **-დან და -კენ** თანდებულები – გამეორება.
- **გან-** (→ **გა-**) გმნისწინი; **გან-** გმნისწინიანი საწყისის ფორმები (განვითარება).

ნაწილი II

- **-მებრ** (//ებრ) თანდებული და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- ხმოვანფუძიანი მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება – გამეორება.
- **-ია** დაბოლოებიანი I თურმეობითი (მიწარმოებია).
- ცალკე მდგომი თანდებულები: **შორის, შუა, შუაში, შუაზე**.
- სინტაქსური კონსტრუქციები: **ისე, როგორც** / **როგორც, ისე**.
- ჩართული სიტყვები: **რა თქმა უნდა, რასაკვირველია**.

ნაწილი III

- სიტყვათწარმოება: **მ—ელ** კონფიქსიანი მიმღეობა (დამგირავებელი).
- **-თვის** თანდებული დანიშნულების ფუნქციით.
- ცალკე მდგომი თანდებული **მიმართ** და მისი გამოყენება (ჩემ მიმართ, სახელმწიფოს მიმართ).
- შესიტყვებები: **ენა დაება, ენა დაიმოკლა, ენას კბილი დააჭირა, ენა მუცელში ჩაუვარდა;** მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

თავი IV

- შესწავლილი მასალის განმტკიცება.

თავი V

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **არა**’ნაწილაკიანი ლექსიკა ქართულში (არარეგისტრირებული).
- ანტონიმები - გამეორება.
- ჩვენებითი ნაცვალსახელები (ეს, ეგ, ის) მსაზღვრელად და მათი ბრუნების თავისებურებანი - გამეორება.
- **-გან** თანდებულიანი ადგილის ზმნიშედები (სხვაგან, ყველგან, ზოგან, ერთგან) და მათი გამოყენება.
- **-ვით, -ზე, -ში, -თვის, -კენ** და **-დან** თანდებულები, მათი გააქტიურება მცირე ზომის ტექსტში.
- უწყვეტლის ფორმათა წარმოება - გამეორება.
- მართული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება (ქონების უფლება) - გამეორება.

ნაწილი II

- სიტყვათწარმოება: **-ოვან** სუფიქსი და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- ურთიერთობითი ნაცვალსახელები: **ერთმანეთი** და **ერთიმეორე**. მათი ბრუნების თავისებურებანი.
- **-ავ** და **-ამ** თემისნიშნითი ზმნათა I თურმეობითის წარმოება (დაუმაღავს, ჩაუცვამს).
- ჩართული - **სხვათა შორის**.
- სინტაქსური კონსტრუქციები: **ისეთი ადვოკატი, როგორიც / ისეთი ადვოკატები, როგორებიც.....**
- **-გან** თანდებული: ა) ნაცვალსახელებთან; ბ) მასალის აღმნიშვნელ სახელებთან; გ) პიროვნების (პროფესიის) აღმნიშვნელ სახელებთან.

ნაწილი III

- სიტყვათწარმოება: **ურთიერთ** ნაცვალსახელი რთული სიტყვის პირველ ნაწილად (ურთიერთკავშირი).
- **პირდაპირ** და **პირისპირ** როგორც სინონიმური წყვილი, მათი მნიშვნელობა და გამოყენების თავისებურებანი: ა) პირის ნაცვალსახელებთან; ბ) არსებით სახელებთან.
- ცალკე მდგომი თანდებულები: **წინააღმდეგ, გამო, შესახებ** – გამეორება.
- შესიტყვებები: ხმა გაკმინდა, **ხმა მისცა, პირში წყალი დაიგუბა, სიტყვა პირზე შეაშრა**; მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

თავი VI

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **-ულ** სუფიქსიანი მიმღეობა.
- სინონიმები – გამეორება.
- ჩვენებითი ნაცვალსახელები (ამნაირი, ამგვარი, ამისთანა) მსაზღვრელად და მათი ბრუნების თავისებურებანი.
- სიტყვათწარმოება: **-ით** სუფიქსიანი ლექსიკა (დასკვნითი).
- დროისა და ადგილის გამოხატვის სტრუქტურა ქართულში – როდიდან როდემდე? საიდან სადამდე?

ნაწილი II

- ვითარების ზმნიზდები ქართულში: **კარგად, მტკიცედ** – გამეორება.
- მეშველზმნიანი I თურმეობითის წარმოება (დავსაქმებულვარ).
- **უნდა** ზმნიანი სტრუქტურა ქართულში (უნდა მოითხოვოს) – გამეორება.
- ნაცვალსახელი **იგივე** მსაზღვრელად და მისი ბრუნების თავისებურებანი (იგივე პროცესი, იმავე პროცესმა...).
- ჩართული სიტყვები: **ერთი მხრივ,, მეორე მხრივ,**

ნაწილი III

- კუთვნილებითი ნაცვალსახელი **თავისი** მხოლობითისა და მრავლობითის ფორმით.
- **შეუძლია** ზმნიანი სტრუქტურა ქართულში (შეუძლია შეადგინოს).
- ცალკე მდგომი თანდებულები: **წინაშე, მიერ**.
- ა) სინტაქსური კონსტრუქცია: **ჯერ, მერე / შემდეგ / შემდგომ**
ბ) **ჯერჯერობით**.
- შესიტყვებები: **სიტყვა შეაწყვეტინა, სიტყვა ჩამოართვა, სიტყვა მოუჭრა, სიტყვა შეუბრუნა**; მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

თავი VII

ნაწილი I

- სიტყვათწარმოება: **სი—ე** კონფიქსი და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- ბრძანებითი წინადადებების უარყოფითი ფორმები.
- სინტაქსური სტრუქტურა: **თუ არა**
- ნაცვალსახელები: **ამდენი, მაგდენი, იმდენი** მსაზღვრელად და მათი ბრუნების თავისებურებანი.
- მიზეზის გამოხატვა სინტაქსურ სტრუქტურებში. კითხვები: **რატომ? / რის გამო? – იმიტომ, რომ... / იმის გამო, რომ...**
- ჩართული – **ჩემი აზრით**.

ნაწილი II

- სიტყვათწარმოება: **მ—ელ** კონფიქსიანი მიმღეობა (**გამამტყუნებელი**) – გამეორება.
- დროის გამომხატველი სიტყვები წინადადების სტრუქტურაში: **მანამ, სანამ // ვიდრე**
- მიზნის გამოხატვა სინტაქსურ სტრუქტურებში. კითხვები: **რისთვის? / რა მიზნით? – იმისთვის, რომ... / იმ მიზნით, რომ...**
- სუბიექტური და ობიექტური წყობის ზმნები (**ვაჯარიმებ – მაჯარიმებს**).
- ცალკე მდგომი თანდებულები: **შემდეგ, უკან, შემდგომ, მერე**.

ნაწილი III

- სიტყვათწარმოება: **თანა** თანდებული რთული სიტყვის პირველ ნაწილად (**თანამშრომელი**).
- სიტყვათწარმოება: **უ—ელ** კონფიქსიანი მიმღეობა.
- ცალკე მდგომი თანდებულები: **მიხედვით, მიუხედავად**.
- შესიტყვებები: **ენა წაიგრძელა, ენა წინ უსწრებს, ენა მუცელში ჩაუვარდა, ზურგი შეაქცია, მაგარი ზურგი აქვს**; მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

თავი VIII

- შესწავლილი მასალის განმტკიცება.

